

178
1973



სახჭოთა სამართალი

საქართველოს კვ. ხანგალური კომიზავის გეგმეხელობე

1973

4



საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი — აგვისტო
1978 წელი

გამოცემის XX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ ტ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის უფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ	3
ე. ბახუტაშვილი — სამართლებრივი პროპაგანდის ქმედითობისათვის	7
ვ. შარაშენიძე — საქართველოს სსრ შრომის კანონთა ახალი კოდექსი	14
ა. მიქაძე — ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ	25
პ. ჩხეიძე — ძველელობა ექვიანობისა და შურისძიების ნიადაგზე	37
თ. ბაქრაძე — ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის შესახებ	46
ბ. ცხალიძე — სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ	56
ს. ჯორბენაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის	65
ოფიციალური მასალა	70
ინფორმაცია	92

19.232

კ. მარკაშვილი სსრ სსრ
სსრ სამინისტროს რესპუბლიკის
ბიბლიოთეკისთვის

СОДЕРЖАНИЕ

В ЦК КП ГРУЗИИ

О мерах по повышению эффективности правового воспитания трудящихся рес- публики	3
Э. Бахуташвили — К действенности правовой пропаганды	7
В. Шарашенидзе — Новый кодекс законов о труде Грузинской ССР	14
А. Микадзе — О смешанной форме вины	25
П. Чхейдзе — Убийство на почве ревности и мести	37
Т. Бакрадзе — О международно-правовой охране природы	46
Б. Пхаладзе — О соотносительной независимости права	56
С. Джорбенадзе — К пятидесятилетию основания юридического факультета ТГУ	65
Официальный материал	70
Информация	92

სარედაქციო კოლეგია

შპვ. № 2840
ტირაჟი 17.250
შე 13610

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშ-
ვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 24/VIII-73 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 31/X-73 წ., ქალაქის
ზომა 70 × 108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვცე-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის უეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და აღმინისტრაციულმა ორგანოებმა უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს მასების სამართლებრივი აღზრდისადმი ხელმძღვანელობა, გაააქტიურეს პრესის ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდაში.

მაგრამ სამართლებრივი პრობაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დონე სრულად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს, რესპუბლიკაში სახელმწიფო, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანებს.

როგორც მასების სამართლებრივი აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ღონის ანალიზი გვიჩვენებს, სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ნაკლი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ჯეროვანი კონტროლი არ ეწევა სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას, არ არის შექმნილი ამ საქმეში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეთანხმებული კომპლექსური ღონისძიებები, მწყობრი სისტემა, სუსტია სამართლებრივი პრობაგანდის კავშირი მთელ პოლიტიკურ-მასობრივ, იდეოლოგიურ და აღზრდით-ედიუკაციულ მუშაობასთან, კოლექტივების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან, მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში რაიონისა და ქალაქის პრაქტიკულ ამოცანებთან.

პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები იშვიათად იხილავენ რაიონსა და ქალაქში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხებს პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, ბიუროების სხდომებზე, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სხდომებსა და სესიებზე, მათს მუდმივ კომისიებში.

ბევრი პარტიული კომიტეტი სამართლებრივი პრობაგანდის და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა დაგეგმვისას

სუსტად ანალიზებს რაიონში, ქალაქში დამნაშავეობის მდგომარეობას, არ ითვალისწინებს ცალკეული სახეობების დანაშაულობათა გავრცელებას მშრომელთა კოლექტივებში, სადაც ყველაზე მეტად ხდება სამართალდარღვევათა შემთხვევები, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის სამართლებრივი კულტურის დონეს, სუსტად მუშაობს სამართალდარღვევისადმი მიდრეკილების მქონე პირებთან. ორგანიზაციულ-სამართლებრივი მუშაობის აღნიშნული ნაკლოვანებანი საგრძნობ გავლენას ახდენენ საწარმოო კოლექტივებში მორალურ და სამართლებრივ ვითარებაზე, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის დონესა და რესპუბლიკაში სამართალდარღვევათა ზრდაზე. დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის ანალიზი 1973 წლის 1 ნახევრის შედეგების მიხედვით მოწმობს, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სამართლებრივი პრობაგანდის ყველა ფორმისა და მეთოდის გამოყენებას ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის საქმეში, რომ შესუსტდა შრომითი კოლექტივების ავანგარდული როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საწარმოო კოლექტივებში სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პრობაგანდის საქმეში პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ლექციური პრობაგანდით და საუბრებით სამართლებრივ თემაზე. სრულად არ იყენებენ ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების უფლებებსა და გამაფრთხილებელ-აღმზრდელობით, პროფილაქტიკურ ფუნქციას.

სუსტად უწევენ სამართლებრივ დახმარებას მუშა-მოსამსახურეებს, რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კულტურის სახლებთან, კლუბებთან არსებული საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები, რომელთა საქმიანობას საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო არ უთმობენ სისტემატურ და ჯეროვან ყურადღებას.

რესპუბლიკის ცალკეული საწარმოო კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შედგენისას პარტიული კომიტეტები და საზო-

გადღებრივი ორგანიზაციები საქმარის ადგილს არ უთმობენ წარმოებაში სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. ეს მოწმობს, რომ ჯერჯერობდა არ აფასებენ სამართლებრივ საშუალებებს, სათანადოდ არ იციან სახელმწიფო, საგემო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებელ მუშაობაში სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ არ ახორციელებს საქმარის ღონისძიებებს რესპუბლიკის საწარმოებისათვის, მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური დახმარების გასაწევად წარმოების მართვაში სამართლებრივ საშუალებათა გეგმავით დაწესებას და იურიდიული სამსახურისა და სამართლებრივი მომსახურების გაუმჯობესებაში.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას რესპუბლიკის ბევრ საწარმოო კოლექტივში ჯერ კიდევ ფორმალურად უდგებიან საზოგადოებრივი და შრომის დისციპლინის მდგომარეობის შეფასებას.

სერიოზული ნაკლოვანებანია აგრეთვე საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, თანამდებობის პირთა გარკვეული ნაწილის სამართლებრივი მომზადების საქმეში. მაგალითად, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ 1972 წელსა და 1973 წლის პირველ ნახევარში მოწყობილ შემოწმებათა შედეგად გამოვლინდა ბევრი სამართლებრივი აქტი, უსაფუძვლო გადაწყვეტილება და განკარგულება, რომლებიც კანონის დარღვევით გამოიცა საკავშირო-რესპუბლიკურ, რესპუბლიკურ ორგანოებში, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებსა და სამმართველოებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სასოფლო და საღებო აღმასკომებში, რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში. ზოგიერთი სამინისტროს, უწყებების, ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელები სუსტად აანალიზებენ კანონიერებისა და სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს კანონის მოთხოვნებისა და სამართლებრივი ნორმებისაგან გადახვევის სამეურნეო-ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას, აბრკოლებს მეცხრე ხუთწლიდის დავლებათა ნორმალურ შესრულებას.

ცალკეული აღმასკომების, საწარმოების, სამეურნეო, საბინაო და კომუნალური, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საქმიანობაში დაბალი სამართლებრივი კულტურის, აგრეთვე მშრომელთა არასაკმაო იურიდიული ცოდნის შედეგად ჯერ კიდევ მაღალია მოქალაქეთა შრომითი, საბინაო, მიწის უფლებები-სა და კანონიერი ინტერესების დარღვევების

დონე. მსგავსი დარღვევების მიზეზით მშრომელები სულ უფრო მეტ განცხადებას, საჩივარს, განწმობებით წერილს წერენ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამასთან ერთად ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ცალკეული ფაქტები, როცა აკანონიერებენ, დროულად არ იხილავენ საქმეს, მშრომელთა განცხადებებს, წერილებსა და საჩივრებს, ხარისხიანად არ სწავლობენ სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ საქმეებს, რომ ჯერ კიდევ ნაკლებია სასამართლო პროცესების მოწყობის კულტურა და საჯაროობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა დამაჯერებლობა. მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაში იშვიათი როლია შემთხვევები, როცა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ცალკეული მუშაკები ბიუროკრატიულად, უტაქტოდ და უხეშად ექცევიან მოქალაქეებს. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯერ კიდევ სუსტად და მიზანდაუსახავად იყენებენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, საზოგადოებრივი აზრის ზუსტი სამართლებრივი ორიენტაციისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციის უზრუნველყოფის ფორმებსა და საშუალებებს. უკანასკნელ ხანს შეუსუსტდა საზოგადოებრიობის მონაწილეობა სასამართლო საქმეების გარჩევაში, შემცირდა სასამართლოების გამსვლელი სესიების რიცხვი. აღნიშნული ნაკლოვანებანი უარყოფით გავლენას ახდენენ ზოგიერთი მოქალაქის სამართლებრივ შეგნებასა და ადმინისტრაციული ორგანოების ავტორიტეტზე.

სამართლებრივი ცოდნის ლექციური, ზეპირი პროპაგანდა ჯერ კიდევ საქმარისად არ ეწევა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფართო ფენებს მათი საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშაო ადგილის მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიიჩნია, რომ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის მასობრივი ინფორმაციის ორგანოების საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკვპ X X I V ყრილობის მოთხოვნებს, რესპუბლიკის სოციალურ-სამართლებრივი განვითარების პერსპექტივებს.

რესპუბლიკური გაზეთები, რადიო და ტელევიზია ჯერჯერობდა არ აშუქებენ მასების სამართლებრივი აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს, მშრომელთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების დადებითს გამოცდილებას მართლწესრიგის დაცვაში. სამართლებრივი თემებისადმი მიმღვნილი სტატიები, რადიო და ტელეგადამცემები ზშირად ქრონიკის ხასიათისა,



არ იყვნის ბრძანება ავტორიტეტული ანალოზი და სამართლის საქმეს საგამოძიებო და სასამართლო პროცესის დამთავრებამდე აშუქებენ, ამასთან ურთავენ არაზუსტ იურიდიულ კომენტარს, რაც საზოგადოებრიობას არასწორ წარმოდგენას უქმნის დასჯის გარდუვალობის, საბჭოთა მართლმსაჯულების ძალისა და ჰუმანურობის შესახებ.

მასობრივი, პოპულარული საცნობარო იურიდიული ლიტერატურის გამოშვება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით სოფლის რაიონების მცხოვრებთათვის, კოდექსებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკული მუშაკებისათვის უდარესად ჩამორჩება რესპუბლიკაში არსებულ რეალურ მოთხოვნას. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში არ შექმნილა მოსახლეობის, პროფკავშირულ-სამეურნეო აქტივის, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი არც ერთი სპეციალური იურიდიული ცნობარი. იურიდიული ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაციაში არ არის ჯეროვანი კონტროლი, არ იგრძნობა თემატური გეგმების კოორდინაცია ყველაზე აქტიუალურ, მოქალაქეებისათვის საინტერესო იურიდიულ საკითხებთან, კერძოდ, სამოქალაქო, საზიანო, საკოლმეურნეო და მიწის, ოჯახური და საპენსიო მართლმართებრიობის საკითხებთან, რის გამოც ხშირად იწყება დავა და კონფლიქტები.

არ გამოდის თვალსაჩინო ავტორის პლაკატები და მასალები მორალურ-სამართლებრივი პრობლემატიკის საკითხებზე.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სამართლებრივი პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაავალა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობისადმი, მეტი ყურადღება დაუთმონ პარტიული და კომკავშირული პოლიტიკანათლების ქსელში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საკითხებს, გააძლიერონ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი მითითებით მუშაობა მასების სოციალისტური მართლმშეგნების ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას დაევალი შეიმუშონ და წარუდგინონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1973 წლის დამ-

ოვეამდე სამართლებრივი პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა 1974-1975 წლების პერსპექტიული გეგმა.

საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს სსრ იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ“ უნდა მიიღონ ზომები, რათა მოამზადონ და კვალიფიკაცია აუმაღლონ სამართლებრივი ცოდნის საფუძვლების მასწავლებელთა და ლექტორთა კადრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, ამასთან შეიმუშაონ და სრულყონ სასწავლო გეგმები, პროგრამები, ძირითადი და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები საბჭოთა სამართლის საფუძვლებში; მოაწყონ პროპაგანდისტ ლექტორთა, საბჭოთა სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების აქტივისტთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა შორის სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების საკითხზე.

საქართველოს სსრ პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს, გაზეთების რედაქციებს დაევალი განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საქმიანი, შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებისა და სისტემატიზაციის უზრუნველსაყოფად. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, შემოქმედებითს კავშირებს რესპუბლიკაში მართლმშეგნების მდგომარეობის შესახებ. საჭიროა განახორციელდეს ღონისძიებანი ჟურნალისტთა იურიდიული კულტურის ასამაღლებლად, მორალურ-სამართლებრივი იემატეობა მასლების იდეურ-პროფესიული შეინარისის ვასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინონ 1974-1976 წლების თემატურ გეგმებში, რომ გაფართოვდეს მასობრივი იური-

დიული ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემის თემატიკა, მათ შორის, ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე მოსახლეობისათვის განკუთვნილი საცობარო, ნორმატიული მასალების, კოდექსებისა და მათი კომენტარების გამოცემა, უზრუნველყონ მორალურ სამართლებრივი თემატიკის პლაკატებისა და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა მასალების გამოშვება; აამაღლონ მომთხოვნელობა იურიდიული ლიტერატურის იდეურ-თეორიული თვისებრივი დონისადმი, გააძლიერონ მისი თემატიკური მიმართულება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად; შეისწავლონ არსებული მოთხოვნა და უზრუნველყონ რესპუბლიკის სასოფლო რაიონების წიგნის გავრცობის ქსელი მოსახლეობისათვის განკუთვნილი საჭირო იურიდიული პოპულარული ლიტერატურით სამართლის აქტუალურ საკითხებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უფრო ფართოდ გაუშვიონ პროპაგანდა და გაავრცელონ ახალი იურიდიული ლიტერატურა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დავეალთ განიხილონ საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, თანამდებობის პირთა სამართლებრივი მომზადების მუდმივმოქმედი კურსების შექმნის შესაძლებლობის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მიზანშეწონილია მოეწიოს მოსახლეობას შორის იურიდიული პროპაგანდის ეფექტიანობის სოციოლოგიური კვლევა. ამ ორგანობსა და დაწესებულებებს რჩევა მიეცათ რესპუბლიკის იმ სამეცნიერო ცენტრებისა და დაწესებულებების კვლევის თემატიკაში, რომლებიც სამართლებრივი იდეოლოგიის საკითხებზე მუშაობენ, შეიტანონ სამართლებრივი პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური კვლევა და შესაბამისი

ღონისძიებების შემუშავება; გააფართოონ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების უფროს-კურსელი სტუდენტების დამოუკიდებელ სამუშაოთა თემატიკა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე, მშრომელთა სამართლებრივი და ზნეობრივი აღზრდის საფუძვლებზე; მოაწიონ მეცნიერულ-თეორიული კონფერენცია მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მეთოდოლოგიურ საკითხებზე.

საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კადრებთან, აამაღლონ მომთხოვნელობა თანამდებობის პირებისადმი, ხელმძღვანელი უმაღლესი დონისადმი, ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფისადმი, რათა მათ თავიანთ საქმიანობაში განუხრებლად დაიცვან და განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება; მიიღონ საჭირო ზომები, რათა გადაჭრით აღმოფხვრას მოქალაქეებისადმი ბიუროკრატიული, უტაქტო მოპყრობის ფაქტები, დროულად და პრინციპულად წყდებოდეს მშრომელთა განცხადებებში, საჩივრებსა და წერილებში აღძრული საკითხები; აამაღლონ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის დონე; უზრუნველყონ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების საფუძვლიანი და ყოველმხრივი განხილვა. სასამართლო გადაწყვეტილებების, განაჩენებისა და განჩინებების დამაჯერებლობა, გააძლიერონ კონტროლი მათზე დროული და ხარისხიანი რეაგირებისადმი, გადაჭრით გააუმჯობესონ გამსვლელი სესიების; საჩვენებელი სასამართლო პროცესების ორგანიზაცია ყველაზე აქტუალურ საქმეთა გამო, აამაღლონ საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა როლი; განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს ლექციური პროპაგანდის ქმედითობა და ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს სამართლის თემისადმი მიძღვნილი ლექციებისა და საუბრების პოლიტიკური, პროფესიული შინაარსი, ამაღლდეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტივისტთა სამართლებრივი კულტურა (საქინფორმი).

სამართლებრივი პროკურორის ქაღალთობისათვის

ე. ბახუტაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე

მიმდინარე წლის 22—23 მაისს ქ. მოსკოვში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი: „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება“.

იგი მოიწვია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უმაღლესმა სასამართლომ და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. რუდენკომ. მოხსენებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ა. სუხარევი („მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის აქტუალური ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი დ. ქერიძევი („მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა — კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შედეგად ნაწილია“), პროფესორი ი. სამოშჩენკო („სამართლებრივი აღზრდას ეფექტურობის ამაღლების პრობლემები“), საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ფიშევსკი („სამართლის პროპაგანდა საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა“). კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ს. არუთინიანის მოხსენება — „ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა და კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება“ და საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ლ. ზემლიანიკოვას მოხსენება — „მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება — პროფკავშირული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანა“.

სექციებში ლექციები წაიკითხეს და ინფორმაციებით გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. პროფ. ნ. ნედბაილოს ლექციის თემა იყო — „სამართლის პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები“, პროფ. ა. რატინოვისა — „მართლმეგნება და სამართლებრივი კულტურა“, პროფ. ი. ფარბერისა — „სამართლისადმი პატივისცემის აღზრდის საკითხები“, პროფ. ვ. კამინსკაიასი — „მოქალაქის მართლმეგნების ემპირიული გამოკვლევა“, პროფ. ბ. ფურცხვანიძისა — „ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საკითხები“. საინტერესო იყო უკრაინის იუსტიციის მინისტრის ვ. ზაიჩუკის, ლიტვის სსრ იუსტიციის მინისტრის ა. რანდაკაიავიჩუსის, ტულის ოლქის პროკურორის პ. კოპეიკოს და სხვათა ინფორმაციები.

კონფერენციამ შეიმუშავა დოკუმენტი — „რეკომენდაციები“. რეკომენდაციებში პირდაპირ ჩაწერილია, რომ საჭიროა ღრმად და ყოველმხრივ

დავამუშაოთ სამართლებრივი აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია, რომელიც დაემყარება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის თანამედროვე მიღწევებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგების და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ფონზე საჭიროდ მიგვაჩნია შევვხოთ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში, სამართლის პროპაგანდის როლს, მისი ეფექტურობის ამალღების ზოგიერთ საკითხს. დასამალი არ არის, რომ უკანასკნელ დრომდე სამართლებრივ აღზრდას საჭირო ყურადღება არ ექცეოდა. მის შეუფასებლობას დღესაც კი ვხვდებით. ამიტომ, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. თვით ის მუშაკებიც კი, რომლებსაც მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა აკისრიათ ხშირად აიგივებენ „სამართლებრივი აღზრდისა“ და „სამართლის პროპაგანდის“ ცნებებს. ეს კი ხშირად იწვევს სამართლებრივი აღზრდის ისეთი მნიშვნელოვანი მხარის შეუფასებლობას, როგორც არის სამართლისადმი პატივისცემის აღზრდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკით, თვითეული მოქალაქის მიერ თავისი იურიდიული ცოდნის ამალღება და ა. შ.

ყოველივე ეს გამოწვეულია სამართლებრივი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის ჩამორჩენით. სრულყოფილ დამუშავებას მოითხოვენ ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორც არის: სამართლის პროპაგანდის ორგანიზაცია და მეთოდოლოგია, აღმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ საქმიანობის კოორდინაციის განხორციელების ფორმები, სამართლის პროპაგანდის ცალკეული ფორმების მნიშვნელობა, პროპაგანდის ეფექტურობა და ქმედითობა. განსაზღვრული არ არის სამართლის პროპაგანდის ადგილი პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სიტემაში. ზოგჯერ პროპაგანდა უსისტემოდ წარმოებს, არ არის გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომა მოსახლეობის სხვადასხვა ფენისადმი, რის გამოც პროპაგანდის გავლენაში ვერ ექცევიან ის პირები, რომლებიც არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ზოგჯერ პროპაგანდა საწარმოო კოლექტივებში, მიკრორაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში წარმოებს ოპერატიული მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

უკანასკნელ დროს სამართლებრივ პროპაგანდაში დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება, შემუშავდა თეორიულად დასაბუთებული და პრაქტიკით გამართლებული ფორმები და მეთოდები ამ საქმიანობისა. ეს მოითხოვს უკვე არსებული გამოცდილების ღრმად შესწავლას, განზოგადებასა და დანერგვას.

ლოტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ მომწიფდა პირობები სპეციალური ჭეცნიერების შესაქმნელად, რომელიც სხვა მეცნიერებებზე დაყრდნობით შეისწავლის საზოგადოებრივი ცოდნის გავრცელებისა და ათვისების კანონზომიერებას. საქმე ეხება ახალი მეცნიერების შექმნას, რომელსაც ეწოდება პროპაგანდის თეორია ანუ მეცნიერება პროპაგანდის შესახებ. ასეთი მეცნიერული დისციპლინა თუ შეიქმნება, ვფიქრობთ, მასში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სამართლის პროპაგანდის, როგორც თავისებური სოციალური საქმიანობის მეთოდებისა და ფორმების შესწავლას. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ თავისი სპეციფიკით იგი განსხვავდება სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებებისაგან, სამართლის პროპაგანდის ეს კანონზომიერებანი კი დღემდე არ არის დადგენილი და ერთიან სისტემაში მოყვანილი.

პარტიის პროგრამაში, სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა აღმოფხვრის ამოცანა. მათი გადაწყვეტის მთავარი მიმართულება არის დანაშაულის თავიდან აცილება, მისი პროფილაქტიკა.

ჩვენს რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლის გაძლიერებისათვის, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის მიერ ამ ბოლო ხანს განხორციელებულ ღონისძიებებს. შეიქმნა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად ხელსაყრელი ატმოსფერო.

დიდი როლი დამნაშავეობის შემცირებასა და აღმოფხვრაში უნდა შეასრულოს სამართლებრივმა პროპაგანდამ.

გ. ი. ლენინის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობის შესწავლა იძლევა ჩვენს ქვეყანაში სამართლის პროპაგანდის თეორიის, მისი ფორმებისა და მეთოდების გასაღებს. ლენინმა ჯერ კიდევ 1918 წელს ჩამოაყალიბა პროპაგანდისტულ ღონისძიებათა მთელი ნუსხა, რომელიც ამჟამად მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საფუძველს წარმოადგენს. ეს ღონისძიებანია: საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფა, მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება, სამართლის პროპაგანდა (ბეჭდვითი, ლექციური) და მოსახლეობის იურიდიული ცოდნის ამაღლება, მშრომელთა ჩაბმა კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

გ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა სამართლის პროპაგანდის მნიშვნელობაზე, როგორც მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდზე, მასების სამართლებრივი აღზრდის მძლავრ ფაქტორზე.

სამართლებრივი აღზრდის დედააზრია საბჭოთა სამართლის პრინციპების ათვისება, საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლა, მისდამი ღრმა პატივისცემის ჩანერგვა, რომელიც კანონისადმი რწმენაში გადაიზრდება. ეს არის ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილების, დანაშაულობათა აღკვეთის, აგრეთვე მათი ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების ლიკვიდაციის ერთ-ერთი პირობა.

სამართლის პროპაგანდა, როგორც სპეციალური საზოგადოებრივი საქმიანობა გავლენას ახდენს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაზე, მათი აღზრდისა და დარწმუნების, მათი მართლშეგნების ფორმირების გზით.

საბჭოთა პროპაგანდის ამოცანები ძირითადად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების პროპაგანდისაგან, რომლის მთავარი მეთოდია სიცრუე, ცილისწამება, ჭეშმარიტების დამახინჯება. საბჭოთა სამართლის პროპაგანდისათვის დამახასიათებელია სოციალისტური პროპაგანდის ყველა პრინციპი, როგორიცაა მეცნიერული ხასიათი, პარტიულობა, სიმართლე, ცხოვრებასთან კავშირი.

მეცნიერული ხასიათი, ნიშნავს, რომ მოქალაქეებს მივაწოდოთ მეცნიერულად დასაბუთებული ცნობები სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ცალკეული კანონებისა და ნორმების, მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ასეთი მასალა, უნდა იყოს სანდო და დამაჯარებელი, შინაარსიანი და პოპულარულიც, ნათელი და გასაგები.

პარტიულობა გულისხმობს სამართლის პროპაგანდაში საგნებისა და მოვლენების კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან განხილვას, სამართლის ნორმების კლასობრივი ხასიათის, მათი ობიექტური კანონზომიერების ახსნას. პარტიულობის პრინციპის დაცვა საშუალებას გვაძლევს აღვზარდოთ მოქალაქენი საბჭოთა სამართლის პატივისცემის სულისკვეთებით.

პროპაგანდის ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი არსებითად განსაზღვრავს სამართლის პროპაგანდის მიზანს და მეთოდოლოგიას. აქ განსაკუთრებით ვლინდება სამართლის პროპაგანდის ქმედითობა, მისი გავლენა საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში.

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის პრაქტიკულ განხორციელებებს ემსახურება პრესა, რადიო, ტელეგადაცემა, ზეპირი და უშუალო აგიტაცია.

პრესა სამართლის პროპაგანდის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რაც იმით არის გაპირობებული, რომ იგი პროპაგანდის მასობრივი საშუალებაა და ამავე დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას ის უპირატესობაც აქვს, რომ თავისი ოპერატიული ხასიათის გამო იგი ჯერჯერობით ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ რჩება.

ვაზეთისა და ყურნალის ფურცლებზე ქვეყნდება სტატიები, წერილები, ფელეტონები, რომლებშიც მხილებული არიან დამნაშავენი. ნაჩვენებია მიზეზები და პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ესა თუ ის დანაშაული. ასეთი მასალები იწვევენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და ისინი როგორც წესი, ღართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად იქცევა. პროკურატურის ორგანოთა მუშაების უმრავლესობა გამოდის ცენტრალური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, მათი სტატიებისა და გამოსვლების უმთავრესი თემაა ბრძოლა ხულიგნობასა და ლოთობასთან, სოციალისტური ქონების გატაცებასთან, მექრთამეობასთან და სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევებთან. მასალებში გამოყენებულია კანონთა შესრულების შემოწმების შედეგები, კონკრეტული სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეები, წერილები და საჩივრები, ხდება ახალი კანონების ახსნა-განმარტება, უთითებენ პრაქტიკაში მათი გამოყენების დროს დაშვებულ დარღვევებს.

ისევე როგორც პრესა, რადიო და ტელევიზია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართლის პროპაგანდაში. ამ ხასიათის რადიოგადაცემებს პირობითად სამ ჯგუფად ყოფენ: ინფორმაცია, საუბარი, რეპორტაჟი.*

ინფორმაცია სამართლის პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალებაა და გამოიყენება მოვლენების, ფაქტების ოპერატიულად გაშუქებისათვის. მისი საშუალებით მოსახლეობას ატყობინებენ ახალი კანონების გამოცემის, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ სავალდებულო დაგენილებების მიღების შესახებ და სხვ.

მეცნიერების, პრაქტიკოს-იურისტების, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების ხელმძღვანელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების საუბრები, ლექციები, გამოსვლები მიზნად ისახევენ საბჭოთა სამართლის, აგრეთვე ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის პოპულარიზაციას.

ასეთი საუბრების შინაარსი მრავალმხრივია: ახალი კანონების პოპულარიზაცია, იურიდიული კონსულტაციები, პასუხები რადიომსმენელთა კითხვებზე და ა. შ. გადაცემები ეწყობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა

და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, მორალურ-ეთიკურ თე-
 მებზე.

რადიორეპორტაჟი ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. რეპორტაჟები სასამართლო დარბაზიდან, სახალხო რაზმეულების შტაბიდან, მილიციის სამორიგეო ნაწილებიდან და ა. შ. ამალღებენ საზოგადოებრიობის აქტივობას, ხელს უწყობენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის დარაზმვას.

სამართლის პროპაგანდაში ერთ-ერთ მთავარ როლს ტელევიზია ასრულებს. ტელემაყურებელი ისმენს და ხედავს იმას, რაც უშუალოდ ხდება, ეს გავლენას ახდენს მაყურებლის ემოციებზე. საქართველოს ტელევიზია, ხშირად აწყობს ტელეგადაცემებს: „კანონიერების სადარაჯოზე“, „ადამიანი და კანონი“, „ასი თვალი, ასი ყური“ და ა. შ.

გარდა ტრადიციულისა, ფართოდ გამოიყენება სამართლის პროპაგანდის ისეთი ფორმები, როგორც არის მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებანი (ლექციები, მოხსენებები, საუბრები).

სამართლებრივი აღზრდის ამოცანები განუხრელად უკავშირდება პროკურატურის ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობას. რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ანალოზს უკეთებენ დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა მდგომარეობას ადგილებზე და მის საფუძველზე ადგენენ სამართლის პროპაგანდის კვარტალურ და პერსპექტიულ გეგმებს, რომლებიც როგორც წესი, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროებზე მტკიცდება. წარმოებებსა და დაწესებულებებში სახელმწიფო დისციპლინის, კანონიერების დაცვის მდგომარეობის აგრეთვე სხვა ფაქტორების მიხედვით განისაზღვრება პროკურატურის რომელი მუშაკი, სახელდობრ, სად, რა თემაზე გამოვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აუდიტორიის მოზადებას, რათა საუბრებს დაესწროს საჭირო კონტინგენტი. ასეთი ღონისძიებანი დადებით გავლენას ახდენს დისციპლინის განმტკიცებანზე.

ბევრი პროკურორი და გამომძიებელი გამოდის მშრომელთა კოლექტივებში მოხსენებებით კანონთა შესრულების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შედეგების შესახებ.

1972 წლს მარტოოდენ პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ წაკითხულია 4505 ლექცია-მოხსენება და საუბარი, პროკურორთა მიერ გაცემებულია 433 მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტივის კრებაზე. 730 მოხსენება — კანონთა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ — მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და ა. შ.

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში დიდი როლი აკისრიათ სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებს, რომლებიც აერთიანებენ წარმოების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებელ მუშაკებს. პროფაქტივს, სახალხო კონტროლიორებს, სახალხო მსაჯულებს, სახალხო რაზმელებს, ამხანაგურ სასამართლოთა წევრებს და ა. შ. სახალხო უნივერსიტეტის ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს. საქართველოში სამართლის ცოდნის 42 უნივერსიტეტია, სადაც ლექციებს კითხულობენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების გამოცდილი მუშაკები, აგრეთვე მეცნი-

ერი იურისტები, ბევრი პროკურორი სამართლის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორია.

სამართლებრივი პროპაგანდის გავრცელებული ფორმაა ლექციები, მოხსენებები, საუბრები. პროკურატურის, სასამართლოს და შსს ორგანოები აწყობენ აგრეთვე თემატიკურ კითხვა-პასუხის საღამოებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს და ა. შ. ტარდება სამართლებრივი პროპაგანდის „ათლიურები“, „დეკადები“, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მიზნობრივი შეხვედრები რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებთან და ა. შ.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის პროპაგანდის ეფექტურობისა და ქმედითობის ამაღლებას. პროპაგანდის ეფექტურობის ცნება მეტად გავრცელებული გახდა. მასზე მსჯელობაა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში, ჟურნალ-გაზეთებში, დისკუსიებზე. ამ ტერმინში ზოგადი სახით გულისხმობენ დამოკიდებულებას ფაქტიურად მიღწეულ რეალურ შედეგებსა და იმ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მიზნებს შორის რომელთა სარეალიზაციოდაც გამოყენებულია შესაბამისი ღონისძიებანი.

სამართლის პროპაგანდის ეფექტურობის კანონზომიერებათა დამუშავების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. სამართლის პროპაგანდა თუმცა წლითიწლით ფართოვდება, მაგრამ სამართალდარღვევათა შემცირების პროცენტი მაინც დაბალია. როცა სამართლის პროპაგანდის ეფექტურობაზე ვლაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს: ა) რამდენად შედეგიანია პროპაგანდის ფორმები, მისი რგოლების საქმიანობა, დასახული მიზნების შესრულება, ბ) სამართლის პროპაგანდის ეფექტურობის თვით კრიტერიუმი.

ჩვენი პარტიის პროგარამაში აღნიშნულია, რომ იდეოლოგიური მუშაობის შედეგიანობის მთავარი საზომია მასების მონაწილეობის აქტივობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, მარქსისტულ-ლენინური იდეების, პარტიის პოლიტიკის მატერიალურ ძალად გადაქცევის ხარისხი.

ეს მთლიანად ეხება სამართლის პროპაგანდასაც, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია. იმისათვის, რომ იდეა გადაიქცეს მატერიალურ ძალად, ადამიანის შინაგან რწმენად, იგი უნდა გახდეს პირის ქცევის შინაგან, განმსაზღვრელ მოტივად.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სამართლის პროპაგანდის მექანიზმი ყოველთვის არ აღწევს მიზანს. იმისათვის, რომ ცოდნა, იდეა რწმენად იქცეს საკმარისი არ არის სასკოლო, საუნივერსიტეტო სწავლება, ლექციების კურსი. არ არის საკმარისი ადამიანმა კეთილსინდისიერად დაიზებუროს რა არის კანონი, სამართალი, საბჭოთა კანონიერება, მორალი მათი დამახასიათებელი ნიშნები და ა. შ. მან უნდა შეისწავლოს, შეისისხლხორცოს, შეიცნოს კანონი და მთელი ძალით იბრძოდოს მის დასაცავად. სამართლის პროპაგანდის მთავარი საზანი სწორედ ის არის რომ აღზარდოს ადამიანში კანონის პატივისცემა, აქციოს იგი მის აქტიურ დამცველად.

იმისათვის, რომ გონივრულად დავგეგმოთ და განვახორციელოთ სამართლის პროპაგანდა, გავხადოთ იგი მებრძოლი და შემტევი, კარგად უნდა გვესმოდეს ის ბოროტება, რომელსაც ჩვენ ვებრძვით. საბჭოთა კანონის პროპაგანდისტმა კარგად უნდა იცოდეს იმ კოლექტივის ცხოვრება, რომელთანაც მას უხდება ურთიერთობა, იცოდეს ამ კოლექტივის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება,

შეისწავლოს პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ კანონის დარღვევას, რათა ახსნა-განმარტებას ეწეოდეს კონკრეტული მასალების მიხედვით.

თვით თეორიულად დასაბუთებულმა და პრაქტიკით შემოწმებულმა სამართლის პროპაგანდის ფორმებმა და მეთოდებმა შეიძლება დაკარგონ ქმედითობა, თუ მათ გონივრულად არ გამოვიყენებთ, არ დავუკავშირებთ მათ კონკრეტული კოლექტივის ინტერესებს. სამართლის პროპაგანდის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ითვისებენ იგი თანამედროვე მეცნიერებებისა და პრაქტიკის მიღწევებს, რამდენად გონივრულად და სრულად იყენებს მას, რამდენად მეცნიერულია მისი მეთოდი და ორგანიზაციის პრინციპები.

ჯერ კიდევ არ არის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გამოკვლეული სამართლის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების კანონზომიერებანი, მათი უპირატესობანი და ნაკლოვანებანი, ურთიერთკავშირი, განვითარების ტენდენციები.

პროპაგანდასაღმე მეცნიერული მიდგომა მოითხოვს სრულყოფილად შეისწავლოთ სამართლის პროპაგანდის მეთოდების და საშუალებების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მათი პოტენციური შესაძლებლობანი და ურთიერთმოქმედება. ეს თავის მხრივ გამოიწვევდა უარყოფით მხარეთა მინიმუმამდე დაყვანას და ამაღლებდა, გააძლიერებდა მათს როლს სამართლებრივი ზემოქმედების სფეროში.

სამართლებრივი პროპაგანდის მეცნიერული მიდგომა გულისხმობს იმ ღრმა ცვლილებების შესწავლას, რაც ხდება პროპაგანდისტული ზემოქმედების „ობიექტში“ ე. ი. მშრომელთა კოლექტივებში. საჭიროა მათი ინტერესების და მოთხოვნილებების შესწავლა, ცალკეული ჯგუფების მართლშეგნების შესწავლა, ცალკეული ფენების განწყობილებების აზრების ფსიქოლოგიური, პროფესიული, ასაკობრივი და სხვა თავისებურებათა ცოდნა.

სამართლებრივი პროპაგანდასაღმე მეცნიერული მიდგომის, მისი განვითარებისა და სრულყოფის ინტერესები მოითხოვენ საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მართლშეგნების, საზოგადოებრივი ურთიერთობის ცოდნას, მათი განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერების გამოკვლევას.

ისევე როგორც სოციალური მართვის სხვა სფეროში, სამართლის პროპაგანდაში, ჩვენი აზრით, საჭიროა ვისარგებლოთ პ რ ო გ ნ ო ზ ი რ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი თ .

სამართლის პროპაგანდის ეფექტურობაზე რომ ვლაპარაკობთ, ამას დღევანდელი დღის თვალსაზრისით კი არ უნდა ვუდგებოდეთ, არამედ პერსპექტივაში განვიხილავდეთ, მასში მომავლის აზრს ვდებდეთ.

მიმდინარე წლის 21 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება „რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც მხილებულია ამ დარგში არსებული ნაკლოვანებები და დასახულია მათი აღმოფხვრის გზები.

ამოცანა ის არის, რომ ამ დადგენილების საფუძველზე შევიმუშავოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერების ღონისძიებანი, მივცეთ მას უფრო შემტევი, გეგმაშეწონილი და მიზანდასახული ხასიათი.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა ახალი კოდექსი

3. შარავნიძე

1973 წლის 28 ივნისს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც ძალაში შედის 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.

შრომის კანონთა კოდექსის შემუშავების აუცილებლობა კარგა ხანია დღის წესრიგში იდგა. მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე, მთავრობის სპეციალური დადგენილებით, მოქმედებდა რსფსრ-ს 1922 წლის კოდექსი, მაგრამ მისი მიღებიდან დიდმა დრომ განვლო. ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური ძვრები მოხდა, სოციალიზმმა გაიმარჯვა მთლიანად და საბოლოოდ, რამაც გამოიწვია ცვლილებანი შრომის ორგანიზაციის ციფრებშიც. ამის გამო კოდექსის მთელი რიგი დებულებები მოქვედდა, დაკარგა ძალა და აღარ გამოიყენებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომის კანონმდებლობა წარმოადგენს სოციალისტური კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც არსებით როლს ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში და დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განვითარებაზე, ნათელი გახდება მოძველებული კოდექსის ახლით შეცვლის აუცილებლობა.

ეს გარემოებანი თანაბრად ეხებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, მათ შორის რსფსრ-საც. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1970 წლის ივლისში მიიღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები¹, რომლებმაც დაამკვიდრეს შრომის სოციალისტური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, შექმნეს მოკავშირე რესპუბლიკებში შრომის კანონმდებლობის შემდგომი განვითარების პირობები.

1971—1973 წ. წ. ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მიიღო შრომის კანონთა კოდექსი. ჩვენმა რესპუბლიკამ კოდექსი მიიღო ყველაზე ბოლოს. ამით შესაძლებელი გახდა გათვალისწინებულყო მოკავშირე რესპუბლიკების საკოდიფიკაციო გამოცდილება.

ემყარება რა შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს, რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსი სისტემატიზებულად აკონკრეტებს ახალ ნორმებს და დებულებებს, რომლებიც გამოხატავენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ და მოწონებულ ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკას. „საფუძვლები“ 107 მუხლისაგან შედგება, კოდექსი კი 247 მუხლს შეიცავს.

კოდექსი მუშა-მოსამსახურეებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი შრომითი უფლებების განხორციელების გარანტიას ითვალისწინებს, როგორცაა შრომის ხელშეკრულების თავისუფლება, დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად ხელფასის მიღება, დასვენება, უსაფრთხო შრომის პირო-

¹ შემდგომში შემოკლებით „საფუძვლები“.

ბებში მუშაობა, უფასო პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიულ კავშირებში გაერთიანება, წარმოების მართვაში აქტიური მონაწილეობა, მოხუცებულობის დროს და ავადმყოფობის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე და სხვ.

ამ სტატიის მიზანია შრომის კანონთა ახალი კოდექსის მიმოხილვა, ცალკეული მუხლების შეფასება, ზოგიერთ სიახლეთა აღნიშვნა, მათი კომენტირება.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი 19 თავისაგან შედგება, რომლებშიც აღიარებულია საბჭოთა კანონებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული და ინტერნაციონალური პრინციპები. კოდექსის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესაბამისად მოქალაქეებს, ეროვნებისა და რასის მიუხედავად, უზრუნველყოფილი აქვთ თანასწორუფლებიანობა შრომაში, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომითი ურთიერთობის დარგში ქალს აქვს მამაკაცთან თანაბარი უფლებები.

პირველ თავში განსაზღვრულია კოდექსის ამოცანები, მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი შრომითი უფლება-მოვალეობანი, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის გამოყენების წესი და სხვ. აქვე აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობის წევრებზე შრომის კანონთა კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება (მუხლი 3). მე-6 მუხლი შეიცავს მითითებას, რომ შრომის ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობასთან შედარებით ან ეწინააღმდეგებიან მას, — ბათილია. ეს მუხლი იმის მანიშნებელია, რომ ყოველგვარი სამართალმემოქმედება, კანონის გვერდის ახვევა, იურიდიულად ნულის ტოლია.

კოდექსის მეორე თავი ეთმობა კოლექტიურ ხელშეკრულებას, მისი დადებისა და მოქმედების წესს. სამეურნეო რეფორმის განხორციელების და საწარმოთა უფლებების გაფართოების პირობებში იზრდება კოლექტიური ხელშეკრულების როლი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშრომელთა კოლექტივების ცხოვრებაში, ამიტომ კოდექსში მას ერთ-ერთი პირველი თავი ეძღვნება. მე-13 მუხლით დადგენილია წესი, რომლითაც საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები ანგარიშს აბარებენ მუშა-მოსამსახურეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. ეს წესი ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის საქმიანობისადმი კოლექტივის წევრთა კონტროლის მნიშვნელოვანი ფორმაა.

სსრ კავშირის მოქალაქენი საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის უფლებას ახორციელებენ შესაბამის საწარმოსთან, ორგანიზაციასა და დაწესებულებასთან შრომის ხელშეკრულების დადების გზით. კოდექსის მესამე თავი აწესრიგებს შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლის, აგრეთვე შეწყვეტა-მოშლის წესებსა და პირობებს.

ახალი კოდექსის მე-16 მუხლი იძლევა შრომის ხელშეკრულების უფრო სრულყოფილ განმარტებას. განსაზღვრულია, რომ შრომის ხელშეკრულება არის შეთანხმება მშრომელსა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის, რომლითაც მშრომელი ვალდებულებას იღებს შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ თანამდებობის მიხედვით, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმო, დაწესებულება, ორგანიზა-

ცია ვალდებულებას იღებს გადაუხადოს მშრომელს ხელფასი და უზრუნველყოს იგი შრომის სათანადო პირობებით. გარდა თეორიული მნიშვნელობისა, შრომის ხელშეკრულების არსის ახალ რედაქციას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. მაგალითად, მშრომელის შრომის შინაგანაწესისადმი დამორჩილების პირობების აღნიშვნა, საშუალებას იძლევა შრომის ხელშეკრულებით მომუშავე პირები (ე. ი. მუშა-მოსამსახურეები) განვასხვავოთ სხვა პირებისაგან, რომლებიც მუშაობენ სანარდო ხელშეკრულებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი).

თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსებმა უცვლელად გადმოიტანეს საფუძვლების მე-9 მუხლის ტექსტი სამუშაოზე მიღების დროს გარანტიების შესახებ. ჩვენი კოდექსის მე-17 მუხლი აღგენს, რომ აკრძალულია დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებაზე, მაგრამ არ განსაზღვრავს გასაჩივრების წესს, თუ მუშაკს უარი ეთქვა.

ეს საკითხი, ვფიქრობთ, სწორად გადაწყვიტა ლიტვის სსრ შრომის კანონთა კოდექსმა (მუხლი 21), რომელმაც განსაზღვრა, რომ მოქალაქეთა საჩივრები სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმის შესახებ განიხილება დაქვემდებარების წესით ზემდგომი ორგანოს მიერ 10 დღის ვადაში.

კოდექსის მე-20 მუხლმა დააწესა შეზღუდვა ნათესავების ერთად მუშაობისა, რაც შრომის კანონთა კოდექსისათვის ახალი მუხლია, ხოლო საქართველოს კანონმდებლობისათვის კი — სრულიად ახალი ნორმა.

ვრავს გასქმე ის არის, რომ გარკვეულ პირობებში ნათესავების ერთად მუშაობა აიკრძალა რსფსრ-ს სახკომსაბჭოს 1922 წლის 21 დეკემბრის დეკრეტით — „სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოებში სამსახურის დროებითი წესები“.² ეს დეკრეტი დამოუკიდებელი ნორმის სახით არსებობდა და არ შესულა რსფსრ-ს შრომის კანონთა კოდექსში. ანალოგიური კანონი საქართველოს მთავრობას არ მიუღია, მიუხედავად ამისა რსფსრ-ს დეკრეტით დადგენილი წესი გამოიყენებოდა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ალბათ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოდებული იქნა რსფსრ-ს შრომის კანონთა კოდექსი, რამაც ბიძგი მისცა რუსეთის ფედერაციის შრომის კანონმდებლობის თითქმის ყველა ნორმის (და არა მარტო კოდექსის) გავრცელებას ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ნათესავების ერთად მუშაობის ამკრძალვი ნორმა არც შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს გაუთვალისწინებია.

თუმცა რესპუბლიკას არ გააჩნდა ახლო ნათესავების ერთად მუშაობის ამკრძალვი ნორმა, პრაქტიკაში იგი გამოიყენებოდა და სპეციალურ ლიტერატურაშიც კი ისე იხსენებდნენ, როგორც თავისთავად ცხადსა და არსებულს.³

კოდექსის მე-20 მუხლმა „დროებით წესების“ ტექსტს ფაქტიურად დაუ-

² СУ РСФСР 1923 г., № 1, ст. 8.

³ იხ. მაგ. ს. ჯაფარიძე, სამთო მრეწველობის მუშაკთა შრომითი უფლებები, „საბჭოთა საქართველო“, 1971 წ., გვ. 10—11.

მატა ერთი სიტყვა „უშუალო“, რითაც მნიშვნელოვნად შეზღუდა აკრძალვა და გააფართოვა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებები. თუ ადრე მოქმედი წესებით არ იყო დაშვებული ახლო ნათესავების მუშაობა ისეთ თანამდებობაზე ან სამუშაოზე, რაც ერთიმეორისადმი საერთოდ დაქვემდებარებას და კონტროლს იწვევდა, ამჟამად იკრძალება უშუალოდ დაქვემდებარებულ ან მაკონტროლებელ სამუშაოზე (თანამდებობაზე) ერთად მუშაობა.

ახალი ნორმა მოითხოვს, რომ დადგინდეს გამონაკლისები ახლო ნათესავების ერთად მუშაობის აკრძალვის საკითხში (მაგ. არჩევითი მუშაკებისათვის, ექიმებისათვის, პედაგოგებისათვის, მსახიობებისათვის და ა. შ.).

მართალია, რსფსრ-ს მინისტრთა საბჭომ უკვე მიიღო ასეთი დადგენილება,⁴ მაგრამ დღეს, როდესაც საქართველოს სსრ-ს გააჩნია საკუთარი კოდექსი, მიუტევებელია სხვა რესპუბლიკის ნორმის მექანიკური გავრცელებით ძველი შეცდომის გამეორება.

როგორ უნდა იქნას გაგებული „უშუალოდ“ დაქვემდებარება და კონტროლი? ამაში იგულისხმება როგორც თანამდებობრივი, ისე დარგობრივი დაქვემდებარება და კონტროლი. მაგალითად, საწარმოს მთავარი მექანიკოსი ხელმძღვანელობს არა მარტო მისადმი დაქვემდებარებულ მთავარი მექანიკოსის განყოფილებას, არამედ მთელი საწარმოს მექანიკურ სამსახურს საამქროთა უფროსებისა და მექანიკოსების საშუალებით. ამიტომ ვფიქრობთ, მთავარი მექანიკოსის ახლო ნათესავს არ შეუძლია იმუშაოს საამქროს მექანიკოსის თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობრივად იგი უშუალოდ ემორჩილება საამქროს უფროსს. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს ესაჭიროება სათანადო ორგანოს კომპეტენტური განმარტება.

კოდექსის 22—24-ე მუხლები ეთმობა სამუშაოზე მიღებისას საგამოცდო ვადის საკითხებს. შენარჩუნებულია რა ამ საკითხზე არსებული წესები, კოდექსი ჩამოთვლის პირთა კატეგორიებს, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან უგამოცდოდ. ჩვენი აზრით, პირთა აღნიშნულ კატეგორიას უნდა დაემატოს ორსული ქალები და მეძუძური დედები, რაც 164 მუხლის დებულებიდან გამომდინარეობს. მართლაც, რა იურიდიული შედეგები უნდა მოჰყვეს ორსული ქალის და მეძუძური დედისათვის სამუშაოზე მიღების დროს საგამოცდო ვადის დაწესებას, თუ წინასწარ განსაზღვრულია, რომ ამ კატეგორიის ქალების სამუშაოდან დათხოვნა, როგორც წესი, არ დაიშვება? ვინაიდან გამოცდის უარყოფითი შედეგები არ იძლევა საფუძველს ორსული ქალისა და მეძუძური დედის სამუშაოდან დათხოვნისათვის, ბუნებრივია დასკვნა, რომ ისინი სამუშაოზე მიიღებიან უგამოცდოდ.

1922 წლის შრომის კანონთა კოდექსისაგან განსხვავებით, საფუძვლებშივე, მკაფიოდ და ამომწურავად იყო ჩამოყალიბებული ადმინისტრაციის ინიციატივით სხვა სამუშაოზე გადაყვანის პირობები. ახალმა კოდექსმა კიდევ უფრო დახვეწა ეს დებულებანი.

გაითვალისწინა რა სხვა მუდმივ სამუშაოზე მუშაკის თანხმობის გარეშე გადაყვანის აკრძალვის არსებული წესი, კოდექსის 26-ე მუხლმა განმარტა, რომ სხვა სამუშაოზე გადაყვანად არ ითვლება მუშაკის გადანაცვლება იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სპეციალობის, კვალიფიკაციის, ხელფასის ოდენობის და შრომის სხვა არსებითი პირობების შეუცვლელად, ე. ი.

⁴ ЦП РСФСР 1972 г., № 19, ст. 119.

20.9.71

სხვა სამუშაოზე გადასაცვლებინას მუშაკის თანხმობა სავალდებულო არ არის. გადაყვანისა და გადასაცვლების საკანონმდებლო წესით გამიჯვნა შრომითი დავების შემცირების საწინდარია.

ზუსტად განისაზღვრა საწარმოო აუცილებლობის შემთხვევებში სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძვლები და პირობები. კოდექსი განიხილავს საწარმოო აუცილებლობას როგორც გამონაკლის შემთხვევას და მას არ უკავშირებს საწარმოო გეგმებისა და დავალებების შესრულებას (მუხლი 27).

კოდექსი ითვალისწინებს ცვლილებებს მოცდენის დროს ანაზღაურების წესში. 28-ე მუხლით დადგენილია, რომ მოცდენის შედეგად დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანისას მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამოიმუშავების ნორმებს ასრულებენ, უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი წინანდელი სამუშაოს მიხედვით, ხოლო მათ, ვინც ვერ ასრულებს ნორმებს ან გადაყვანილი არიან დროებითი ანაზღაურების სამუშაოზე, უნარჩუნდებათ თავიანთი სატარიფო განაკვეთი (ძველი კოდექსით უნაზღაურდებოდათ შესრულებული სამუშაოს მიხედვით). თუ მოცდენა გამოწვეული იყო საწარმოს (ორგანიზაციის) მიზეზით, ხოლო მუშაკი ამ პერიოდში არ გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე, მას ხელფასი ეძლევა შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკთა დროებითი შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის ნახევარი ოდენობით, მაგრამ მინიმალურ ოდენობაზე (60 მან) არა ნაკლები; მეტალურგიული, სამთამადნო და კოქსის მრეწველობის მუშაკებს მოცდენის დროს, რაც მათი ბრალით არ არის გამოწვეული, ხელფასი ეძლევათ სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით (მუხლი 90).

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხებშიც. მართალია, ეს ცვლილებები ძირითადად ჯერ კიდევ შრომის კანონმდებლობის საფუძვლებმა გაითვალისწინა, მაგრამ საინტერესოა, როგორ აისახა ეს კოდექსში.

შეიცვალა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ტერმინოლოგია. „გაუქმების“ ნაცვლად კოდექსი ხმარობს „მოშლას“, რაც ეტიმოლოგიური თვალსაზრისით უფრო სწორია.

გაფართოვდა და დაზუსტდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები. აქ საყურადღებოა 30-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა), გამასწორებელი სამუშაოებით არა თავის სამუშაო ადგილზე მოხდით ან სხვა სასჯელით, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ასეთი საფუძველი გათვალისწინებული იყო ძველი კოდექსის 47-ე მუხლით, რომელიც მოიცავდა ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევებს. ახალ კოდექსში, სრულიად მართებულად, ასეთი შემთხვევები მოთავსდა იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს საერთოდ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს.

კოდექსი არ ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაყენებული მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ, გადაყენების ხანგრძლივობის მიუხედავად, მუშაკს ენახება სამუშაო ადგილი და მისი გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ

კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას. იბადება კითხვა: გადაყენებული მუშაკის მსჯავრის დადების შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღად განაჩენის გამოტანის მომენტი განისაზღვრება თუ სამუშაოდან გადაყენებისა? ვფიქრობთ, გათავისუფლების თარიღად მიჩნეული უნდა იქნას მუშაობის ფაქტიურად შეწყვეტის ე. ი. გადაყენების თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. თუ შრომის ხელშეკრულება შეწყდა ე. ი. გამოიტა ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ზედამხედველობის წესით გაუქმებისა და მუშაკის რეაბილიტაციის შემთხვევაშიც სამუშაოზე აღდგენა არ მოხდება. მუშაკს მიეცემა ხელფასი რეაბილიტირებულთათვის დადგენილი ოდენობით და საწარმოს (ორგანიზაციის) შეხედულებით შეიძლება პირი ხელახლა იქნეს მიღებული სამუშაოზე, ვინაიდან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო არა ქმედობა, არამედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

კოდექსმა არ შეცვალა მუშისა და მოსამსახურის ინიციატივით განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლის წესი. 32-ე მუხლის შესაბამისად, მუშაკს უფლება აქვს გათავისუფლდეს სამუშაოდან, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილოს ადმინისტრაცია ორი კვირით ადრე.

კოდექსში არ გასცა პასუხი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთ საკითხს, როგორცაა მუშაკის უფლება განცხადების შეტანიდან ორი კვირის ამოწურვამდე გააუქმოს პირველი განცხადება და დარჩეს სამუშაოზე. ამ საკითხმა, რომელიც ცხოვრებამ დააყენა, სწავლულთა და პრაქტიკოსთა სჯაბაასი გამოიწვია. გამოითქვა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებანი. სასამართლო პრაქტიკამ მტკიცე პოზიცია დაიკავა და თვლის, რომ მუშაკს უფლება აქვს განცხადების შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში გააუქმოს პირველი განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნულ საკითხს არც საფუძვლებმა უპასუხა და არც მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა შრომის კანონთა კოდექსებმა, გარდა სომხეთის სსრ კოდექსისა.

სომხეთის შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლით მუშაკს უფლება აქვს ორი კვირის ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს უკან წაიღოს თავისი განცხადება ან შეიტანოს პირველდელის გამაუქმებელი განცხადება. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციას შეუძლია გაათავისუფლოს მუშაკი მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშაკის მეორე განცხადებამდე მის ადგილზე მოწვეულია ახალი მუშაკი. ვფიქრობთ, ამ საკითხში სომხეთის სსრ შრომის კანონთა კოდექსმა სწორი პოზიცია დაიკავა, რაც მისაბაძია.

ძველ კოდექსთან შედარებით ახალი კოდექსის 34-ე მუხლი აზუსტებს და ნაწილობრივ ცვლის ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის წესებს.

„უვარგისობის გამო“ დათხოვნის ნაცვლად გათვალისწინებულია დათხოვნა, თუ გამოვლინდა, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომლებიც ხელს უშლის ამ სამუშაოს შესრულებაში (პ. 2.).

ასეთი რედაქცია გამოირიცხავს ამ საფუძვლებით დათხოვნის შესაძლებ-

ლობას მუშაკის ბრალეული ქმედობისათვის, როგორცაა, მაგალითად, უნდობლობის მოტივით, ამორალური საქციელისათვის და ა. შ.

კოდექსი არ გამორიცხავს შესაძლებლობას მუშაკი განთავისუფლდეს ნდობის დაკარგვის ან ამორალური ქცევის გამო. ამ მოტივებით სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მუშაკებისა: უნდობლობისათვის — ვინც უშუალოდ განაგებს ფულად და სასაქონლო ფასეულობებს (ე. წ. მატერიალურად პასუხისმგებელი პირები), ხოლო ამორალური ქცევისათვის კი — ის მუშაკები, რომლებიც აღმზრდელით ფუნქციებს ასრულებენ (მუხლი 35).

კოდექსის 34-ე მუხლში დაზუსტებულია, რომ დათხოვნა შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი სასჯელის ზომები (პ. 3).

კოდექსი უხანგრძლივებს რა მუშებსა და მოსამსახურეებს დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში სამუშაო ადგილის შენარჩუნების ვადას 4 თვემდე, ნაცვლად 2 თვისა, აწესებს შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადებით გამოწვეული ავადმყოფებისათვის სამუშაო ადგილის შენახვას გამოჯანმრთელებამდე ან ინვალიდობის დადგენამდე (34-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

კოდექსის სპეციალური 36-ე მუხლი ეთმობა მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების მქონე მუშაკთა კატეგორიის განსაზღვრას.

ისევე, როგორც საფუძვლებში, კოდექსის 37-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო. ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ამ წესის დაუცველად დათხოვნილი მუშაკი აღდგენილ უნდა იქნეს წინანდელ სამუშაოზე.

ამავე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციას უფლება აქვს მოშალოს შრომის ხელშეკრულება არაუგვიანეს ერთი თვისა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის მიღების დღიდან, ხოლო დისციპლინის სისტემატური დარღვევისა და არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის მოტივებით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში დღიდან ვადაცდომის გამოძედავებისა. კოდექსი გამორიცხავს დათხოვნის შესახებ მუშაკის წინასწარ გაფრთხილებას და სათანადო შემთხვევებში ითვალისწინებს მხოლოდ გასასვლელი დახმარების გაცემას ორი კვირის ხელფასის ოდენობით.

შრომითი ურთიერთობის დარგში სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილ წესს, რომელიც ითვალისწინებს პროფკავშირული ორგანოს (არა ნაკლებ რაიონულისა) მოთხოვნით იმ ხელმძღვანელი მუშაკის სამუშაოდან მოხსნას ან ჩამოქვეითებას, ვინც არღვევს შრომის კანონმდებლობას, იჩენს ბიუროკრატიზმს, აჭიანურებს საქმეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ 1971 წლის 23 ივნისის დადგენი-

ლებით⁵ განმარტეს, რომ პროფორგანოს ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში გამოტანილი იყოს ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების, მთავარი სპეციალისტების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფების (სამქროების, განყოფილებების, ლაბორატორიების და ა. შ.) ხელმძღვანელთა და მათი მოადგილეების მიმართ.

კოდექსის მე-4 თავი ეთმობა სამუშაო დროის საკითხებს. მათგან ჩვენ შევჩერდებით 49-ე და 55-ე მუხლებზე. 49-ე მუხლის მიხედვით მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა. მართალია, ამ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით, მაგრამ იგი არ იწვევს მუშაკისათვის ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის, შრომის სტაჟის გამოთვლისა და სხვა შრომითი უფლებების რაიმე შეზღუდვას. ეს წესი, ერთი მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მშრომელთა დამატებითი კონტინგენტის მიზიდვას საწარმოებში და ორგანიზაციებში, აგრეთვე კადრების დენადობის შემცირებას და მეორე მხრივ, დიდ შეღავათს აძლევს მშრომელთა ცალკეულ კატეგორიას, განსაკუთრებით ქალებს და ინვალიდებს.

კოდექსის 55-ე მუხლში მოცემულია ზეგანაკვეთურ სამუშაოთა დაშვების გამონაკლისი შემთხვევები, რაც ხელს შეუწყობს უკანონო ზეგანაკვეთური სამუშაოების წინააღმდეგ ბრძოლას.

კოდექსის მე-5 თავში განსაზღვრულია დასვენების დროის საკითხები. მიჩნეულია რა საერთო დასვენების დღედ კვირა, კოდექსი ადგენს დასვენების დღეების დადგენის წესებს ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, უწყვეტად მოქმედ, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მშრომელთა დასვენების რეალური უზრუნველყოფის მიზნით, 68-ე მუხლი კრძალავს შვებულების შეცვლას ფულადი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვილ მუშაკს შვებულებით არ უსარგებლია. 72-მუხლი ადგენს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეთ ყოველ წელს, დადგენილ ვადებში. ყოველწლიური შვებულება გადატანილი ან გაგრძელებულ უნდა იქნეს მუშაკის დროებითი შრომისუუნარობისას ან მის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისას.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მუშის ან მოსამსახურისათვის მიმდინარე სამუშაო წელს შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ნორმალურ მსვლელობაზე დასაშვებია, მუშაკის თანხმობით, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შვებულების გადატანა შემდეგი წლისათვის. ეს წესი არ ვრცელდება თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებზე და იმ მუშაკებზე, რომლებსაც შრომის მეტე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შვებულების უფლება ე. ი. ამ კატეგორიის მუშაკებმა შვებულებით უნდა ისარგებლონ ყოველწლიურად.

74-ე მუხლი ითვალისწინებს მუშაკის თხოვნით, ოჯახური პირობებისა და

სხვა საბატიო მიზეზების გამო, მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემის შესაძლებლობას. არც კოდექსი, არც „საფუძვლები“ და არც სხვა ნორმატიული აქტი ან ოფიციალური ორგანოს განმარტება არ შეიცავს „მოკლევადიანი“ შვებულების ხანგრძლივობის განსაზღვრას. ჩვენი აზრით, მოკლევადიანი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი შვებულების ხანგრძლივობას, თუმცა პრაქტიკაში დამკვიდრდა ერთი თვის ხანგრძლივობის უხელფასო შვებულების მიცემა.

გარკვეულ სიახლეს შეიცავს 98-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მუშაკის უფლებას მიიღოს ხელფასი ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის; მეოთხე ნაწილი კი ადგენს, რომ ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის.

„საფუძვლების“ 49-ე მუხლის შესაბამისად, კოდექსის 122-ე მუხლი ადგენს, რომ მუშაკის მიერ საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ მუშაკის წერილობითი თანხმობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციის განცხადებით, საკითხს განიხილავს სახალხო სასამართლო.

შრომის კანონთა კოდექსის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა უფლებებისა და ვალდებულებების მჭიდრო, განუწყვეტელი კავშირი. ამიტომ შრომის დისციპლინის დაცვის საკითხებს კოდექსში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. მასში ასახულია ვ. ი. ლენინის იდეები შრომის სოციალისტური დისციპლინის შესახებ.

შრომითი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობის, შრომაში ნოვატორობისა და მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის კოდექსი ითვალისწინებს წახალისების სხვადასხვა ზომას. ბეჯით და კეთილსინდისიერ მშრომელებს ეძლევათ უპირატესობა საბინაო-საყოფაცხოვრებო და სოციალ-კულტურული მომსახურების დარგში (მუხლი 133).

კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე შემოქმედების სხვადასხვა ზომებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ (მუხლი 135).

კოდექსის სპეციალური თავები განსაზღვრავენ ქალებისა (თავი 12) და ახალგაზრდების (თავი 13) შრომით უფლებებს. აკრძალულია ქალის და თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება მავნე პირობებიდან და მიწისქვეშა სამუშაოებზე. აკრძალულია ორსული ქალები და მეძუძური დედები, აგრეთვე ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ამუშაონ ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებში; დაუშვებელია აგრეთვე მათი გაგზავნა მივილინებებში.

კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ქალები, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს, სარგებლობენ იმ შეღავათებით და უპირატესობით, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისათვის. ქალებს, რომლებმაც ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევათ შვებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს 56 დღე. ამ ხნის განმავლობაში ქალებს ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სო-

ციალური დაზღვევის წესით, მათვე ეძლევათ დამატებითი უხელფასო შვებულება მანამდე სანამ ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი.

თუ აღრე მოქმედი წესით, მეძუძურ და ერთ წლამდე ასაკის ბავშვების დედებს, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლეოდათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის ყოველ სამანხევარ საათში, კოდექსის 163-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებითი შესვენების გაცემას ყოველ სამ საათში, არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით. თუ ქალს ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, მისი შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს არა ნაკლებ ერთ საათს.

სამუშაოზე მიღებისას აკრძალულია ქალებისათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობასთან ან ბავშვის კვებასთან დაკავშირებული მოტივებით. ამ კატეგორიის ქალების სამუშაოდან დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით არ შეიძლება, გარდა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით.

სპეციალური გარანტიებია დაწესებული არასრულწლოვანთა სამუშაოდან დათხოვნის საკითხშიც. ადმინისტრაციის ინიციატივით თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის თანხმობით.

სიახლეა 178-ე მუხლში, რომელიც ადგენს, რომ არასრულწლოვანის მშობლებს, მშვილებლებს და მზრუნველს, აგრეთვე სათანადო სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მისი მოქმედების გაგრძელება ემუქრება არასრულწლოვანის ჯანმრთელობას ან არღვევს მის კანონიერ ინტერესებს. შედეგათები დედობისა და მომავალი თაობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

კოდექსს აქვს სრულიად ახალი თავი, რომელიც ეხება იმ მუშა-მოსამსახურეთა შედეგათებს, ვინც მუშაობას უთავსებს სწავლას (თავი მე-14). მისი ცალკეული მუხლები ადგენენ შედეგათებს მოსწავლე მუშა-მოსამსახურეებისათვის შვებულების, სამუშაო დღის შემცირებისა და სასწავლებლის ადგილამდე მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების საკითხებში, ავალდებულებენ საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციას შექმნას მუშაობის სწავლასთან უთავსებისათვის საჭირო პირობები.

სპეციალური გარანტიებია დადგენილი არჩევით თანამდებობებზე არჩეულ მუშა-მოსამსახურეებისათვის. სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არჩეულთ, რწმუნების ვადის დამთავრების შემდეგ ეძლევათ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა); ხოლო თუ ასეთი არ არის, — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) ამავე, ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში (მუხლი 109). სპეციალური გარანტიებია აგრეთვე დაწესებული დისციპლინური სასჯელების დადებისა და სამუშაოდან დათხოვნის საკითხებში პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების წევრებისა და თავმჯდომარეებისათვის (მუხლი 228).

შრომის დავის განხილვის წესები კოდექსში ძირითადად უცვლელი დარჩა. ნაწილობრივ შეიცვალა სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნის

განაჩივრების წესი. ამ კატეგორიის დავებს განიხლავენ უშუალოდ სახალხო სასამართლოები შრომითი დავის კომისიისა და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისათვის მიუმართავად. ამასთან, კოდექსი ითვალისწინებს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიას ნებისმიერ დროს, ხანდაზმულობის ვადით შეუზღუდავად, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო — რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოდექსში, საფუძვლების შესაბამისად, გადიდებულია მუშაკის სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებით ან გადაყენებით გამოწვეული გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების ოდენობა. 207-ე მუხლი ადგენს, რომ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშაკს აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ასეთივე ოდენობით აუნაზღაურდებათ ხელფასი მაშინაც, როდესაც შრომის წიგნაკში სწორად არ არის ფორმულირებული დათხოვნის მიზეზი, რაც მუშას ან მოსამსახურეს ხელს უშლიდა მოწყობილიყო ახალ სამუშაოზე.

აწესებს რა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, რომელთაც ბრალი მიუძღვით კანონის აშკარა დარღვევით მუშაკის დათხოვნაში და სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, აგრეთვე სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების შესრულების გაჭიანურებაში, კოდექსის 209-ე მუხლი ითვალისწინებს მათს მატერიალურ პასუხისმგებლობას სამი თვის ხელფასის ფარგლებში (ნაცვლად ხელფასის ერთი მესამედისა).

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი კიდევ სხვა მრავალ საყურადღებო საკითხს მოიცავს. მისი მიღება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებასა და ამ საფუძველზე მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის, შრომითი ურთიერთობის დარგში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებასა და, საბოლოო ანგარიშით, სკკპ 24-ე ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას.

და დღესაც მოითხოვს ბუნებაზე „ძალადობის“ განხორციელებას. მაგრამ ეს „ძალადობა“, ჩარევა ბუნებრივ პროცესებში უნდა იყოს გონივრული, მეცნიერულად დასაბუთებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიგონოთ მარქსის წერილი ენგელსისადმი, სადაც იგი, უკეთებს რა ანალიზს ბუნებრივი რესურსების არასწორი გამოყენების შედეგებს, წერს, რომ კულტურამ თუ იგი სტიქიურად ვითარდება და გონივრულად არაა წარმართული, შეიძლება დედამიწა უღაბნოდ აქციოს.²

ბუნების დაცვის საკითხთა შორის, უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს ატმოსფეროს გაბინძურებას. დედამიწის ატმოსფერო ყოველწლიურად ასეულ მილიონობით ტონა მავნე გაზებით ჭუჭყიანდება, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მთელს გარემოზე და, რა თქმა უნდა, ადამიანზეც. ეს პროცესი სულ უფრო ინტენსიური ხდება. კერძოდ, როგორც დაკვირვებები ცხადყოფენ, თანდათან მატულობს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემადგენლობა, რასაც თან სდევს ჟანგბადის რაოდენობის საგრძნობი შემცირება. ეს კი სიკვდილით ემუქრება ყოველივე ცოცხალს დედამიწაზე.³

კიდევ უფრო მწვავედ დგას წყლების გაჭუჭყიანების საკითხი. მიუხედავად საერთო პროგრესისა, ეს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემაა. წყლების გაჭუჭყიანების ძირითადი მიზეზია ქარხნებში, კომუნალურ საწარმოებში და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული გაუწმენდელი და არასაკმარისად გასუფთავებული ჩამდინარე წყლები. მათი „წყალობით“ მცირდება წყალში ჟანგბადის შემადგენლობა, რასაც ფრიალ არასასურველი ჯაჭვური რეაქცია მოსდევს.⁴

წყლის რესურსების მდგომარეობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ზღვებისა და ოკეანეების გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა. მსოფლიო ოკეანეთა დაცვის პრობლემა ნავთობისაგან, მავნე ლითონებისაგან, რადიოაქტიური და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებისაგან განსაკუთრებით იმ ქვეყნების საზოგადოებრიობას აღელვებს, რომლებიც უპირატესად აქ მოიპოვებენ სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებს.

გარემომცველი სამყაროს დაცვის პრობლემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიწების რაციონალურად გამოყენება მიიჩნევა. აგროტექნიკის არამეცნიერული, არაგვემური გამოყენების შედეგად ხდება მიწების მასობრივი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია (ისეთ განვითარებულ სახელმწიფოშიც კი, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ვარგისი მიწების 10 პროცენტი ეროზირებულია სრულად, 57 პროცენტი კი ეროზიას განიცდის).

შხამქიმიკატების არასწორად გამოყენებისას ისპობა არა მხოლოდ მავნე, არამედ სასარგებლო მცენარეები და მწერები. მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების ცუდად გამოყენება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მიწების ნაყოფიერებას, ცოცხალ არსებებს, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე ბინადრობენ და უზრუნველყოფენ მასზე მიმდინარე პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას.⁵

გარემომცველი სამყაროს დაცვის პრობლემა მნიშვნელოვნად წარმოგიდგება ფლორისა და ფაუნის დაცვის თვალსაზრისითაც. უამრავი მაგალითები

² К. Маркс, Ф. Энгельс. Соч. изд. 2, т. XXXII, стр. 45, М., 1964.

³ Вудвел Дж. Круговорот энергии в биосфере («Биосфера, Изд. «Мир», 1972, стр. 41 — 59).

⁴ Пенмен Х. Круговорот воды («Биосфера», стр. 60 — 73)

⁵ Диви мл. Э., Круговорот минеральных веществ («Биосфера», стр. 120 — 139).

ცხადყოფენ, რომ ადამიანთა არასწორმა მოქმედებამ გამოიწვია მრავალი მცენარისა და ცხოველის სრული გადაშენება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.⁶

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოლოგიური ბუნებრივი რესურსების ეფექტური, მაგრამ მომჭირნეობით გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი რაოდენობითაა, ერთი რამ აქვთ საერთო: არაადღეენადი არიან და ამდენად მათი რაოდენობა განსაზღვრულია. ამასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ბუნებრივი რესურსების მოპოვება წლითიწლობით იზრდება, რამაც კაცობრიობა შეიძლება ენერგეტიკულ შიმშილამდე მიიყვანოს.⁷

აი არასრული სურათი, რაც ბუნების თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვისას წარმოგვიდგება. ზემოაღწერილი პროცესები დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის, ამიტომ ყოველი სახელმწიფო სასიცოცხლოდ დაინტერესებულია შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებით. უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში (საბერძნეთი, დანია, ნიდერლანდი, შვეიცარდია, გფრ) მიღებული იქნა ბუნების კომპლექსური დაცვის კანონები, მაგრამ ამ კანონებით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფერო შეზღუდულია, რადგანაც ისინი ვერ ვრცელდებიან კაპიტალისტურ კერძო საკუთრებაში მყოფ ბუნების ისეთ ობიექტებზე, როგორცაა სასარგებლო წიაღისეული, წყლები და ტყეები. ყოველივე ეს ძალიან ამცირებს ამ კანონთა ქმედითობას.

საბჭოთა სახელმწიფო ფლობს გარემომცველი სამყაროს დაცვის პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის დიდ შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამაა გაკეთებული. ამერიკელი კონგრესმენი, გარემომცველი სამყაროს დაცვის საბჭოს წევრი გ. მაკდონალდი აღნიშნავს: „ძალიან ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა გარემომცველი სამყაროს დაცვის პერსპექტიულ დაგეგმვას“.⁸

გ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ წლებშივე გეგმავდა საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი განვითარების გზებსა და ტემპებს, ხაზს უსვამდა ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების აუცილებლობას. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ინტერვენციით გამოწვეული ნგრევა და შიმშილი სუფევდა, რაც დალუბვით ემუქრებოდა პროლეტარიატის მონაპოვარს, ლენინი პოულობდა დროსა და საშუალებას ბუნებრივი რესურსების დაცვის კანონმდებლობის შემუშავებისათვის. 1918 წლის მაისში სვერდლოვთან ერთად ლენინმა შეიმუშავა და ხელი მოაწერა დეკრეტს ტყის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ტყის მასივების დაცვასა და გაზრდას. ფრიად მნიშვნელოვანი იყო დეკრეტი მიწის შესახებ. ლენინის მითითებითვე შეიქმნა ასტრახანის ნაკრძალი. ნაკრძალების სამართლებრივმა მდგომარეობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა დეკრეტი ბუნების ძეგლთა და პარკების შესახებ და სხვ.

ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის ლენინური ზრუნვა ასახულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და კულტურული განვითარების თანამედროვე პროგრამაში. მოხსენებაში—„სოციალიზმის დიადი გამარჯვების 50 წელი“ ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „...ბუნებას არ დაუკარგავს ჩვენთვის თავისი დი-

⁶ იხ. უ. ღორსტი, დასახ. შრომა, გვ. 138—197.

⁷ **Сингер С.** Производство энергии человеком, как процесс в биосфере, («Биосфера», стр. 139—155).

⁸ ციტირებულია ბ. სვეტლოვის სტატიიდან «Советско-американские отношения на современном этапе», «Международная жизнь», 1973, № 2, стр. 39.



დი ფასი, როგორც მატერიალურ ფასეულობათა პირველ წყაროს, როგორც ჯანმრთელობის, სიხარულის, ცხოვრების სიყვარულის, თითოეული ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროს“.⁹ დღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს მიღებული კანონი ბუნების დაცვის შესახებ. მიუხედავად იმ დიდი წარმატებებისა, რასაც საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია ამ დარგში, ყველაფერი რიგზე როდია. ამის შესახებ იყო მსჯელობა 1972 წელს უმაღლესი საბჭოს სექტემბრის სესიაზე. ნაკლოვანებათა გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულ იქნა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ბუნების დაცვის დარგში. ეხებოდა რა სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხს, ლ. ი. ბრეჟნევი XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ამბობდა: „ჩვენ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის დასახულ კოლექტიურ საერთაშორისო ღონისძიებებშიც“.¹⁰

სსრ კავშირი თანამიმდევრულად ახორციელებს თანამშრომლობის ამ გეგმას. 1972 წლის მაისში დადებულ იქნა ხელშეკრულება შეერთებულ შტატებთან ბუნების დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ. მსგავსი სახის ხელშეკრულებები იქნა დადებული აგრეთვე საფრანგეთთან, ინგლისთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.¹¹

ბუნების დაცვის მოწესრიგება მხოლოდ შინასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით საკმარისი არ არის; იგი სცდება ეროვნულ ფარგლებსა და საერთო-საკაცობრიო ამოცანად წარმოგვიდგება. ქვეყნებს შორის ბუნების დაცვის დარგში თანამშრომლობის აუცილებლობა განპირობებულია მათ შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირის არსებობით, შრომის საერთაშორისო დანაწილებით.

მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით იყოფა ორ ჯგუფად: საერთაშორისო და შინასახელმწიფოებრივ (ეროვნული) სარგებლობის რესურსებად. ბუნების საერთაშორისო რესურსებს განეკუთვნებიან: ღია ზღვა მისი სიმდიდრით, ანტარქტიკის მატერიკის ბუნებრივი სიმდიდრეები 1959 წელს ანტარქტიკის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ზონაში, კოსმოსური სივრცე, კოსმოსური სხეულები, ატმოსფერული ჰაერი. მათგან განსხვავებით საერთაშორისო და სასაზღვრო მდინარეები, არხები, ტბები, კონტინენტური შელფი და მათი ცოცხალი რესურსები (თევზები, აგრეთვე ცხოველები და ფრინველები), რომლებიც მიგრირებენ, აგრეთვე ტერიტორიული ზღვის ასეთივე ფაუნა — ყველაფერი ეს სახელმწიფოთა საკუთრებაა, მაგრამ ამავე დროს არ კარგავს საერთაშორისო სტატუსს.

რამდენადაც თანამედროვე პირობებში ბუნების დაცვის საქმე მეტად აქტუალური გახდა, დასაშვებად (და, შესაძლებელია, აუცილებლადაც) უნდა მივიჩნიოთ ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ობიექტთა წრის გაფართოება, მისი განვრცობა სახელმწიფოთა ნაციონალურ რესურსებზე. ამ საკითხის დასმისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც იგი სახელმწიფო სუვერენიტეტს, საერთაშორისო სამართლის ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპს

⁹ გაზ. „კომუნისტი“, 1967 წლის 5 ნოემბერი.

¹⁰ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა, თბ., 1971, გვ. 74.

¹¹ ტექსტები გამოქვეყნებულია ჟურნ. «Новое время», 1971, № 5, გვ. 24-25; 1972, № 23, გვ. 43-44.

ეხება. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი თანამშრომლობა თავიანთი შინასახელმწიფოებრივი რესურსების დაცვის საქმეში, რაც მათი ინტერესებიდან გამომდინარეობს და რასაც, საბოლოო ჯამში, საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა ექნება. უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიულ ლექსიკონშიც ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა დაახლოებით ამ აზრითაა განმარტებული: „ბუნების საერთაშორისო დაცვა — ესაა ერთობლივა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ბუნების დაცვისათვის სახელმწიფოთა მოქმედების ერთიანობის დადგენას...“.¹²

ბუნების დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ისტორია გასული საუკუნის მიწურულიდან იწყება. ეს თანამშრომლობა ხორციელდებოდა როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შეთანხმებებით და უმთავრესად მიმართული იყო ბუნების ცალკეული ობიექტების დაცვისა და რაციონალური გამოყენებისაკენ. ასეთი იყო მაგალითად რაინის აუზში ორაგულის ჰერის მარეგულირებელი ხელშეკრულება (1886 წ.), სოფლის მეურნეობის სასარგებლო ფრინველების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (1902 წ.) და სხვ.

პირველი სერიოზული ღონისძიება საერთაშორისო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის იყო 1910 წელს ავსტრიაში ჩატარებული მსოფლიო ზოოლოგიური კონგრესი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ბუნების დაცვის საერთაშორისო კონსულტაციური კომისია. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ ორგანიზაციის საქმიანობას. ამრიგად, ბუნების დაცვის საერთაშორისო ცენტრის შექმნის პირველ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

შემდეგ ეს საკითხი განიხილებოდა ბერნის ბუნების დაცვის სამთავრობათშორისო კონფერენციაზე (1913 წ.), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ბუნების დაცვის საერთაშორისო კონსულტაციური კომისია. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ ორგანიზაციის საქმიანობას. ამრიგად, ბუნების დაცვის საერთაშორისო ცენტრის შექმნის პირველ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

ერთა ლიგას ფაქტიურად არავითარი წვლილი არ შეუტანია ბუნების დაცვის საქმეში. 1923 წელს საფრანგეთის მთავრობამ პარიზში მოიწვია ბუნების დაცვის I საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც აგრეთვე ვერ შესძლო პრობლემის გადაჭრა. მეორე მსოფლიო ომამდე მრავალი კონფერენცია ჩატარდა, რომელთა შედეგად შესაძლებელი გახდა ცხოველთა და მცენარეთა ზოგიერთი სახეობის საერთაშორისო დაცვა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ ეს კონფერენციები არ სარგებლობდნენ მთავრობათა მხარდაჭერით და ამდენად მეტწილად არაეფექტური იყვნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შვეიცარიის ბუნების დაცვის ლიგა გამოვიდა ბუნების დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატორად: 1946 და 1947 წლებში მოწვეულ იქნა ორი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც შეიქმნა „ბუნების დაცვის დროებითი კავშირი“, რომელმაც წინადადებით მიმართა იუნესკოს დახმარება გაეწია მისთვის. 1948 წელს იუნესკომ საფრანგეთის მთავრობასთან ერთად მოიწვია დამფუძნებელი ასამბლეა. 1948 წლის 5 ოქტომბერს მიღებულ იქნა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წესდება. დღეს ამ ორგანიზაციას ბუნებისა და ბუნებრივი

¹² Дипломатический словарь, т. II, М., 1971, стр. 43.

რესურსების დაცვის კავშირი ეწოდება. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. მორ-
ქში (შვეიცარია).

რამდენადაც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი არამთავრობითი
ორგანიზაციაა, მის წევრობას არ მოსდევს რაიმე იურიდიული შედეგები სა-
ხელმწიფოებისათვის. ეს ორგანიზაცია ერთადერთია არსებულ 2000 საერთა-
შორისო და ნაციონალურ ორგანიზაციათა შორის, რომლის საქმიანობა მიმარ-
თულია ბუნების კომპლექსური დაცვისაკენ.

ორგანიზაციის დებულების 1 მუხლის თანახმად „კავშირი ხელს უწყობს
თანამშრომლობის განვითარებას იმ მთავრობათა, ეროვნული და საერთაშორისო
ორგანიზაციათა, აგრეთვე ცალკეულ პირთა შორის, რომლებიც შეისწავ-
ლიან ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებს“. კავშირის მუ-
შაობის ყველაზე აქტიური ფორმაა მის მიერ მოწვეული კონფერენციები გა-
ერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და თანამშრომლო-
ბით. პირველი ასეთი კონფერენცია მოწვეულ იქნა 1949 წელს შეერთებულ
შტატებში (ლეიკ-საქსესი) და მიეძღვნა ბუნების დაცვის მეცნიერების განვი-
თარებას, ეკოლოგიური გამოკვლევების გაფართოებას ბუნებრივი რესურსე-
ბის დაცვის საქმეში, იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ ცხოველთა დაც-
ვის გაძლიერებას. კონფერენციას თავმჯდომარეობდა გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე. გაეროს
გენერალურმა მდივანმა კონფერენციას მიმართა წერილით, რომელშიც იგი
მოუწოდებდა ყველა ქვეყანას ერთობისა და თანამშრომლობისაკენ ბუნების
დაცვის დარგში.

მეორე კონფერენცია (ჰააგა, 1951 წ.) მიეძღვნა განსაზღვრული ლანდშაფ-
ტების, სახელდობრ მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების ფლორისა და ფაუნის
დაცვას; მესამე კონფერენცია (კარაკასი, 1952 წ.) — ჰიდრომშენებლობისა და
ბუნებრივი რესურსების კომპლექსურ გამოყენებას.

მეოთხე კონფერენცია (ზალცბურგი, 1953 წ.) იხილავდა მაღალმთიანი
რაიონების ფლორისა და ფაუნის დაცვის საკითხს, აგრეთვე ბუნების დაცვასა
და გამოყენებასთან დაკავშირებით — ტურიზმის საკითხს.

მეხუთე კონფერენცია (კოპენჰაგენი, 1954 წ.) მიეძღვნა არქტიკის ცხო-
ველთა დაცვისა და ცალკეულ შხამქიმიკატთა შემოქმედებას ფაუნაზე. მეექვსე
კონფერენცია (ელინბურგი, 1956 წ.) — ნაკრძალების მართვის ორგანიზაციას
თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით და ადამიანის მიერ განადგურე-
ბული ლანდშაფტების აღდგენის საკითხს.

მეშვიდე კონფერენცია (ათენი, 1958 წ.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო
ყველა სხვა კონფერენციათა შორის და იხილავდა რადიოაქტიური გამოსხივე-
ბის დამლუპველ შედეგებს და მასთან ბრძოლის საშუალებებს, აგრეთვე ნია-
დაგებისა და წყლების დაცვას განსაკუთრებით ნახევრად გამომშრალ ადგილებ-
ში, ჰიდროტექნიკური მშენებლობების ზეგავლენას გარემომცველ სამყაროზე,
ხმელთაშუა ზღვის იშვიათი ფაუნის დაცვას.

მერვე კონფერენციამ (ვარშავა, 1960 წ.) დაწვრილებით განიხილა ადამიან-
ისა და თანამედროვე ტექნიკის მავნე შემოქმედების შედეგები ბუნებასა და
მის რესურსებზე, შეაჯამა ცხოველებთან და მცენარეებთან ბიოლოგიური და
ქიმიური ბრძოლის მავნე შედეგები.

მეცხრე კონფერენცია (ნაირობი, 1963 წ.) მიეძღვნა ტროპიკული ბუნების
დაცვის საქმეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, აზიის, აფრიკისა და ლათინური

ამერიკის ქვეყნებისათვის, ლუცერნის 1966 წლის კონფერენციის განხილვის ობიექტი იყო ქალაქებისა და სოფლების ლანდშაფტების დაგეგმვის ეკონომიკური პრობლემები. დელის 1969 წლის კონფერენცია მიეძღვნა ნიადაგებისა და წყლების რესურსების დაცვას, მათი გაჭუჭყიანების ზეგავლენას ბუნებრივ კომპლექსებზე, უპირველესად კი დიდ მდინარეებზე, გარეულ ცხოველთა რაციონალური გამოყენების პრობლემას.

თუმცა კონფერენციების დასკვნები არ არის რეკომენდაციის სახისა (რეკომენდაციების შემუშავება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეის პრეროგატივაა), ისინი დიდად მნიშვნელოვანია. ეს კონფერენციები ის ფორუმი, რომელზეც ხდება მოცემული დროისთვის მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესწავლა, გაანალიზება და ამის შედეგად სათანადო დასკვნების გამოტანა. ხშირად ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა რეკომენდაციის სახეს აძლევს კონფერენციის დასკვნას, რაც მეტად მნიშვნელოვანია მორალური თვალსაზრისით. გ. ტუნკინი სწორია, როცა წერს, რომ მორალური ნორმები ბევრ შემთხვევაში უფრო ქმედითია, ვიდრე ზოგიერთი იურიდიული ნორმა...¹³ თითოეულმა სახელმწიფომ ამ კონფერენციების გადაწყვეტილება ყურად უნდა იღოს და სახელმძღვანელო პრინციპად გამოიყენოს შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტისას.

იმ დიდ წვლილთან ერთად, რაც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირს შეაქვს ბუნების დაცვის საქმეში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ნაკლოვანებებიც, რომლებიც შეინიშნება მის მუშაობაში. ნაკლები ყურადღება ეთმობა ტყეების, ნიადაგებისა და წყლების დაცვის ეკონომიკური ასპექტების შესწავლას; ჯერ კიდევ ნაკლებად ხდება საკითხთა კომპლექსური შესწავლა. მათ აღმოსაფხვრელად ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა დასახა გეგმა, რომლის საფუძველზე უნდა გადაიჭრას სამი ძირითადი ამოცანა: 1. მომზადდეს ბუნების დაცვის პერსპექტიული გეგმა; 2. გამოიძებნოს სახსრები ამ გეგმის თანმიმდევრულად შესასრულებლად; 3. კონსულტაციური სახის დახმარება გაეწიოს დაინტერესებულ სახელმწიფოებს ბუნების დაცვის საქმეში.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი თანდათან უფრო უნივერსალური ხდება; სახელდობრ, თუ 1950 წელს იგი აერთიანებდა 4 ქვეყნის შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებს, ამჟამად, 1973 წელს, კავშირში ითვლება უკვე 31 ქვეყნის შესაბამისი ორგანიზაციები. ეს ცხადყოფს სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარების ტენდენციებს ამ მიმართებით.

ბუნების დაცვის საქმეში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის ბუნების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლების სათანადოდ შესწავლას. კერძოდ, ამაზე მეტყველებს ის მზარდი ყურადღება, რასაც გაერო აქცევს ბუნების დაცვის საკითხს. პრინციპული დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი ჩამოყალიბებულია გაეროს გენერალური ასამბლეის XVII სესიის 1962 წ. 18 დეკემბრის რეზოლუციაში „ეკონომიკური განვითარება და ბუნების დაცვა“. ეს რეზოლუცია წარმოადგენს თანამედროვე პირობებში ბუნების დაცვის საკითხის გადაწყვეტის ქვაკუთხედს, რამდენადაც მან აღიარა, რომ ბუნებრივი რე-

¹³ ტუნკინი გ. Теория. международного права, изд. «Международные отношения», М., 1970, стр. 202.

სურსების დაცვა, აღდგენა, გამდიდრება, რაციონალური გამოყენება და მათი მწარმოებლობის ამაღლება წარმოადგენს უმუშაოდ სახელმწიფოს მოვალეობებს და რომ ბუნებრივი რესურსები ასრულებენ უაღრესად მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოთა ეკონომიურ განვითარებასა და ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებაში. ბუნების დაცვა, ამ რეზოლუციის თანახმად, განიხილებოდა როგორც სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მუდმივმოქმედი ორგანული ფუნქცია.

გაეროს წესდება ბუნების დაცვის საქმეში თანამშრომლობის დიდ შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, რამდენადაც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, რათა შეიქმნას სტაბილობისა და კეთილდღეობის მდგომარეობა, რაც ესოდენ აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად:

ბუნების დაცვის პრობლემის გადასაწყვეტად გაეროს გენერალური ასამბლეა რეკომენდაციებით მიმართავს წევრ სახელმწიფოებს ითანამშრომლონ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან და ამ პრობლემის განმხილველ სხვა ორგანიზაციებთან, დაიცვან ბუნების დაცვის შესახებ არსებული საერთაშორისო შეთანხმებები, მიიღონ უფრო სტაბილური შინასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, გააფართოონ ინფორმაციის გაცვლა, გააძლიერონ ბუნების დაცვის პრობაგანდა.¹⁴

ბუნების დაცვის სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რაც გაერომ შეიტანა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საქმეში. 1955 წელს გენერალური ასამბლეის X სესიის რეზოლუციის თანახმად შეიქმნა ატომური რადიაციის მოქმედების შემსწავლელი სამეცნიერო კომიტეტი, რომელმაც მეტად შრომატევადი სამუშაოს შემდეგ მოხსენება წარუდგინა გენერალურ ასამბლეას. გაეროს XVII სესიის რეზოლუცია ამ საკითხზე საფუძვლად დაედო მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყლის ქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

გაეროს გენერალური ასამბლეის დავალებით 1951 წელს საერთაშორისო სამართლის კომისია შეუდგა წყლის ცხოველების საერთაშორისო დაცვისა და რეგულირების საკითხის (როგორც ღია ზღვის რეჟიმის პრობლემის ნაწილის) განხილვას. კომისიამ შეიმუშავა კონვენციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას ზღვის ცხოველთა დაცვისა და გამოყენების სფეროში.

1958 წელს ქენევაში შედგა კონფერენცია, რომელზეც საზღვაო სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას შემუშავებულ იქნა აგრეთვე, თევზჭერისა და ღია ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის კონვენცია. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მრავალი სახელმწიფოს ისტერესებს, საბჭოთა კავშირმა ხელი არ მოაწერა მას.

ბუნების დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის აზრით ძალზე მნიშვნელოვანია ვაშინგტონის 1959 წ. ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ, რომლის თანახმადაც ანტარქტიკა გამოცხადდა დემილიტარიზებულ და ნეიტ-

¹⁴ Международные соглашения по охране природы, Сборник документов, М., Ю/изд., 1970, стр. 301.

რალურ ზონად. დედამიწის ამ რაიონში აიკრძალა თანამედროვე სამხედრო ტექნიკის გამოყენება.¹⁵

იმ ორგანოთა შორის, რომლებიც მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ ბუნების დაცვის საქმეს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, იგი ახდენს სპეციალიზებულ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციას. აღსანიშნავია მის მიერ 1956 წელს მიღებული რეზოლუცია (XXI სესიაზე) წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების შესახებ.

1963 წელს მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების განვითარების მიზნით ამ საბჭომ შექმნა საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტმა შეიმუშავა ბუნების დაცვისა და მის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება. ასე მაგალითად, საბჭოთა მეცნიერების აქტიური მოთხოვნით კომიტეტის სამუშაო გეგმაში შეტანილ იქნა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, წყლის რესურსების განვითარებისა და ტყის მასივების გაფართოების საკითხები. ამ გეგმის განხორციელებას კომიტეტი შეუდგა 1968 წლიდან. სასარგებლო მუშაობას ეწევა საბჭოს ევროპული განყოფილება. მან განიხილა ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორცაა წყლების გატუქყიანების (1961 წ.), ატმოსფეროს გატუქყიანების (1965 წ.) და სხვა საკითხები. ამ ორგანიზაციის XVI სესიამ მოუწოდა ევროპის ქვეყნებს უფრო აქტიური თანამშრომლობისაკენ სათბობი და ჰიდროენერგეტიკული რესურსების დაცვის საქმეში.

ბუნების დაცვისა და კომპლექსური გამოყენების საკითხის გადაჭრა გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანას ორი ასპექტი აქვს: 1. ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო-სამართლებრივი დაცვის ფორმების და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ არსებული ინფორმაციის შეკრება, შედარებითი შესწავლა, გავრცელება და პოპულარიზაცია; 2. წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ორგანიზაცია და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა მათთვის. აღსანიშნავია ქმედითი გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ მიიღო 1962 წ. ქ. ღუბრონიკში (იუგოსლავია). ესაა ხმელთაშუა ზღვის აუზის სანაპიროს გატყიანების შესახებ. იგი დღესაც ხორციელდება. ორგანიზაციას აკისრია მოვალეობა, დახმარება აღმოუჩინოს ქვეყნებს ცოცხალი ბუნების დაცვაში მანე მწერებისა და ავადმყოფობებისაგან.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და კომპლექსური დაცვის გეგმების შემუშავება, ამ დარგში სპეციალისტების მომზადება და პრობაგანდის გაწევა იუნესკოს ერთ-ერთი ფუნქციაა. წესდების თანახმად მან უნდა „განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყოს მტკიცე მშვიდობის მიღწევასა და ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებას“.¹⁶

1960 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის XI სესიაზე მიიღეს ბუნების დაცვის პერსპექტიული გეგმა, სადაც, სხვა საკითხთა შორის გათვალისწინებული იყო ოკეანოლოგიურ გამოკვლევებზე სამთავრობათაშორისო კონ-

¹⁵ Курс Международного права, М., 1969, стр. 267.

¹⁶ Сборник действующих договоров, вып. XVI, стр. 583 — 595.

ფერენციის მოწვევა. ასეთი კონფერენცია მოწვეულ იქნა კოპეჰაგენში 1960 წელს. მისი მიზანი იყო წყლის რესურსების პრობლემების კოორდინირებული გადაჭრა, კერძოდ, როგორც ცოცხალი რესურსების დაცვის, ასევე მზარდი ატომური რადიაციის წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარება. უნესკო განსაკუთრებულ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს ბუნების დაცვის პრობლემების გადაჭრაში.

უკვე რამდენიმე ათეული წელია ბუნების დაცვის სანიტარიულ-ჰიგიენური ასპექტები ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განხილვის ობიექტია. ამ ორგანოს მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ადამიანთა ჯანმრთელობისა და ცოცხალი არსებების დაცვისათვის ეფექტური ბრძოლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოთა ერთიანი მეცადინეობით. 1961 წლიდან ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ეწევა ინფორმაციის შეკრებას ადამიანზე რადიაციის ზემოქმედების შესახებ; იგი დიდ ყურადღებას უთმობს ატომსფეროს გაქუჭყიანების პრობლემას.

ბუნების დაცვის პრობლემების ზოგადი ანალიზიც კი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ დღეს ხდება სახელმწიფოთა ძალების კონსოლიდაცია, რაც უპირველეს ყოვლისა გამოხატულებას პოულობს გაეროს საქმიანობაში. განუხრებლად აზრდება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის როლი, რომელიც გაეროს აქტიური მრჩეველი და კონსულტანტია.

ჯერ კიდევ 1958 წელს, უკეთებდა რა ანალიზს დედამიწაზე არსებულ მდგომარეობას, სსრ კავშირის წარმომადგენელი წინადადებით გამოვიდა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მე-16 სესიაზე იმის შესახებ, რომ ჩაეტარებინათ გაეროს კონფერენცია ხალხთა საკეთილდღეოდ ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენებისათვის. მაშინ ამ წინადადებას ვერ ჰპოვა საკმაო მხარდაჭერა, მაგრამ შემდეგ წლებში შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა გაეროს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას გაეზიარებინა საბჭოთა კავშირის წინადადება ამ საკითხში: 1963 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, 1972 წელს ბუნების დაცვის თაობაზე კონფერენციის მოწვევის შესახებ. ეს კონფერენცია მიმდინარეობდა ვენაში დღევანით — ადამიანი და გარემომცველი სამყარო“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნების დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობა სულ უფრო ღრმავდება და ფართოვდება, რაც ამ მხრივ, კაცობრიობის შემდგომი პროგრესის საწინდარია და მის საერთო კეთილდღეობის მიზანს ემსახურება.



საგარეო საზოგადოებრივი და მოქმედების განსხვავებული ვარიანტების შესახებ

ბ. ფხვლაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

თანამედროვე პირობებში სამართლის როლისა და ავტორიტეტის ზრდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერებაა. ამიტომ სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის საკითხის მეცნიერულ კვლევას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება.

I. თავისუფლება, აუცილებლობა და სამართალი

თავისუფლებას განსაზღვრავენ როგორც შეცნობილ აუცილებლობას. მაგრამ თვით აუცილებლობას რთული სტრუქტურა აქვს. აუცილებლობას ახასიათებს ღინამიურობა, გამოვლინების მრავალგვარობა, შემთხვევითობათა მასობრიობა. აუცილებლობის სფეროში შეგნებით და ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანთა ძალებია ჩართული. აუცილებლობა ადამიანთა მოქმედებებში თავისი გამოვლენის სხვადასხვა შესაძლებლობებს შეიცავს. ადამიანი შეიცნობს აუცილებლობის კონკრეტულ გამოვლინებებს და თავისი მიხედვლებით მოქმედების რამდენიმე ვარიანტიდან შეუძლია აირჩიოს ერთი. ადამიანი აუცილებლობას ზოგადად კი არ შეიცნობს, არამედ კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის სახით. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანს შეუძლია მრავალნაირად მოიქცეს, დამოუკიდებლად იმისა შეესაბამება თუ არა მის მიერ შერჩეული ვარიანტი საზოგადოების ან ცალკეული პირის ინტერესებს. პრინციპულად რომ ვიმსჯელოთ, ადამიანს შეუძლია იმოქმედოს როგორც საზოგადოების სასარგებლოდ, ისე მის საზიანოდ. ამიტომ მხოლოდ აუცილებლობის თვალსაზრისით არ არსებობს რაიმე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმი ადამიანის ქცევის განსაზღვრული მნიშვნელობით შეფასებისა, რადგან ადამიანის ყოველი მოქმედება, როგორც საბოლოო ჯამში აუცილებლობის გამოვლენა, თავისუფალია. საქმე ისაა, რომ სინამდვილის წინააღმდეგობრივი ხასიათი ქმნის სხვადასხვაგვარ

რი გადაწყვეტილებებისა და მოქმედების განსხვავებული ვარიანტების შესაძლებლობებს, ადამიანი კი, შეგნებისა და ნებელობის მეშვეობით, იყენებს ამ შესაძლებლობებს, იღებს გადაწყვეტილებას და აკეთებს არჩევანს.

მაგრამ ასეთი „თავისუფლება“ მხოლოდ ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენას ემყარება. ადამიანი — საზოგადოებრივი არსებაა, ის ცხოვრობს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში, ამიტომ არ შეიძლება ყველა მიზანდასახული მოქმედება და არჩევანი შესაბამებოდეს გაბატონებული კლასის ან მთელი საზოგადოების ინტერესებს, ე. ი. ადამიანის ყოველგვარი მოქმედება არ არის თავისუფალი, გაბატონებული კლასის ან მთელი საზოგადოების თვალსაზრისით. მაგრამ მეორე მხრივ, არჩევანი უკვე თავისუფლებაა სუბიექტური აზრით, რაც შეეხება არჩევანის სისწორეს — ეს შეფასების საკითხია. სწორედ აქ გამოიკვეთება ინდივიდუალური თავისუფლებისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის ურთიერთობა. რამდენადაც აუცილებლობის შესაძლებლობებს ადამიანები იყენებენ გაბატონებული კლასის ან საზოგადოების სასარგებლოდ ან საზიანოდ, ამდენად გაბატონებულ კლასს ესაჩიროება საზოგადოებაში ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენის მიზეზობრივი კავშირების ჭაჭვში ხელოვნური ჩარევა ადამიანთა მოქმედებების განსაზღვრული ეტალონების, მასშტაბების შემუშავება — დადგენის გზით. ასეთ ეტალონებს, მასშტაბებს წარმოადგენენ ადამიანთა ქცევის ნორმები — სოციალური ნორმები, რომელთა შესაბამისად მოქმედება გაბატონებული კლასის ან მთელი საზოგადოების თვალსაზრისით წარმოადგენს თავისუფალ მოქმედებას. ამდენად, თავისუფლება შეფასებითი კატეგორიაა, შეფასების კრიტერიუმი კი სოციალური ნორმებია, კერძოდ კი — სამართლებრივი ნორმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემყარება რა ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას, სამართალი აწესრიგებს ნე-



ბისყოფის თავისუფლების მოქმედების თავისუფლებაში გამოვლენის პროცესს.¹

ადამიანის მიერ აუცილებლობის შეცნობა გაშუალებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებით, მათ შორის სამართლის ნორმებით. ადამიანის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას, გაბატონებული კლასის ან საზოგადოების თვალსაზრისით არ არის თავისუფალი, თუმცა ასეთი მოქმედება აუცილებლობის გამოვლენის შესაძლებელ ფორმას წარმოადგენს, ამ აზრით, სოციალისტური სამართალი, როგორც მთელი საზოგადოების თვალსაზრისის კონცენტრირებული გამოვლენა, განასხიერებს თავისუფლების უფრო მაღალ საფეხურს, რადგან ადგენს ადამიანთა მოქმედების ისეთ ზომას, მასშტაბს, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებულ მართლშეგნებას შეესაბამება (თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი სწორად ასახავს აუცილებლობის გამოვლენის საზოგადოებრივად სასარგებლო ტენდენციებს). განსაზღვრავს რა ადამიანთა მოქმედებების მასშტაბს, სამართალი აწმარბობს მათ შედეგად წარმოშობილ შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებს². ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა შორის ამყარებს გარკვეულ წეს-

რიგს აუცილებლობის შესაძლებლობების ისეთი სახით ან მასშტაბით გამოყენებისათვის, რომელიც შეესაბამება საზოგადოებაში გაბატონებულ მართლშეგნებას. ეს აზრი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი ავტომატურად აღწევს იმ ეფექტს, რომელსაც ის მიზნად ისახავს. სამართალს შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს ისეთი ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებას, რომლებიც შეესაბამებიან მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ მართლშეგნებას და ხელი შეუშალოს მისთვის არასასურველი ურთიერთობების დამყარებას. საქმე ისაა, რომ სამართლის ნორმების შემოქმედება გაშუალებულია ადამიანის ინდივიდუალური ნებით, თუ ქცევის რა ვარიანტს აირჩევს ესა თუ ის პირი კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ამას სამართალი ვერ იწინასწარმეტყველებს, და ამას იგი არც აკეთებს. სამართლის ნორმა მხოლოდ მიუთითებს, რაც უნდა შესრულდეს. ამიტომ სამართლის ნორმას, როგორც ზედნაშენის ნაწილს, აქვს იდეალური არსებობა ჭრარარსობის სახით, ეს უკანასკნელი კი ეყრდნობა აუცილებლობის იმ ტენდენციას, რომლის განხორციელებაც გაბატონებული კლასის ან მთელი საზოგადოების იდეალია. სამართალი არის ძალი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მოქმე-

¹ ნათქვამი ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სამართლებრივი ნორმების გარეშე საზოგადოებაში არავითარი წესრიგი არ იარსებებდა. ნეოკანტიანური მიმართულებისათვის რეალური სინამდვილე არის პასიური და ამორფული, რისი მოწესრიგებაც საჭიროა შემმცენებელი სუბიექტის მიერ აპრიორული ბუნების მქონე პრინციპებისა და კატეგორიების საშუალებით. ეს არის სინამდვილის მიმართ ცალმხრივი, გიპერტოფიკებული მიდგომა. ჩვენ ისე შევეჩვიეთ ყველაფერი სამართლის სამოსში ვიგულისხმოთ და ყოველივეს სამართალში მიეუჩინოთ ადგილი, რომ გვგონია — საკმარისია სამყაროს უფლებრივი სამოსი მოძერძეს, და იგი მაშინვე ქაოსისა და საშინელი არეგდარების ბნელ მორევში ჩაიფლება. ჩვენ გვგონია — საკმარისია ცხოვრება თავისი უფლებრივი გარსიდან ამოვადოთ, და იგი „ბნელ ღამეში ზანგთა ბრძოლად“ გადაიქცევა. მაგრამ ეს სრულიადაც ასე არ არის. შესაძლებელია უფლებრივი კალაპოტიდან ამოვარდნილი ცხოვრება აღარ იქნება ის ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ იგი არ იქნება ქაოსი, მასში იქნება ახალი წესრიგი, მასში თვითოეული ჩვენი მოქმედება რაიმე მოვლენით იქნება განსაზღვრული“. (გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, თბ., 1929, გვ. 60). თანამედროვე მეცნიერებამ ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე შესძლო დაედგინა შინაგანი, იმანენტური, ბუნებრივი წესრიგი თვით სინამდვილეში, ადამიანთა შორის, ადამიანსა და კოლექტივს შორის, კოლექტივებს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს შინაგანი, იმანენტური, ბუნებრივი წესრიგი ობიექტურად მოითხოვს გარეგან მოწესრიგებას, ბუნებრივად მოწესრიგებული ურთიერთობების დამატებით ხელოვნურ მოწესრიგებას. აქედან შეიძლება ვაკეთდეს ზოგადი დასკვნა — გარეგანი, ხელოვნური წესრიგი შინაგანი, ბუნებრივი წესრიგის იმანენტურ ფორმას წარმოადგენს.

² ინფორმაციის თეორიის თანახმად მოწესრიგება ნიშნავს მოუწესრიგებლობის (ენტროპიის) შემცირებას, რომელიც მოწესრიგების არარსებობის გარეშე თვითდინებით იზრდება ყოველგვარ რთულ სისტემაში. თანახმად ინფორმაციის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნისა — ყოველგვარი რთული სისტემა თვითდინებით მიიღტვის უწესრიგობისაკენ, ე. ი. ენთროპიის ზრდისაკენ. მმართვის სისტემის მომწესრიგებელი, მარეგულირებელი შემოქმედება მოწოდებულია ორგანიზაციისა და მოწესრიგების გზით წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ პროცესს.



დებაში აუცილებლობის ერთი ტენდენციის გამოვლენას და უპირისპირდება აუცილებლობის გამოვლენის სხვა ტენდენციებს. ასეთი დაპირისპირების შედეგად საზოგადოებაში მყარდება განსაზღვრული მართლწესრიგი. მართლწესრიგი საზოგადოებრივი ცხოვრების სინთეზური სფეროა, სადაც ადამიანთა მოქმედებებში სამართლის ნორმებით გამოხატული აუცილებლობის გამოვლენის ერთი ტენდენციის აუცილებლობის სხვა ტენდენციებთან დაპირისპირება ხდება. ამდენად, ადამიანი განიცდის ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის ბუნებრივად აუცილებელის და იდეალურად აუცილებლობის მოქმედებას.

2. სამართლის ღირებულების საკითხი

სამართალი, როგორც იდეოლოგიური შედენაშენის ნაწილი, განისაზღვრება წარმოებითი ურთიერთობების შინაარსით. მაგრამ წარმოებითი ურთიერთობები უშუალოდ არ აისახებიან სამართლის ნორმებში. სამართალზე ეკონომიკური ურთიერთობების ზემოქმედება გაშუალებულია პოლიტიკური პირობებით³ კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ხასიათით, გაბატონებული იდეოლოგიით, ნაციონალური ფსიქოლოგიით, ისტორიული ტრადიციებით, კულტურისა და მართლმწიგნების დონით, განსაკუთრებით კი სამართლის უკვე არსებული და ჩამოყალიბებული სისტემით. „რომის სამართალი, — წერდა კ. მარქსი, — მარტივი საქონლური, მაშასადამე, კაპიტალიზმამდელი, წარმოების დასრულებული სამართალია; მაგრამ ეს სამართალი კაპიტალისტური პერიოდის სამართლებრივი ურთიერთობების მომეტებულ ნა-

წილსაც შეიცავს“⁴. მარტივი საქონლური წარმოების სამართლებრივმა ფორმებმა გაუძლეს საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლას.

ვ. ი. ლენინი 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მომზადების პერიოდში გამოდიოდა ბურჟუაზიული სამართლის ნორმების არაკრიტიკული გადმოღების წინააღმდეგ, მაგრამ ერთდროულად წინააღმდეგს იძლეოდა აელოთ მათგან ყველაფერი რაც მშრომელთა ინტერესების დასაცავად გამოდგებოდა.⁵ საქონლურთიერთობათა არსებობა და ღირებულების კანონის ფართო გამოყენება სოციალიზმის პირობებში მოითხოვს გარკვეული ზომით იმ სამართლებრივი ფორმების გამოყენებასაც, რომლებიც გამოშუშავდნენ საქონლური წარმოების ათასწლოვანი ისტორიული განვითარების შედეგად. ამასთან ერთად მარქსი სპეციალურად უსვამს ხაზს (და ეს უარი შემდგომში განვითარებულა ვ. ი. ლენინის მიერ) სამართლის შინაარსის განპირობებულობას საზოგადოების კულტურული დონით.⁶ ამიტომ მარქსისტული ფორმულა იმის შესახებ, რომ სამართალი არ შეიძლება იღვას ეკონომიკაზე მაღლა, ცალმხრივად არ უნდა იქნას გაგებული ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „...მარქსისა და ცნობიერების დაპირისპირებას აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მეტად შეზღუდულ ფარგლებში: ამ შემთხვევაში — მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი ვნოსეოლოგიური საკითხის ფარგლებში, თუ რა ვცნოთ პირველად და რა მეორედ, ამ საზღვრებს იქით მოცემული დაპირისპირების შეფარდებითობა ექვს გარეშე.“⁷

მარქსის ცნობილი დებულების მიხედვით: „იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მას-

³ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ იყო საზგასმული, რომ არა მარტო პოლიტიკა ზემოქმედებს სამართალზე, არამედ სამართალიც თავის მხრივ უკუმოქმედებს პოლიტიკაზე. ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ „კანონი არის პოლიტიკური ღონისძიება, არის პოლიტიკა“ არავითარი ზომით არ ნიშნავს პოლიტიკისათვის სამართლის მსხვერპლად შეწირვას, როგორც ამას ამტკიცებენ მარქსიზმის ბურჟუაზიული კრიტიკოსები. როდესაც მარქსიზმი ლაპარაკობს სამართალზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ფორმაზე ან საშუალებაზე, ეს არ ნიშნავს თითქოს ამით ამოიწურებოდეს სამართლის ცნება, არამედ ის მხოლოდ ხაზს უსვამს სამართლის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშანს. სამართალი არის სოციალური ძალა, რომელიც თავის მხრივ უკუზემოქმედებს სახელმწიფოს პოლიტიკაზე და მისი განხორციელების მეთოდებზე (იხ. პარაგრაფი IV). არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და სამართალი, რადგან სამართალში განხორციელებულია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. ამიტომ დაუშვებელია პოლიტიკური პირობების შეცვლის საბაზით თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონის დარღვევა, რადგან თვით „კანონი არის პოლიტიკური ღონისძიება, არის პოლიტიკა“.

⁴ Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, стр. 98.
⁵ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 44, стр. 412:
⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, стр. 98.
⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 179.

ში გარდაქმნილი“⁸ მარქსის ეს დებულება ხშირად მოჰყავთ სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის დასახსნადად. მაგრამ მარქსის ეს დებულება არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ესმის კელსენს: თითქოს, რადგან ადამიანების რეალური მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სამართლის ნორმებს, მასხადაწე, მოცემულ შემთხვევაში მატერიალური ანუ ადამიანების რეალური მოქმედებები განისაზღვრებიან იდეალურით. აქედან კელსენი დასკვნის: სამართლის სფეროში, მარქსის დებულების საპირისპიროდ, არა იდეალური არის მატერიალურის ასახვა, არამედ მატერიალური წარმოადგენს იდეალურის ასახვას.⁹ „დინამიკური არ არის სანქციის მიწევი, სანქცია არ არის აკრძალული მოქმედების შედეგი“.¹⁰ უდაოა, რომ სამართლის ნორმა არის სამართლებრივი შედეგების დადგომის ძირითადი წინამძღვარი, მაგრამ უდაოა ისიც, რომ სამართლებრივი ნორმა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც თავისი ბუნებით სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ. კელსენის აზრით კი, სამართლის ყოველგვარ კავშირს რაიმე მოვლენასთან და სამართლებრივი შედეგების მიკუთვნებას რაიმე მოვლენისათვის წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს.¹¹ კელსენის ამ დებულების გასაბათილებლად შეიძლება მოყვანილი იქნას გ. ნანეიშვილის მიერ კელსენის კრიტიკის¹² ერთი ნაკვეთი: „...ეკონომიური პირობები და საწარმოო ძალთა ურთიერთობის ხასიათი საზღვრავს კონკრეტული ნორმის შინაარსს (ობიექტს)... და ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ სამართლის ისეთი სისტემა, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი და სრულიად ავტონომიური ნების შედეგი იყოს. ბედნიერებაა, რომ ასეა, რადგან

შეუზღუდველი ნების მოქმედებით წარმოშობილი სისტემა ნორმებისა იმდენად დაშორებული იქნებოდა რეალური ცხოვრების პირობებს, რომ სამართლის ნორმის განხორციელება სამართლის თავისუფალი მიღების (ფსიქიური მნიშვნელობით) შედეგი კი არ იქნებოდა, არამედ ტლანქი მექანიკური წნევის შედეგი. სინამდვილეში არ არის და არც ყოფილა ისეთი მართლწესრიგი, რომლის არსებობაც დამოუკიდებელი არ იყოს ადგილისა, სოციალური წრისა, დროისა და გარემო პირობებზე... მარქსისტული ფორმულა, რომ „სამართალი შედგენილია“, შეიცავს ღრმა ქეშმარიტებას; ამ დებულებას ამართლებს ყველა დროისა და ყველა ხალხის უფლებრივი ცხოვრების ისტორია“.¹³ „...სამართალში შემთხვევით არაფერი იხსენიება. ისეთს ვერაფერს აღმოვაჩინებ სამართალში, რაც თავისი ობიექტური თვისებებით არ იყოს დანიშნული იმისათვის, რომ ის სამართალში არსებობდეს... და შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყოველ პოზიტიურ სამართალს საფუძვლად უდევს ცხოვრების ესა თუ ის ურთიერთობა...“.¹⁴

მაგრამ ყოველივე ზემონათქვამი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი ფაქტიური ურთიერთობების ასლი იყოს. იდეალური არამარტო გადატანილი მატერიალურია, არამედ (რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია) ადამიანის თავში გარდაქმნილი. როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, სამართლებრივი მოწესრიგება არ შეიძლება აღიარებულ იქნას განსაზღვრული წარმოების წესისა და მისი შესაბამისი სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების მხოლოდ განმტკიცების საშუალებად.¹⁵ სამართალს თავისთავად

⁸ კ. მარქსი, კაპიტალი, ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის, ტ. I, გვ. 23.
⁹ H. Kelsen, The communist Theory of Law. p. 35.
¹⁰ H. Kelsen, General Theory of Law and State. p. 46.
¹¹ იქვე, გვ. 23.
¹² აღსანიშნავია, რომ ნორმატივისტული მიმდინარეობის ისეთი ღრმა და საფუძვლიანი კრიტიკა, როგორც ეს გ. ნანეიშვილს აქვს გაკეთებული, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჩვენ არ გვხვდება.
¹³ გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, გვ. 19-20.
¹⁴ გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა... გვ. 58.
¹⁵ საბჭოთა იურისტები წინააღმდეგი არიან სამართლის მიმართ ასეთი კონსერვატიული მიდგომისა და სამართალს განიხილავენ როგორც განუწყვეტლივ განვითარებად, დინამიურ სისტემას, იხ. В. М. Чихвадзе. Государство, демократия, законность. М., 1967, стр. 292 — 293.

მადი ღირებულება აქვს.¹⁶ რით გამოიხატება სამართლის ღირებულება? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის ნორმების მოქმედება გაშუალებულია ადამიანის ინდივიდუალური ნებით. თუ ქცევის რა ვარიანტს აირჩევს პირი კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ამას სამართალი ვერ იწინასწარმეტყველებს და იგი ამას არც აკეთებს, რადგან სამართალი შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესებს. სამართლის ნორმა მიუთითებს იმაზე, რაც უნდა შესრულდეს, სწორედ ეს „უნდა“ გამოხატავს სამართლის თავისთავად ღირებულებას, სწორედ ის არის სამართალში განხორციელებული ღირებულებითი მომენტი, რომელიც ჭეშარსობას გამოხატავს.¹⁷ სამართალი მიუთითებს თუ როგორი უნდა იყვნენ საზოგადოებრივი ურთიერთობები, კერძოდ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები. ამ მნიშვნელობით სამართალი არის ფაქტიური ურთიერთობების მოქმედი. ეს მოდელი კი თავისთავად ღირებულია. ასრულებენ თუ არა სამართლის სუბიექტები იმას, რაც „უნდა“ შესრულდეს, ეს სამართლის განხორციელების საკითხს ეხება და არა სამართლის ნორმის ბუნებას.

სამართლის თავისთავადი ღირებულება განსაკუთრებული სიკვანძით გვევლინება მაშინ, როდესაც სუბიექტი ფაქტიურად უარყოფს ნორმაში მოცემულ ღირებულებას. „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რაც უფრო გეწადა ნორმის დარღვევა, ე. ი. რაც უფრო დაშორებული ვართ ფაქტიურად მისი შესრულების შესაძლებლობისაგან, მით უფრო მეტად ვგრძნობთ იმ აუცილებლობის მოქმედების ძალას, რომელიც ნორმაში მარხია და მასასადამე უფრო ნათლადაც ვხედავთ ამ ნორმის მოციქულობას“.¹⁸

სამართლის ნორმით განსაზღვრული აუცილებლობა (უნდა) ანუ სამართლის ღირებულება მუდავდება სუბიექტის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის ლოგიკური აღიარების აქტში, ლოგიკური აზროვნების მეშვეობით. ასეთ აზრს ანეთარებს ს. ს. ალექსეევი.¹⁹ „ნორმას ლოგიკურად ვაღიარებთ მისი გააზრების აქტში, რადგანაც ამ აქტით ჩვენ ვწვდებით ნორმის აზრსა და შინაარსს. ამიტომ მიუხედავად იმისა — ვაღიარებთ თუ არა ფსიქიურად ნორმას, იგი დგას ჩვენი შეგნების წინაშე როგორც აუცილებლობა. უოველი ფსიქიური აღიარებისა, თუ უარყოფის დროს ის (ნორმა) ლოგიკურად აღიარებულ ნორმად რჩება“.²⁰ სამართლის ნორმის ლოგიკური და ფსიქიური აღიარება მართლშეგნების სახეებს — შესაბამისად სამართლებრივ იდეოლოგიას და სამართლებრივ ფსიქოლოგიას განეკუთვნებოდა. სამართლებრივი იდეოლოგია მოიცავს სამართლის ლოგიკური აღიარების აქტებს, ხოლო სამართლებრივი ფსიქოლოგია — სამართლის ფსიქიკური აღიარების აქტებს.

სამართალს განსაკუთრებული და დამოუკიდებელი შემეცნებითი ფუნქცია აქვს. ეს ნიშანი კარგად შეამჩნია ა. ა. უშაკოვმა. ავტორი ამტკიცებს, რომ „სამართალი არის სინამდვილის ასახვის თავისებური სახე აზროვნების ფორმით, სამართლებრივი ნორმები აძლევენ ადამიანს ცოდნას კლასობრივი საზოგადოების მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. სამართლის შემეცნებითი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი ვახდა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების შესახებ ცოდნის დაგროვების სპეციფიკური ფორმა“.²¹ ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ამა თუ იმ

¹⁶ აღსანიშნავია, რომ სამართლის ღირებულების ცნება, რომელიც სულ რამდენიმე წელი დამკვიდრდა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, არ არის ვაგებული სწორად. სამართლის ღირებულებას აიგივებენ სამართლის სოციალურ ღირებულებასთან (სამართლის სოციალური დანიშნულების აზრით). სამართლის ღირებულებას ხედავენ იმაში, რომ სამართალი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საშუალება (იხ. მაგალითად, **С. С. Алексеев, Социальная ценность права в советском обществе, М., 1971, стр. 165—167; 186, 199.**)

სამართლის ღირებულების აიგივება საშუალებასთან იშვიათად ხსნის საერთოდ ღირებულების, კერძოდ კი სამართლის ღირებულების საკითხს; რაც შეეხება სამართლის სოციალური ღირებულების საკითხს იგი დამოუკიდებელი კვლევის საგანია და დაკავშირებულია სამართლის მოქმედების მექანიზმთან, მისი განხორციელების ეფექტურობის საკითხთან.

¹⁷ სამართლის ჭეშარსობრივი ხასიათი განსაკუთრებული რელიფურობით გამოიკვეთება უფლებაუნარიანობის კატეგორიაში, იხ. **Б. В. Пхаладзе, Юридические формы полужения личности в советском обществе, Т., 1969, стр. 32—34, 43.**

¹⁸ გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა..., გვ. 12.

¹⁹ **С. С. Алексеев, Объективное в праве, «Правоведение», 1971, № 1, стр. 113.**

²⁰ გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა..., გვ. 13.

²¹ **А. А. Ушаков. О диалектике содержания и формы в праве, гносеологической функции права и категориях правового познания, «Ученые записки Пермского государственного университета», № 199, стр. 331 — 332.**

სამართლებრივ ფორმულირებას ახასიათებდა როგორც „ნამდვილ მენციერულ ღირებულებას და გონების დიდ მონაპოვარს“.²²

ყოველივე შემოადინებული იმავე მიგვიითების, რომ სამართალი არსებობს სუბიექტების შეგნებისაგან დამოუკიდებლად,²³ რომ სამართალი სუბიექტის ინდივიდუალური ნების მიმართ წარმოადგენს სპეციფიკურ ობიექტურ რეალობას²⁴, რომ სამართალი არის ობიექტური სინამდვილის სახე,²⁵ რომ სამართლის ზედნაშენური ხასიათი არ გამოირჩევა სამართლის ობიექტურ ყოფიერებას.²⁶ სწორედ ეს ნიშნები ანიჭებენ სამართალს თავისთავად ღირებულებას.

მაგრამ თუ კი სამართალი განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, თუ იგი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამიტომ წარმოადგენს სპეციფიკურ ობიექტურ სინამდვილეს, მაშინ რა განსხვავებაა სამართლის ნამდვილობასა და ფაქტების, ფაქტურ ურთიერთობათა ნამდვილობას შორის? განსხვავება შემდეგნაირად: ფაქტი და სამართალი სინამდვილის ორ განსხვავებულ სახეს წარმოადგენს: ფაქტი — ყოფიერი მოვლენა, სამართალი კი — ცნობიერი მოვლენა. ფაქტის სინამდვილე გამოიხატება მოვლენათა მიუწვდომი კავშირებში, მაშინ როდესაც სამართლის ნამდვილობა მხოლოდ სამართლის ნორმების ლოგიკური შემცენებისა და აღიარების აქტებში ვლინდება. ფაქტს როგორც კონკრეტულ-ინდივიდუალურს, როგორც უკვე მომხდარს და აბსოლუტურად რეალიზებულს, არა აქვს ხელმეორედ წარმოშობის ტენდენცია, რადგან ის უკვე არსებობს.

ფაქტს არ შეუძლია წარმოშვას თავისი განხორციელების შესაძლებლობა ან აუცილებლობა, რადგან ფაქტი უკვე განხორციელებულია. „ფაქტი, როგორც დროში მომხდარი, ან შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ან აუცილებელი, რადგანაც ფაქტი ან ფაქტიური უკვე თვითონვე სპობს, როგორც თავის არა შესაძლებლობას, ისე თავის არა აუცილებლობას“.²⁷ იგივე არ შეიძლება ითქვას სამართლის შესახებ; სამართლის ნამდვილობა, რომელიც გამოიხატება „უნდას“, ჭეშარილობის ლოგიკურ აღიარებაში, მდომარეობს იმაში, რომ მას აქვს განხორციელების მუდმივი პრეტენზია, და ის ნამდვილად ხორცი-

ელდება ცხოვრებაში. სამართლის მოქმედება არ ამოიწურება „უნდას“ თეორიული, აბსტრაქტული არსებობით. სამართლის მოქმედება ნიშნავს იმას, რომ ადამიანები იქცევიან სამართლის ნორმების მოთხოვნისამებრ ან არღვევენ ამ მოთხოვნებს. მაგრამ, ზორციელდება რა ადამიანთა მოქმედებების მეშვეობით, სამართალი ფაქტად არ გარდაქმნება, რადგან სამართლის მოქმედება არ ამოიწურება მისი ერთჯერადი განხორციელებით, ის განაგრძობს მოქმედებას — აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყობის, მუდმივი აღწარმოება ხდება.

3. სამართლის ძირითადი სპეციფიკური ნიშანი

სამართლის სპეციფიკურობა განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთება სამართლებრივი აქტების სისტემაში და სამართლის ნორმის სტრუქტურაში.

სამართლებრივი აქტების სისტემა ანუ სამართლის ნორმების იერარქიულობა წარმოადგენს სამართლის სპეციფიკურ, სხვა ზედნაშენური მოვლენებისაგან განმასხვავებელ ნიშანს. სამართლის სპეციფიკურობა, თავისებურება, განსხვავებით საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან, ის არის, რომ იგი საზოგადოების გაბატონებული კლასის მართლშეგნების სპეციალური, სისტემატიზებული და ლოგიკური დამუშავების შედეგია. საზოგადოებრივი ცნობიერების არცერთი ფორმა არ გადის სპეციალურ დამუშავებას, ისინი არსებობენ თავიანთ პირველად, ხელუხლებელ, ბუნებრივ ფორმაში. მართლშეგნების დამუშავების თვით პროცესმა, ანუ გაბატონებული კლასის ნების კანონში აყვანის პროცესმა, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სახელმწიფოს საქმიანობაში. სამართალი არის მართლშეგნების ერთ-ერთი შესაძლებელი ფორმა, რადგან თვით მართლშეგნება საბოლოო ჯამში განსაზღვრულია ეკონომიური

22 А. В. Луначарский, Ленин как ученый и публицист, Л., 1924, стр. 17—18.

23 В. Ф. Яковлев, Объективное и субъективное в методе правового регулирования, «Правоведение», 1970, № 6, стр. 56.

24 С. С. Алексеев, Объективное в праве, стр. 113.

25 С. С. Алексеев, Общие теоретические проблемы системы советского права, М., 1961, стр. 8.

26 О. А. Красавчиков, Советская наука гражданского права, «Ученые труды Свердловского юридического института», 1961, т. VI, стр. 250.

27 გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა..., გვ. 20.

ბაზისის შინაარსით. სამართლის ნორმების სპეციფიკა განსხვავებით სხვა სოციალური ნორმებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ აქ გაბატონებული კლასის ნება „აყვანილია კანონში“.

სამართლის ნორმების შეთანაწყობა, სამართლის ნორმების იერარქიულობა სამართლის შინაგან კანონზომიერებას წარმოადგენს. ენგელსი მიუთითებს: „სახელმწიფო და სამოქალაქო სამართალი განიხილება როგორც დამოუკიდებელი დარგები, რომლებთაც აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი ისტორიული განვითარება, რომელთა სისტემატიკური გადმოცემა შესაძლებელია და რომლებიც ასეთ სისტემატიკას საქირობენ და შინაგან წინააღმდეგობების აღმოფხვრის გზით“.²⁸ „თანამედროვე სახელმწიფოში სამართალი არა მარტო უნდა შეესაბამებოდეს საერთო ეკონომიურ მდგომარეობას, არა მარტო უნდა გამოხატავდეს მას, არამედ უნდა წარმოადგენდეს შინაგანად შეთანხმებულ მის გამოხატულებას, ისეთს, რომელიც თვითვე არ უარყოფს თავის თავს შინაგანი წინააღმდეგობის გამო“.²⁹ სამართლის ნორმების შეთანაწყობა ნიშნავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას და ერთი ნორმების მეორე ნორმების მეშვეობით მოქმედებას. არც ერთ ნორმას არ შეუძლია იმოქმედოს იზოლირებულად, ისე, რომ არ იყოს მეორე უფრო ზოგად ან შედარებით კონკრეტულ ნორმასთან (ვერტიკალური წესით) ან განსაზღვრულ თანაბარფასოვან ნორმასთან (ჰორიზონტალური წესით) შეთანაწყობილი.

სამართალი არის სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების იერარქია, ანუ სამართლის წყაროების სისტემა ინდივიდუალური ნორმატიულ აქტებიდან სახელმწიფოს ძირითად კანონამდე (კონსტიტუციამდე). სამართლებრივი აქტების იერარქიულობა ამ აქტების მრავალსახეობაში იშლება (კანონი, ბრძანებულება, დადგენილება და ა. შ.).

რა იწვევს სამართლებრივი აქტების იერარქიულობას, მის მრავალსახეობას? მარქსი როდესაც სამართალს განსაზღვრავს როგორც გაბატონებული კლასის ნება აყვანილს კანონში, ამ დროს სულაც არ აიგივებს სამართალსა და კანონს, რადგან კანონი მოცემულ შემთხვევაში მას ეხმარება ფართო აზრით, როგორც სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი. მარქსიზმის ფუნდამენტური ყოველგვარი ნორმატიული ხასიათის იურიდიული აქტი. მარქსიზმის ფუნდამენტური ყოველთვის სახსრად ვამდენ, რომ კანონი არის სამართლის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც წარმოიშობა პოლიტიკურ-სამართლებრივი ზედინაშენის რთული ევოლუციის პროცესში“.³⁰ კანონი არის დროში შემდგრადი სტაბილური და კონსერვატიული ფორმა სამართლისა, რომელიც ძირითადად გამოიყენება უკვე არსებული ურთიერთობების განსამტკიცებლად, თანდათანობით სოციალური გარდაქმნებისათვის. უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების შედარებით უფრო სტრუქტურული ცვლილებებისათვის პრაქტიკამ გამოიმუშავა სამართლებრივი რეგულირების სხვა უფრო ელასტიური და მოქნილი ფორმები, ე. წ. კანონქვემდებარე აქტები, რომელნიც კანონის დეტალიზებას, კონკრეტულობას, გამდიდრებას ახდენენ თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ან შემთხვევების გარკვეული ჯგუფისათვის. ს. ნ. ბრატუსმა დამატებულად დაასაბუთა, რომ „სამართლის ნორმა (თუ კი ის არ არის ფორმულირებული კანონის საფუძველზე) — არის ისეთი ზოგადი წესი, რომელიც თავისი გამოყენების პროცესში აუცილებლად კონკრეტურობდება სხვა, მისთვის დაქვემდებარებულ ქვეყნის წესებში. რაც უფრო აბსტრაქტულია ნორმა, მით უფრო დიდი რაოდენობის ურთიერთობებს და ცხოვრებისეულ სიტუაციებს მოიცავს იგი. ასეთი ნორმა ზოგჯერ უშუალოდ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევისათვის. იგი ამისათვის მოითხოვს სხვა ნორმებით გაშუალებას, რომლებიც ასევე ზოგადი არიან, მაგრამ უფრო დეტალიზებული“.³¹

სხვა სოციალური ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიცავენ მითითებას მხოლოდ ქვეყნის წესზე (დისპოზიცია), სამართლის ნორმა არის ქვეყნის წესის (დისპოზიცია), მისი განხორციელების პირობების (პიპოთეზა), მისი დარღვევის შედეგების (სანქცია), ორგანული ერთიანობა. ამ ატრიბუტების გარეშე არ არსებობს სამართლის ნორმა, და მასხადამე მხოლოდ დისპოზიცია — ეს ჭერ კიდევ არ არის

²⁸ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, стр. 321.

²⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 37, стр. 418.

³⁰ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, стр. 63.

³¹ Теоретические вопросы систематизации советского законодательства, М., 1962, стр. 152. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან სამართლებრივი ნორმები, მაგალითად მორალის ნორმებისაგან. მორალი სამართალზე ფართოა, მაგრამ სამართალი უფრო ღრმად, უფრო სისტემატიზებული, დეტალიზებული და კონკრეტურობით, ვიდრე მორალი. სამართლის სიღრმე განსაკუთრებული რელიეფურობით სჩანს სამართლის ნორმის სტრუქტურული ელემენტების ანალიზის მაგალითზე.

სამართლის ნორმა. სამართლის ნორმის სტრუქტურა ნორმატული აქტების სისტემაში იშლება. ამიტომ სამართლის სამწევროვანი ლოგიკური სტრუქტურა არ ემთხვევა ნორმატული აქტის ან კანონის მუხლის სტრუქტურას. ერთი ნორმა ხშირად განსაზღვრავს მეორე ნორმის ხანციას და ამავე დროს თავისი საკუთარი ხანციაც შეიძლება ქონდეს. სამართლის ერთი ნორმა ზოგჯერ განსაზღვრავს მეორე ნორმის ჰიპოთეზას. ერთი ნორმა ხშირად ნაწილდება ნორმატიული აქტის სხვადასხვა მუხლში. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ განმეორებები კოდექსების ზოგად ნაწილებში, ახდენენ ისეთი დებულებების გამოყოფას, რომელნიც საერთოა სამართლის ამ დარგის ყველა ნორმისათვის. განსაკუთრებული ნაწილის ფარგლებში ერთ მუხლში ხშირად ერთიანდებიან შინაარსით ერთმანეთის შინათესავე ნორმები. ამგვარად სამართლის ნორმის სტრუქტურა არ ემთხვევა ნორმატიული აქტის ან კანონის მუხლის სტრუქტურას. ასეთი არდამთხვევა სრულიად ნორმალური მოვლენაა და იგი სამართლის სისტემატიურობის,³² როგორც მისი განსაკუთრებული ნიშნის, გამოვლენაა.

4. სამართლისა და სახელმწიფოს ურთიერთობებში სამართლის როლის შესახებ

მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ნორმა იწყებს მოქმედებას, ის დამოუკიდებელი ხდება იმ სახელმწიფოებრივი აქციისაგან, რომელიც სრულდება ნორმატული აქტის გამოცემით. ამ გზით სამართალი, როგორც სამართლებრივი ნორმების სისტემა, იძენს შეფარდებით დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან და უკუმოქმედებს მასზე — წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმას.³³ ამ მხრივ განსაკუთრებით დიდაა კონსტიტუციის როლი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურას, მისი ორგანოების სისტემას, ადგენს მათი საქმიანობის ფარგლებს. სამართლის მეშვეობით ფორმდება სახელმწიფო ორგანოებს შორის შრომის განაწილება.³⁴

სოციალისტურ სამართალს ადგენს სოციალის-

ტური სახელმწიფო. ამავე დროს სოციალისტური სახელმწიფო თავის საქმიანობაში უთუოდ უნდა ექვემდებარებოდეს მის მიერ შექმნილ სამართალს, რადგან „სამართლისაგან სახელმწიფოს შებოჭვას აქვს არსებითი მნიშვნელობა კანონიერების რეჟიმის უზრუნველსაყოფად“.³⁵ თავის ფუნქციებს სოციალისტური სახელმწიფო ანხორციელებს ძირითადად სამართლებრივ ფორმებში. სახელმწიფოს არ შეუძლია სამართლის გარეშე არსებობა, რადგან „სახელმწიფოს არსებობა გულისხმობს მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების შეთანხმებულ მოქმედებას, რის გამო ისინი უნდა იმყოფებოდნენ სუბორდინაციულ და კორდინაციულ ურთიერთობებში, ასეთი ურთიერთობები კი ითხოვენ თავის განმტკიცებას სავალდებულო წესებში, სამართლებრივ ნორმებში, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო სამსახურის წარმოებას“.³⁶ სოციალისტური სახელმწიფოს ორგანოების სამართალშემოქმედებით, ოპერატიულ-აღმასრულებელი, სამართალდაცვითი საქმიანობა მიმდინარეობს კანონების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, აგრეთვე იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელსაც ადგენენ ეს აქტები. „სოციალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა არ შეიძლება ხორციელდებოდეს კანონიერების პრინციპის დარღვევით. ამ აზრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავის საკანონმდებლო საქმიანობაში შებოჭილია კანონიერების პრინციპით“.³⁷

სახელმწიფოს განსაზღვრა სამართლებრივი ნორმების მეშვეობით სრულიად დასაშვებია, მაგრამ არ შეიძლება ამ ნიშნის გაპერტროფირება. კელენი ახდენს რა სახელმწიფოს ნორმატიული ბუნების გაპერტროფირებას და ამით აცლის რა მას ყოველგვარ მატერიალურ შინაარსს, კატეგორიულად დასკვნის: თუ სახელმწიფო არ არის სამართლებრივი მოვლენა და არ მიეკუთვნება მართლწესრიგს, მაშინ ის ბუ-

³² Б. В. Шейндлин. Сущность советского права, Л., 1959, стр. 7 и сл.
³³ М. А. Аржанов, Государство и право в их соотношении, М., 1960, стр. 76—77.
³⁴ Ю. А. Тихомиров, Разделение властей или разделение труда, «Советское государство и право», 1966, № 1, стр. 14—16.
³⁵ Марксистско-ленинская общая теория государства и права, М., 1970, ч. I, стр. 412.
³⁶ Н. Г. Александров, Сущность социалистического государства и права, М., 1969, стр. 40.
³⁷ В. А. Туманов. Вступительная статья к книге Р. Давид — Основные правовые системы современности, М., 1967, стр. 18.

ნებრის ფილოსოფია.³⁸ სახელმწიფოს ორი მხარის ასეთი დაპირისპირება არ არის სწორი. სახელმწიფო, როგორც ბუნებრივ-საზოგადოებრივი მოვლენა და სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ორგანიზაციული ურთიერთობები, სახელმწიფოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის სულაც არ გამოიხატება ერთმანეთს. სახელმწიფოს სამართლებრივი ბუნების გიპერტროფირება არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას, სახელმწიფო როგორც ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაცია, ყოფიერი მოვლენა, არსობის სფეროს განეკუთვნება, ხოლო სამართალი როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სისტემატიზებული და დეტალიზებული ფორმა — ზედნაშენური მოვლენა, იგი ჭეშარი სფეროს განეკუთვნება. „სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა თავის გამოსახულებას პოულობს სწორედ მის მოხელეებში, არმიაში, აღმინისტრაციაში, მოსამართლეებში. მის ამ ფიზიკურ განსახიერებას თუ დაიწყებთ, მაშინ იგი მხოლოდ აჩრდილია, წარმოდგენა, უბრალო დასახელება“.³⁹ იგივე არ შეიძლება ითქვას სამართლის შესახებ, არ შეიძლება სამართლის ფიზიკური განსახიერების შესახებ ლაპარაკი, რადგან რაც უნდა შესრულდეს, ის არ შეიძლება უკვე იყოს, საწინააღმდეგო შემთხვევაში სამართლის ნორმა როგორც ჭეშარი სფერო დაკარგავდა აზრსა და დანიშნულებას და იქცეოდა კანონმდებლობის უბრალო ფანტაზიად, ისე როგორც ეს პ. კელსენს გამოუდის. ამ მხრივ ანგარიშგასწავლია ვ. პ. ტუგარინოვის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ საზოგადოებრივ ყოფიერებას უნდა მიეკუთვნოს მოცემული საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრება და საქმიანობა, განსხვავებით საზოგადოების სულიერი ცხოვრებისაგან, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებით არის განპირობებული. საზოგადოებრივ ყოფიერებას მიეკუთვნებიან მატერიალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი (ეკონომიკა, კლასები, ერი, ოჯახი), და აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების ის მხარე, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოსა და მისი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში, პრაქტიკა კი განეკუთვნება საზოგადოებრივ ყოფიერებას.⁴⁰

სახელმწიფოს მიეკუთვნება ზედნაშენთან კინაშავს რეალური სახელმწიფოს გაიგივებას პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, რადგან ზედნაშენი, მარქსის აზრით, შეიცავს მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს, არ შეიძლება სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური

ორგანიზაციის აღრევა პოლიტიკურ იდეოლოგიასთან. პოლიტიკა, როგორც პოლიტიკური ნორმების ერთობლიობა, როგორც იდეოლოგია, საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილს შეადგენს, პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს პრაქტიკული საქმიანობა საზოგადოებრივი ყოფიერების სფეროს განეკუთვნება. როდესაც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება, ამ დროს პოლიტიკის ქვეშ ის გულისხმობს არა სახელმწიფოს, არამედ განსაზღვრულ პოლიტიკურ იდეოლოგიას.

თანამედროვე საზოგადოებაში სახელმწიფო არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციაა, არამედ — ფართო ეკონომიური ორგანიზაცია. იგივე შეიძლება ითქვას სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. სოციალისტური სახელმწიფო, როგორც წარმოების საშუალებათა უმეტესი ნაწილის მესაკუთრე და მეურნეობრივ ურთიერთობათა სუბიექტი, შედის სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურაში. სახელმწიფო-მეურნეობრივი ურთიერთობანი მეურნეობრივ ერთეულებს შორის არსებითად წარმოდგენენ ორგანიზაციულ-ქონებრივ ურთიერთობებს ბაზისის შიგნით. ამდენად სახელმწიფო საზოგადოებრივი ყოფიერების ნაწილს შეადგენს. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა კი მატერიალური შინაარსისა და იურიდიული ფორმის ურთიერთდამოკიდებულებაში იშლება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო, როგორც ფართო ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია, ობიექტურად მოითხოვს მისი სამეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობის ნორმატიულ მოწესრიგების შესაბამისად გაფართოებას, მისი ორგანოების საქმიანობის თანამედროვე რეალმენტირებას.

თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური სამართლის სფეროს ზრდის ტენდენცია, აღმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი იძულების შემცირების ხარჯზე. კომუნისმის მშენებლობის პროცესში აღმინისტრაციული რეგულირების სფეროს შემცირების შესახებ ნათქვამია სკკპ პროგრამაში. ძირითადად ეს გამოიხატება სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი რეგულირების დისპოზიციური ფორმის გამოყენებაში, რომელიც სორციელებს უპირატესად სამოქალაქო, შრომისა და საკოლმეურნეო სამართლის ინსტიტუტების მეშვეობით.

³⁸ H. Kelsen, General Theory of Law and State. p. 47.
³⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 6, стр. 287.
⁴⁰ В. П. Тугаринов, Философия сознания, М., 1971, стр. 119.

თბილისის სახალმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის

პროფ. ს. ჯორჯანიძე

1922 წლის ოქტომბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა (სოციალ-დემოკრატიული) ფაკულტეტი. მისი ფუნქციონირება საბჭოთა წესწყობილების გამარჯვების პირველსავე წლებში ადასტურებდა ახალი ხელისუფლების სერიოზულ განზრახვას მოემზადებინა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებელი კადრები. ამასთან ერთად ეს უნივერსიტეტის დამაარსებელთა ოცნების განხორციელებაც იყო. 1919 წლის ოქტომბერში ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ „იურიდიულა ფაკულტეტი, მცოდნე იურისტ-პროფესორთა უქონლობის გამო არ არსებობს და ორ-სამ წელიწადზე ადრე მისი გახსნა ჩვენს უნივერსიტეტში შეუძლებელი იქნება“¹.

ჩვენს ხალხის ისტორიაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა იურისტთა ეროვნული კადრების აღზრდისა და სამართლის მეცნიერებისადმი ახალგაზრდობის ლტოლვის მშობლიურ ენაზე დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფება კი სოციალური, სამართლებრივი მეცნიერებისადმი ყოველთვის ძლიერი იყო. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში ქართველები მეტწილად იურიდიულ ფაკულტეტებზე სწავლობდნენ, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მათი მოწინავე ნაწილი მთელ თავის ენერგიას ალექვან პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას, ხშირად სტუდენტობის ხანაშივე ამ ბრძოლას ეწირებოდა ბევრი მათგანის სიცოცხლემ. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მეორე, უფრო დიდი ნაწილი ძველი სახელმწიფოს ჩინოვნიკური აპარატის იერარქიულ კიბეზე ამაღლების სწრაფვაში ხარჯავდა მთელს ნიქსა და უნარს. ასეთ ვითარებაში მეცნიერ-იურისტთა რიცხვი თი-

თებზე ჩამოსავლელი იყო. ამიტომ ახლად ფეხადგმულ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაუყოვნებლივ გახსნა შეუძლებელი იყო. ყოველი უნივერსიტეტისათვის ტრადიციული იურიდიული ფაკულტეტის საქირება კი არაკვიარა ექვს არ იწვევდა. თვით უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეს მარტოოდენ დროის საქმედ მიაჩნდათ. ამას ადასტურებს, 1918 წლის 3 სექტემბერს დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, რომლის მე-6 პუნქტით თბილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტია და შემდეგ „ფაკულტეტებს შეიცავს:

1. სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი, რომელშიაც საფილოსოფიო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედის როგორც დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ;

2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი;

3. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულ ფაკულტეტს და

4. სამკურნალო ფაკულტეტს“.

გახაგებია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დებულება სამოქმედო პროგრამასაც წარმოადგენდა, ვინაიდან უნივერსიტეტი რომ გაიხსნა მაშინ ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით თავის მოტყუება იქნებოდა მეცნიერული კადრების სიმცირისას რამდენიმე ცალკე ფაკულტეტი შექმნილიყო. სიბრძნისმეტყველება კრებითი ხასიათის ცნებას წარმოადგენდა და მეტს ნიშნავდა, ვიდრე ფილოსოფიას. სწორედ ამ ფართო აზრის გამოხატავდა ხმარა ივანე ჯავახი-

¹ ივანე ჯავახიშვილი უფრო ადრეც ლაპარაკობდა იურიდიული ფაკულტეტის შექმნის სიძნელეზე. ჯერ კიდევ 1917 წლის 8 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: სხვა და სხვა ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევის გამო შესაძლებელია ადრევე გახსნა სამკურნალო ფაკულტეტისა, ხოლო „რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტის გახსნას, ეს უფრო საძნელოა, რადგანაც, სამეცნიერო ხარისხის მქონე იურისტები ქართველთა შორის გარდა 1-2 არ მოიპოვებინან, მაშინ როდესაც სხვა დარგის მეცნიერებისათვის 30-მდე სწავლული უკვე ხარისხიანი“.

შვილმა „სიბრძნისმეტყველება“. მან პირველ სემესტრში უნივერსიტეტის ერთდღერთ ფაკულტეტს უწოდა სიბრძნისმეტყველების და არა ფილოსოფიური ფაკულტეტი, ვინაიდან „ფილოსოფიას“ ქართულში ვიწრო, საკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც აქვს... ამას უკვლავი ქმნილებაც ცხად-ჰყოფს. „სიბრძნე“ მაშინ ისეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში და გერმანიაში ძველად ფილოსოფია ესმოდათ. „შაირობა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგო“ ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. მასხადამე, პოეზიაც და ხელოვნებაც „სიბრძნედ“ ითვლებოდა. ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი უყოფიდა და მას ცოდნის სხვადასხვა დარგი ჰქონია. ვგონებ გერმანული „ფილოსოფიის ფაკულტეტის“ გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ“.

დასაწყისში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაეგმილი იყო ისე, რომ იგი ჰუმანიტარულ, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგებს აერთიანებდა, მაგრამ 1913 წლის შემოდგომიდან საბუნებისმეტყველო, სამათემატიკო და სამკურნალო გაერთიანებული ფაკულტეტის შექმნამ მოითხოვა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის უკიდურესად ფართო პროფილის შემდგომი დასუსტება. სიბრძნისმეტყველებას ჩამოშორდა საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო დარგები.

1919 წლისათვის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა შეიცავდა თითქმის ყველა იმ საგანს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების საისტორიო-ფილოლოგიურ, აღმოსავლეთის ენებისა და ნაწილობრივ იურიდიულ ფაკულტეტებზეც ისწავლებოდა. ჰუმანიტარული მეცნიერების შესწავლა ექვსი დარგის მიხედვით წარმართა: 1. ფილოსოფიის; 2. ფსიქოლოგიის; 3. ენათმეცნიერების; 4. სიტყვიერების; 5. საისტორიო და 6. საეკონომიო.

საისტორიო დარგზე გათვალისწინებული იყო ქართული სამართლის ისტორიის კურსის წაკითხვა. იგი ივანე ჯავახიშვილს მიჰყავდა უნივერსიტეტის არსებობის პირველი სემესტრიდანვე. საეკონომიო დარგის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო — მთელი რიგი იურიდიული დისციპლინების შესწავლა, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სახელმწიფო სამართალი, სავაჭრო (სააღმომიქცემო) სამართალი, აღმინისტრაციული (სამოხელეო) სამართალი, საერთაშორისო სამართალი განწარახული იყო % ავალიშვილისათვის, დ. ანდრონიკაშვილისათვის და რამდენიმე ახალგაზრდა იურისტ-

მკვლევარისათვის მიენდოთ ამ კურსების წაკითხვა. ეს კი იმ დროს ვერ მოხერხდა.

იურიდიული ფაკულტეტის გადაუდებლად გახსნას მოითხოვდა რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტობა, რომელიც ვერ ახერხებდა შექმნილი ვითარების გამო უკან დაბრუნებას და სწავლის გაგრძელებას. ისინი ითხოვდნენ თბილისის უნივერსიტეტში თუნდაც საგამოცდლო საგნების ჩაბარების ნებართვას. 1919 წლის 6 სექტემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ თხოვნაზე, რომ რუსეთის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის უფლება მიეცათ ჩაებარებინათ გამოცდები, დაადგინა:

„სამწუხაროდ უნივერსიტეტი მოკლებულია საშუალებას რაიმე ფაქტიური დახმარება აღმოუჩინოს აღნიშნულ სტუდენტობას, ვინაიდან უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ჯერ გახსნილი არაა“. ამ ფაკულტეტის გახსნა მხოლოდ ფართო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ შეიძლებოდა. ამიტომაც 1919 წლის 3 იანვარს იუსტიციის მინისტრის წინადადებაზე, რომ შეექმნათ იურიდიული ფაკულტეტი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ოუშუა პრინციპული თანხმობა განაცხადა, მაგრამ ჩათვალა, რომ „სამეცნიერო ძალების ნაკლებობის გამო ერთბაშად მისი გახსნა მოუხერხებელია და შესაძლოა მხოლოდ თანდათანობით მისი გახსნა, რომელსაც საბჭო მომავალ შემოდგომიდანვე შეუდგებაო“.

ივანე ჯავახიშვილს არც ექვევებოდა იურიდიული ფაკულტეტის გახსნა მომავალში. 1918 წლის ივლისში მას უკვე წარმოდგენილი ჰქონდა თუ როგორი იქნებოდა იურიდიული ფაკულტეტი, სადაც „ჩვეულებრივ რომაულ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციებს გარდა, შემოღებულ იქნება ბიზანტიური სამართლის ისტორია, მაჰმადიანური სამართლის ისტორია, ქართული და კავკასიის ადათების შესახებ ლექციები“.

გადაუდებლად დადა პრაქტიკული იურიდიული კურსების შექმნის საკითხი. ქართული იურიდიული საზოგადოების შუამდგომლობაზე, რომ უნივერსიტეტი დაეხმაროს მას პრაქტიკული იურიდიული კურსების მოწყობის საქმეში სამეცნიერო ძალების მოშველიებითა და აგრეთვე უნივერსიტეტის შენობაში საჭირო აუდიტორიების და მოწყობილობების დათმობით, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1919 წლის 4 ივნისს დაადგინა: „პროფესორთა საბჭო სასურველად ცნებოს, რომ უნივერსიტეტმა ქართულ იურიდიულ საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინოს პრაქტიკული იურიდიული კურსების გახსნის საქმეში, მაგრამ საჭიროდ



მიანიც გამოკვეთულ იქნეს, თუ ტექნიკურად რამდენად მოსახერხებელი იქნება განწარმული კურსების უნივერსიტეტის შენობაში მოწყობა“.

1919 წლის 8 ოქტომბერს პროფესორთა საბჭომ პრინციპულად მოიწონა კურსების გახსნა და ამასთან ერთად აირჩია კომისია (პროფ. ივ. ჭავჭავიძე, ს. ავალიანი და ფ. გოგიჩაიშვილი), რომელსაც უნდა გამოერკვია „დამოკიდებულება უნივერსიტეტსა და კურსებს შორის და ამასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის საკითხები და თავისი მოსაზრებანი წარედგინა პროფესორთა საბჭოსათვის“.

ამ საკითხის თაობაზე დასკვნაში ივანე ჭავჭავიძე კრიტიკულად განიხილავდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილ პროგრამადებულულებს იმ პუნქტებს, რომელთა მიზანი იყო კურსების მსმენელთათვის არსებითად იმ უფლებების მინიჭება, რაც უნივერსიტეტის სტუდენტს თუ მსმენელს ჰქონდა და გულისხმობდა კურსების თანდათანობით გადაქცევას იურიდიულ ფაკულტეტად. ივანე ჭავჭავიძის ყველაზე უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა ორი აზრი, რომ კურსების ერთერთ მიზნად განსაზღვრული იყო შესწავლა ქართული კანონმდებლობისა და აღათ-ჩვეულებებისა. „პრაქტიკული კურსების“ მართო თვის სახელი ცხადჰყოფს და მთელი მისი დებულება მოწმობს, რომ მას თეორიული სამეცნიერო მოღვაწეობა ვერ მოეთხოვება და დაეკისრება ვითარცა დროებით დაწესებულებას მას უნდა ხანმოკლე არსებობა ჰქონდეს და ამის გამო ამ მოთხოვნების დამკვეთილებას ვერც მოასწრებს“.

დებულების ავტორები არ მალავდნენ განწარმვას, რომ კურსები იურიდიული ფაკულტეტად გარდაქმნილიყო და ქართული უნივერსიტეტის განუყოფელ ნაწილად გადაქცეულიყო. ივანე ჭავჭავიძე ამის გამო გამოთქვამდა თავის პრინციპულად უარყოფით დამოკიდებულებას: „ზემოხსენებული კურსები ვითარცა პრაქტიკული ჩერ ეს ერთი ვერასდროს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტად ვერ იქცევა. იურიდიული ფაკულტეტი სულ სხვა საფუძველზე უნდა იყოს აგებული და მეორეც ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის გახსნა უფლებებრივად პროფესორთა საჭირო დადგენილებაზეა დამოკიდებული. ეს მის უცდომილ ავტონომიურ უფლებას შეადგენს და შეუძლებელია, რომ მისი ეს უფლება-მოვალეობა ვინმეს, მით უმეტეს პრაქტიკული იურიდიულ კურსებს დაუთმოს“.

1919 წლის 16 ნოემბერს დაწერილ თავის დასკვნაში პროფ. ს. ავალიანი ეთანხმება ივანე

ჭავჭავიძის უხედაულებებს კურსების სტატუსის თაობაზე. ისიც თვლიდა, რომ კურსების პრაქტიკული ხასიათის შეერთება უნივერსიტეტთან ძნელია და არევე-დარევას გამოიწვევს. უნივერსიტეტმა დახმარება უნდა აღმოუჩინოს კურსების მასწავლებლებს, მაგრამ იგი უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბდეს იუსტიციის სამინისტროსთან, მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებული პრაქტიკული აგრონომიული კურსების მსგავსად. 1920 წლის 10 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ განიხილა პროფ. ს. ავალიანის მოხსენება პრაქტიკული იურიდიული კურსების შესახებ და მისი მოხსენების დებულებანი საბჭომ მიიღო; უნივერსიტეტთან აღარ შექმნილა პრაქტიკული იურიდიული კურსები.

იმ პერიოდში უნივერსიტეტის პროფესორები გვერდზე არ მდგარან ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავებისაგან. პროფ. ი. ყიფშიძე აქტიურად მონაწილეობდა ქართულ სასამართლო წარმოების ენის შემუშავებაში. ივ. ჭავჭავიძისა და ი. ყიფშიძის აქტიური მონაწილეობით 1920 წელს გამოვიდა რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი.

თბილისის უნივერსიტეტი რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას ტოვებს საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ დაუყოვნებლივ საჭირო იყო იურიდიული დისციპლინების წაკითხვა თუნდაც საეკონომიო დარგზე. საჭირო იყო ის პიროვნება, რომელიც ამ საქმის კონკრეტულ განხორციელებას შეუდგებოდა. ამ დროს მთელი იმედები დამყარებული იყო სახელოვანი იურისტის ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ჩამოსვლაზე. უკვე 1920 წ. 15 დეკემბერს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭო ადგენს სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე მოწვეულ იქნეს ლ. ნ. ანდრონიკაშვილი და მიეცეს მას პროფესორთა სარგო. ეს შუამდგომლობა 1921 წლის 12 იანვარს დაამტკიცა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ.

უნივერსიტეტის არქივში ინახება ლ. ანდრონიკაშვილის მოკლე ბიოგრაფია — კუროკულუმ კოტე — დაწერილი უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჭავჭავიძის ხელით. მას ახლა პირველად ვაქვეყნებთ:

„ლუარსაბი ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი კახელია, სოფ. ოუიოელი, დაიბადა 1872 წელს, საშუალო განათლება ტფილისის პირველ გიმნაზიაში მიიღო. უმაღლესი პეტერბურგის უ-ტში და გერმანიაში, სადაც ორი წლის განმავლობაში გამოჩინულ მეცნიერებთან ვინდელბანდთან, კუნო ფიშერთან, ლანდლანდს და სხვებთან საგანგებოდ მუშაობდა ფილოსოფიაში და იურისტურუდენციაში. შემდეგშია, თუმცა ვეჟილობას შეუდგა, მაგრამ არც ფილოსოფიისა და



არც თეორიული იურიზპრუდენციისათვის თავი არ დაუნებებია და რუსეთში გაითქვა სახელი როგორც განათლებულმა თეორიტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა. მისი განმარტებანი სენატის პრაქტიკაშიაც იყო მიღებული. ამიტომ იგი სენატორად დანიშნა. რადგან ჩვენ არც ერთი თეორეტიკოსი ცივილისტი არა გვყავს, ეს საგანი კი აუცილებლად საქირია ჩვენი საეკონომიო დარგისათვის, ამიტომ სასურველი იყო მისი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება ჩვენი უნივერსიტეტისათვის“.

ივ. ჭავჭავაძე, როგორც ვხედავთ სრულად იცნობდა უნივერსიტეტის დროინდელი უფროსი მეგობრის ლ. ანდრონიკაშვილის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, რაც საფუძველს აძლევდა მოეწვია იგი უნივერსიტეტში ჭერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საეკონომიო დარგზე, შემდეგ კი იურიდიული ფაკულტეტის შექმნისათვის ღონისძიებათა გასაშლელად.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლ. ნ. ანდრონიკაშვილი 1892 წელს შევიდა. 1894 წელს დატოვა უნივერსიტეტი და გაემგზავრა საზღვარგარეთ, სწავლობდა ჭერ ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში. შემდეგ კი სტრასბურგის უნივერსიტეტში. 1897 წელს ბრუნდება საზღვარგარეთიდან, კვლავ შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1899 წელს. იმავე წელს იგი შედის პეტერბურგის ადვოკატურაში. მუშაობდა ნაფიც ვეჟილ ვატსოვთან, შემდეგ ლ. ვ. განტოვერთან ამის შემდეგ კი მ. მ. ვინავერთან.

სტაჟის გავლის დროს იგი წარმატებით ასრულებდა სამეცნიერო წრეში მუშაობის ვალდებულებას, მეცადინეობდა რა სახელგანთქმულ ა. ი. პასოვერთან.

სუთწლიანი სტაჟის გავლის შემდეგ იგი შეიყვანეს პეტერბურგის ოკრუგის ნაფიც ვეჟილთა პალატის წევრთა სიაში. ლ. ნ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა როგორც დამცველი მხოლოდ პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმეებზე.

1907 წლის იანვარს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რომელიც უნივერსიტეტის არქივში ინახება, თვითონ აღწერს პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმეებში მისი მონაწილეობის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს.

ნაციფ ვეჟილთა მემარცხენე თანაშემწეებისაგან 1900 წელს ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ლ. ანდრონიკაშვილი. ამ ჯგუფმა თავის ამოცანად დაისახა უსასყიდლო იურიდიული დახმარება გაეწია მუშებისა და ღარიბი მოსახლეობისათვის, რომლებიც ქ. პე-

ტერბურგის განაპირა ადგილებში ცხოვრობდნენ. ჯგუფმა გახსნა „საკონსულტაციო“ ბიურო შლისკლებურგის ტრაქტზე ნევისსასტავის იქით. თაოსნობა მეტად იღბლიანი აღმოჩნდა და მალე პეტერბურგი დაიფარა ამგვარი კონსულტაციების მთელი ქსელით.

სასამართლო დაწესებულებისათვის პოლიტიკურ დანაშაულობათა საქმეების გადაცემის შემდეგ პეტერბურგის სახლგაზრდა ადვოკატურის „მემარცხენე ჯგუფმა“ შექმნა „პოლიტიკურ დამცველების“ ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ლ. ნ. ანდრონიკაშვილი.

ფართოდაა ცნობილი პოლიტიკურ პროცესებში ლ. ნ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობა.

ავტობიოგრაფიაში ლ. ანდრონიკაშვილი ჩამოთვლის მსხვილ პოლიტიკურ პროცესებზე თავისი მონაწილეობის უმთავრეს ფაქტებს: საქმე ბათუმის 1902 წლის მუშათა დემონსტრაციის შესახებ, საქმე ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ მისაილოვოს შესახებ; საქმე 1903 წელს თბილისის დიდუბის რაიონის მუშების მხრივ ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ; საქმე ქ. როსტოვის მუშათა 1903 წლის დემონსტრაციის შესახებ; საქმე 1904 წელს ბაქოში ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და ბრბოს გამოსვლებაში მონაწილეობისა იმ ბრალდებისათვის, რაც გათვალისწინებული იყო სასჯელების შესახებ დებულების 271-ე და 269-ე მუხლებით; საქმეები შეიარაღებული აჯანყებისა, რომლებიც მოხდა 1905 წლის 8 დეკემბერს გაზარაში, ნოვოროსისკის შეიარაღებული გამოსვლებისა (800 კაცის), აგრეთვე შეიარაღებული გამოსვლებისა ენგელის კუნძულზე, ქ. რიგაში, რიგის მაზრაში, ქალაქ შიდავაში, მინერალურ წყლებში და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების ჯგუფის საქმე, რომელსაც შმიდტი მეთაურობდა და რომელთაც ლ. ნ. ანდრონიკაშვილი იცავდა. ეს ჯგუფი 800 მეზღვაურისაგან შედგებოდა.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილი იცავდა 1905 წელს მუშათა დეპუტატების საბჭოების წევრებს, I სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ვიბორგის მოწოდების შედგენაში; II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელსაც ბრალი ედებოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა იმ პირთ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ იმაში, რომ იყვნენ სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციების წევრები.



იგი გამოდიოდა დამცველად როგორც ადვოკატი მაკაროვისა და სხვათა საქმეებზე, იმ პირთა დასაცავად, რომელთაც ბრალად ედებოდათ ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობა და თავდასხმის ცდა ქ. სევასტოპოლში გენერალ ნებლიევზე, შტიფტარისა და გრონსკის დაცვაში, რომელთაც ბრალად ედებოდათ სოციალ-რევოლუციონერების ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობასა და პეტერბურგში გენერალ ლაუნციის მკვლელობაში მონაწილეობა; სერგეი ილინსკის, ციავლოვსკის, სერგერაკოვის დაცვაში, რომელთაც ბრალად ედებოდათ სოციალ-რევოლუციონერების მებრძოლ ჯგუფში მონაწილეობა და სახელმწიფო საბჭოს წევრის იგნატიევის მკვლელობაში, ნიკიტენკოს, კიტა პურკინის (სენიავესკის), ნაუშოვისა და სხვების დაცვაში, რომლებიც იმხილებოდნენ სოციალ-რევოლუციონერთა მებრძოლ ჯგუფში მონაწილეობასა და ნიკოლოზ II მკვლელობის მომზადებაში და სხვ.

იცავდა სტუდენტ იანოვიცკის, სუხლევს, სოკოლოვს, რომელთაც ბრალი ედებოდათ სდპ (ბ) წევრობასა და პოლიციისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას.

ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა კერძო ბრალდებლად შავრაშმელი იუსპევიჩ-კრასკოვსკის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედებოდა, სახელმწიფო სათათბიროს წევრის გარცენშტინის მკვლელობაში მონაწილეობა.

კიდევ ბევრ სხვა პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობდა ლ. ანდრონიკაშვილი.

ეს საქმეები, როგორც მათი ზოგადი დასახელებაც კი გვიჩვენებს საზოგადოებრივი და რევოლუციური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთანა დაკავშირებული. სამწუხაროდ, მთელი ის მდიდარი ბეჭდვითი მასალა (ამ საქმეების შესახებ ბევრია დაბეჭდილი თავის დროზე), საიდანაც ნათლად გამოჩნდებოდა ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, ჯერჯერობით საგანგებოდ შესწავლილი არ არის.

ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ასევე მჭიდროდა დაკავშირებული ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებასთან, ცარიზმის ცენზურისა და ავტორთა დევნის რეჟიმის უარყოფასთან.

„ლიტერატურული საქმეებიდან“, რომლებშიც მონაწილეობდა ლ. ნ. ანდრონიკაშვილი საგანგებო აღნიშვნის ღირსია კოროლენკოს, ელპატიევისკის, სტრუვეს საქმეები. პრინციპული მნიშვნელობისაა ლ. ნ. ტოლსტოის გამოცემელთა ბრალდების საქმე მკრეხელობისათვის და ა. შ.

ღრმა თეორიული მნიშვნელობის იყო პოლი-

ტიკურ დამცველთა მემარცხენე ჯგუფის მოღვაწეობა (მისი აქტიური წევრი იყო ლ. ნ. ანდრონიკაშვილი) სახელმწიფო დანაშაულთა და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა რეაქციული ინტეგრაციის წინააღმდეგ, რამაც სენატის მოძველებული პრაქტიკის უარყოფა გამოიწვია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობა სენატის მიერ განხილულ მთელ რიგ სამოქალაქო საქმეებში, სადაც იგი გამოდიოდა როგორც იურისკონსულტი.

1903-1917 წლებში იგი მუშაობდა როგორც ქალაქ ბაქოს იურისკონსულტი, პეტერბურგში—სენატის საქმეებში. ამასთან ორი წელი იგი ბაქოში ცხოვრობდა. ამ დროის მისი პრაქტიკულ-ცივილისტურ მოღვაწეობაში დიდ ადგილს იკავებდა სამოქალაქო სამართლის თეორიის ისეთი პრობლემები, როგორიცაა დაუძლეველი ძალის საკითხი და მისი მნიშვნელობა იმ ხანძართან დაკავშირებით, რომლებმაც მოსპეს 1905, 1914 წლებში ქ. ბაქოს ნავთის სარეწები და ა. შ. ასევე თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა ხანდაზმულობის გზით სერვიტუტის შექმნის შესაძლებლობას ანტიკავკასიაში წყალთა სარგებლობასთან დაკავშირებით და სხვ.

ლ. ანდრონიკაშვილი მუშაობდა სხვადასხვა საკანონმდებლო კომისიებში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიწვეული იყო იმ კომისიაში, რომელსაც 1908 წლის სისხლის სამართლის დებულების გადახალისება ჰქონდა მიზნად დასახული. კომისიის წევრები იყვნენ გამოჩენილი სწავლული იურისტები: ტაგანცევი, კონი, უიჟილენკო, ლიუბლინსკი და სხვ.

ლ. ანდრონიკაშვილი იმავე დროულად პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. ამის საშუალებას აძლევდა მას მალაღი ფილოსოფიური და იურიდიული განათლება. სამეცნიერო მოხსენებები წაკითხული ნაფიც დამცველთა „კონფერენციაზე“ ნამდვილ მეცნიერული კვლევის ჩატარებას გულისხმობდა. ამ „კონფერენციებში“ სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ სპასოვიჩი, პასოვერი და სხვ. სწორედ სპასოვიჩის მაგალითი ადასტურებდა რა სიახლოვე შეიძლებოდა უოფდელყო რევოლუციამდელ რუსეთში სამართლის პროფესორისა და გამოჩენილი ადვოკატის მოღვაწეობაში. ამ მხრივ სპასოვიჩისა და ლ. ნ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ბევრ რამეში ემსგავსება ერთმანეთს. დიდ სასამართლო პროცესებზე გამოსვლა ხშირად სამართლის თეორიის გამოყენება პრაქტიკაში. ბევრი ასეთი საქმე თავის მხრივ იძლევა საფუძვლს სამართლის თეორიული საკითხების განსავითარებლად.

ოფიციალური გასკლა

დ ა დ გ ე ნ ი დ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის „სახელმწიფო ნოტარიატის“ კანონის ძალაში შესწავლის წინის შესახებ

სსრ კავშირის „სახელმწიფო ნოტარიატის“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ძალაში შევიდეს სსრ კავშირის „სახელმწიფო ნოტარიატის“ კანონი 1974 წლის 1 იანვრიდან.

2. დავალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს სსრ კავშირის „სახელმწიფო ნოტარიატის“ კანონს.

3. დავალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამოს სსრ კავშირის „სახელმწიფო ნოტარიატის“ კანონს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე
მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

კანონი სსრ კავშირის სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

პარტი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანები

სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანებია დაცვა სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები. განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, აღკვეთოს სამართალდარღვევები ხელშეკრულებებისა და სხვა გარიგებების სწორი და დროული დადასტურების, მეკვიდრეობის უფლებების გაფორმების, საშემსრულებლო წარწერებისა და სხვა საწარმოო მოქმედების შესრულების გზით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის კანონმდებლობაში შედის ეს კანონი და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწი-

ფო ნოტარიატის კანონები და კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. საწარმოო მოქმედების შემსრულებელი ორგანოები და თანამდებობის პირნი

საწარმოო მოქმედების შესასრულებლად სსრ კავშირში იქმნება სახელმწიფო საწარმოო კანტორები.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში, სამხარეო, საოლქო ცენტრში, ერთ-ერთი სახელმწიფო საწარმოო კანტორა იქმნება პირველ სახელმწიფო საწარმოო კანტორად, რათა შეასრულოს ყველაზე რთული საწარმოო მოქმედება და სხვა ფუნქციები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში, სამხარეო, საოლქო ცენტრში, დაც ერთი სახელმწიფო საწარმოო კანტორა იქმნება, იგი წარმოადგენს პირველ სახელმწიფო საწარმოო კანტორას.

სახელმწიფო საწარმოო კანტორებში საწარმოო მოქმედებას ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები (უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსები, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსების მოადგილეები, სახელმწიფო ნოტარიუსები).

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო საწარმოო კანტორები არ არის, ამ კანონთა

და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებას ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ადგილობრივი პირობების შესაბამისად სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საზღვარგარეთ სანოტარო მოქმედების შესრულება ეკისრებათ სსრ კავშირის საკონსულტაციო დაწესებულებებს, სანოტარო მოქმედების შესრულებელ საკონსულტაციო თანამდებობის პირთა ნუსხას ადგენს სსრ კავშირის საკონსულტაციო წესდება.

ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტების ძალის მქონე ანდერძებისა და მინდობილობების დამოწმება შეუძლიათ აგრეთვე ამ კანონის 13 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირებს.

მუხლი 4. სახელმწიფო ნოტარიატისადმი ხელმძღვანელობა

სახელმწიფო ნოტარიატისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე ინიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ნოტარიუსების თანამდებობებზე შეიძლება დანიშნონ პირნი, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფ-

ლების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სახელმწიფო ნოტარიუსებს არ შეუძლიათ იმ სახტრონ სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და საწარმოებში, გამოწვევის შეიძლება დაშვებულ იქნას სახელმწიფო ნოტარიუსებისათვის, რომლებიც სამსწავლებლო ან მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

მუხლი 6. სანოტარო მოქმედების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შესრულებელი სხვა თანამდებობის პირნი თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე აქტებით, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოსცემენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 7. შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დაიცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები ეძლევათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ სრულდება სანოტარო მოქმედება.

სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მოთხოვნით ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები გაიცემა მათს წარმომადგენელს არსებულ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.

ცნობები ანდერძის შესახებ გაიცემა მხოლოდ მონადერძის გარდაცვალების შემდეგ.

სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის წესები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმე-

დება შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ამ მუხლის პირველ და მეხუთე ნაწილებში აღნიშნულ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების გამჟღავნებაში, პასუხისმგებლობა აკისრიათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მოქალაქეების, დაწესებულებების, ხაწარმოებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა მათი უფლებების განხორციელებასა და კანონიერი ინტერესების დაცვაში

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებასა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, განუმარტონ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების თაობაზე, რათა იურიდიული უცოდინარობა და სხვა მსგავსი გარემოებები გამოყენებული არ იქნას მათ საზიანოდ.

საპიროების შემთხვევებში სახელმწიფო ნოტარიუსებმა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირებმა, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ გარიგებათა და განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების პირები და მათი ამონაწერები, აგრეთვე განმარტება მისცენ სანოტარო მოქმედების შესრულების საქონებზე.

მუხლი 9. სანოტარო საქმის წარმოების ენა სახელმწიფო სანოტარო კანტორებსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო სბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო მოქმედება სრულდება იმ ენაზე, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება სამართალწარმოება ნოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, ეროვნულ ოკრუგში.

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში სანოტარო მოქმედება სრულდება იმავე ენაზე, რომელზეც ხორციელდება სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა საქმიანობა.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მოთხოვნელმა პირმა არ იცის ენა, რომელზეც საქმისწარმოება ხორციელდება, მას გასაფორ-

მებელი დოკუმენტების ტექსტი უნდა უთარგმნოს სახელმწიფო ნოტარიუსმა, ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირმა, ანდა სახელმწიფო ნოტარიუსისა თუ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირისათვის ცნობილმა მთარგმნელმა.

პარტი II
სანოტარო მოქმედება, რომელსაც სახელმწიფო და სანოტარო კანტორები და სხვა ორგანოები ასრულებენ

მუხლი 10. სანოტარო მოქმედება, რომელსაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

- 1) აღსატურებენ გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, მინდობილობებს და სხვ.);
- 2) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;
- 3) გაცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს.
- 4) გაცემენ მეუღლეთა საერთო ქონების წილის საკუთრობის უფლების მოწმობას;
- 5) ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;
- 6) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და მათი ამონაწერების სისწორეს;
- 7) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- 8) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;
- 9) ამოწმებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის აქტს;
- 10) ამოწმებენ მოქალაქის გარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- 11) ამოწმებენ ფოტოსურათზე გამოსახული პირისა და მოქალაქის იგივეობას;
- 12) ამოწმებენ დოკუმენტების წარდგენის დროს;
- 13) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
- 14) დებოზიტად იღებენ ფულად თანხებს და ფასიან ქვადღებებს;
- 15) ასრულებენ სააღსრულებო წარწერებს;
- 16) ასრულებენ თამასუქების პროტესტებს;

17) გასანადგებლად წარადგინენ ჩეკებს, და ამოწმებენ ჩეკის გაუნადგებლობას;

18) შესანახად იბარებენ დოკუმენტებს;

19) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეიძლება დაეკისროს სხვა სანოტარო მოქმედების შესრულებაც.

მუხლი 11. სანოტარო მოქმედება, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

1) ადასტურებენ ანდერძებს;

2) ადასტურებენ სხვა გარიგებებს (ხელშეკრულებებს, მინდობილობებს და სხვ.), გარდა ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების უფადო სარგებლობისათვის მიცემას, და გარიგებებისა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ არსებულ ქონებას, ან უფლებებს, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა განხორციელდეს;

3) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;

4) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და მათი ამონაწერების სისწორეს;

5) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;

6) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიძლება დაეკისროთ ამ კანონის 10 მუხლის 5, 9, 10, 12, 15, 18 და 19 პუნქტებით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულება. საჭიროების შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიძლება დაეკისროთ ამ კანონის 10 მუხლით გათვალისწინებული სხვა სანოტარო მოქმედების შესრულებაც.

მუხლი 12. სანოტარო მოქმედება, რომელსაც სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებები ასრულებენ

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებანი ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

1) ადასტურებენ გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, მინდობილობებს და სხვ.) გარდა ხელშეკრულებებისა სსრ კავშირში არსებული სახლების გასხვისებისა და გირავნობის შესახებ;

2) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;

3) გადასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობას;

4) გადასცემენ მეუღლეთა საერთო ქონების წილის საკუთრების უფლების მოწმობას;

5) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და მათი ამონაწერების სისწორეს;

6) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;

7) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;

8) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

9) ადასტურებენ მოქალაქის ვარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

10) ამოწმებენ ფოტოსურათზე გამოსახული პირისა და მოქალაქის იდენტობას;

11) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს;

12) დებოზიტად იღებენ ფულად თანხებსა და ფასიან ქალაქებს;

13) ასრულებენ სააღსრულებო წარწერებს;

14) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;

15) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს;

16) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სხვა სანოტარო მოქმედებაც, რომელსაც სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებანი ასრულებენ.

მუხლი 13. ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებთან გათანაბრებული ანდერძებისა და მინდობილობების დადასტურება თანამდებობის პირთა მიერ

ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:

საავადმყოფოებში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სანატორიუმებში, სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოების, სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმების მთავარი ექიმების, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგილეების ან მორიგი ექიმების მიერ, აგრეთვე



მოხუცთა და ინვალიდთა აღნიშნული სახლების დირექტორებისა და მთავარი ექიმების მიერ;

სსრ კავშირის ალმაიანი საზღვაო გემებით ან შილა ნაოსნობის გემებით ცურვაში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემების კაპიტნების მიერ;

სადაზვერვო არქტიკულ და სხვა მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, დადასტურებულია ამ ექსპედიციების უფროსების მიერ;

ჰოსპიტლებში, სანატორიუმებსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და მინდობილობანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლების, სანატორიუმებისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებების უფროსების, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგილეების, უფროსი და მორიგე ექიმების მიერ;

სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და მინდობილობანი, ხოლო ჭარის ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებებისა და სხვა სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო: სანოტარო კანტორები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, — აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და მინდობილობანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების მეთაურების (უფროსების) მიერ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და მინდობილობანი, დადასტურებული თავისუფლების აღკვეთის ადგილების უფროსების მიერ.

ამ მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გადასცენ შესაბამის მათ მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ეგზემპლარი სახელმწიფო სანოტარო კანტორას მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საზღვაო გემების კაპიტნები მოვალენი არიან მათ მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ეგზემპლარი გადასცენ სსრ კავშირის ნავსადგურის უფროსს ან უცხოეთის ნავსადგურში სსრ კავშირის კონსულს, რათა მათ შემდეგ გაუგზავნონ ისინი სახელმწიფო სანოტარო კანტორას მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოანდერძეს არ ჰქონდა სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან თუ მოანდერძის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი, ანდერძი ეგზავნება სახელმწიფო სა-

ნოტარო კანტორას, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს შესაბამისად შემოსული ანდერძის კანონიერება და, თუ დადგინდა, რომ იგი არ შეესაბამება კანონს, აცნობოს ეს მოანდერძეს და თანამდებობის პირს, რომელმაც ანდერძი დადასტურა.

ამ მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძთა და მინდობილობათა დადასტურება ხდება ამ კანონის 6-8, 16 და 20 მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

პარტი III სანოტარო მოქმედების შესრულების ძირითადი წესები

მუხლი 14. სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი

სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გარდა შემთხვევებისა, როცა სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს გარკვეულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს აღნიშნულ შენობათა გარეთ.

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის საკონსულო წესდება.

მუხლი 15. სანოტარო მოქმედების შესრულების ვადები

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, როცა საჭირო ხდება დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთაგან ან დოკუმენტების გავზავნა ექსპერტიზისათვის.

თუ სასამართლოდან მიღებულია ცნობა, რომ შემოვიდა დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც სადავოს ხდის უფლებას ან ფაქტს, რომლის დადასტურებასაც მოითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა საფუძვლებიც სანოტარო მოქმედების შესრულების გადადებისა და შეჩერებისათვის.

მუხლი 16. პიროვნების დადგენა, იმ პირთა ხელმოწერის ქმედუნარიანობისა და ნამდვილობის შემოწმება, რომლებმაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიმართეს

სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, ადგენენ იმ მოქალაქეთა, მათ წარმომადგენელთა ან სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვინაობას, რომლებმაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიმართეს.

გარიგებათა დადასტურებისა და ზოგიერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოწმდება გარიგებათა მონაწილეებისა და სხვა იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა, რომლებმაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიმართეს.

გარიგებათა დადასტურების დროს ირკვევა მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და მოწმდება გარიგებათა მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებათუნარიანობა, წარმომადგენლის მიერ გარიგების შესრულების შემთხვევაში მოწმდება მისი უფლებამოსილება.

ნოტარიულ დადასტურებული გარიგებების, აგრეთვე განცხადებებისა და სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ესწრება სახელმწიფო ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს. თუ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას არ დასწრებიან აღნიშნული თანამდებობის პირნი, ხელმოწერა პირადად უნდა დადასტუროს, რომ დოკუმენტს მან მოაწერა ხელი.

მუხლი 17. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ცნობებისა და დოკუმენტების გამოთხოვა

სახელმწიფო ნოტარიუსებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება აქვთ გამოითხოონ სახელმწიფო დაწესებულებებიდან, საწარ-

მოებიდან და ორგანიზაციებიდან, კოლმეურნეობებიდან და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. შესაბამისი ცნობები და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ნოტარიუსის ან სხვა იმ თანამდებობის პირის მიერ აღნიშნულ ვადაში, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 18. შეზღუდვები სანოტარო მოქმედების შესრულების უფლებაში

სახელმწიფო ნოტარიუსებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავიანთ სახელზე ან თავიანთი სახელით, თავიანთ მეუღლეთა, მათი და თავიანთი ნათესავების სახელზე ან სახელით, აგრეთვე მოცემული სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკთა სახელზე და სახელით. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება, აგრეთვე მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და სახელით.

სანოტარო მოქმედებას აღნიშნულ შემთხვევებში ასრულებს სხვა სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან სხვა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმ წესით, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა განსაზღვრავს. საკონსულო თანამდებობის პირნი ვერ შეასრულებენ სანოტარო მოქმედებას თავიანთ სახელზე ან თავიანთი სახელით, თავიანთ მეუღლეთა, მათი და თავიანთი პირდაპირი ნათესავების სახელზე და სახელით.

ამ კანონის მე-13 მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ დაადასტურონ ანდერძები და მინდობილობანი თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, მათი და თავიანთი ნათესავების სახელზე და სახელით.

სანოტარო და მასთან გათანაბრებული მოქმედება, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესების დარღვევით სრულდება, ბათილია.

მუხლი 19. სახელმწიფო ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა

თანამდებობის პირთა მოვალეობანი კანონის დარღვევის აღმოჩენისას

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, სანოტარო მოქმედების შესრულებისას თუ აღმოაჩენენ, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვიეს კანონიერება, საჭირო ღონისძიებათა მიხედვით ამას ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს ან პროკურორს.

თუ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება აქვთ გააჩერონ ეს დოკუმენტი და გაგზავნონ ექსპერტიზისათვის.

მუხლი 20. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ:

უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს;

არ იღებენ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დოკუმენტებს, თუ ისინი არ შესაბამებიათ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ან შეიცავენ ცნობებს, რომლებიც ჩირქს ცხებენ მოქალაქეთა პატივსა და ღირსებას.

სახელმწიფო ნოტარიუსებმა და სხვა თანამდებობის პირებმა, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, იმ პირის თხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ უარის თქმის მიზეზები და განმარტონ მისი გასაჩივრების წესი.

სსრ კავშირის საკონსულტო წესდებით შეიძლება დადგინდეს სხვა საფუძვლებიც იმისათვის, რომ სსრ კავშირის საკონსულტო დაწესებულებებმა უარი თქვან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, აგრეთვე განისაზღვროს ასეთი უარის თქმის წესი.

მუხლი 21. სანოტარო მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს, რომელსაც მართებულად არ მიაჩნია შესრულებულ სანოტარო მოქმედება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახელმწიფო სანოტარო კანტორის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკონსულტო თანამდებობის პირის მიერ სა-

ნოტარო მოქმედების უმართებულო შესრულების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გამო საჩივარი განიხილება წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის საკონსულტო წესდება.

ამ კანონის მე-13 მუხლზე ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძებისა და მინდობილობების უმართებულო დადასტურების ან მათ დადასტურებაზე უარის თქმის გამო საჩივრები გადაეცემა სასამართლოს შესაბამისად საავადმყოფოს, სხვა სტაციონალური სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების, სანატორიუმის, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის, ექსპედიციის, ჰოსპიტლის, სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების, ჯარის ნაწილის შენაერთის დაწესებულების, სამხედრო-სასწავლო დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის ადგილის მიხედვით.

სსრ კავშირის ალმაიანი საზღვაო გემის ან შიდა ნოსონობის გემის კაპიტნის მიერ ანდერძის უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო საჩივარი გადაეცემა სასამართლოს გემის მიწერის წავსადგურის ადგილის მიხედვით.

მუხლი 22. შესრულებულ სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებულ უფლებაზე დავის გადაწყვეტის წესი

შესრულებულ სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებულ უბნებზე დავას, რომელიც წარმოიშვა დაინტერესებულ პირებს შორის, განიხილავს სასამართლო ან არბიტრაჟი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად სასარჩელო წარმოების წესით.

მუხლი 23. საჩივრები სახელმწიფო ნოტარიუსებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათ მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებასთან

სახელმწიფო ნოტარიუსების მოქმედებასთან დაკავშირებულ საჩივრებს, რომლებიც არსებითად არ ეხება მათ მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებას (სანოტარო მოქმედების შესრულების ვადების დარღვევა, მიღების დადგენილი საათების დაუცველობა და ა. შ.) განიხილავს მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებანი, ავტონომიური, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 24. სანოტარო მოქმედების შესრულების წესი, სანოტარო რეესტრების, მოწმობებისა და დამადასტურებელი წარწერების ფორმები

სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და



მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესს ადგენენ ეს კანონი და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესს ადგენენ ეს კანონი, სსრ კავშირის საკონსულო წესდება და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები.

სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეგისტრების, სანოტარო მოწმობების, გარიგებებსა და დასამოწმებელ დოკუმენტებზე დამადასტურებელი წარწერების ფორმები ადგინდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 25. სახელმწიფო ბუღი

სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებების, განცხადებების პროექტების შედგენისათვის, დოკუმენტების პირების, მათი ამონაწერების მომზადებისათვის, დოკუმენტების დუბლიკატების გაცემისათვის დაინტერესებულ პირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდებთ სახელმწიფო ბუღი.

თუ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად სახელმწიფო ნოტარიუსი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ადგილზე გაემგზავრა, დაინტერესებული პირნი ანაზღაურებენ ფაქტიურ სატრანსპორტო ხარჯებს.

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაინტერესებულ პირებს გადახდებთ საკონსულო გამოსაღები. იგივე პირები ანაზღაურებენ სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებულ ფაქტიურ ხარჯებს.

პარი IV

სახელმწიფო ნოტარიატის კანონმდებლობის გამოყენება და უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისადმი, უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 26. სანოტარო მოქმედება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათ-

ვის, უცხოეთის სწარმოებისა და ორგანიზაციისათვის

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საბჭოთა მოქალაქეების თანაბარი უფლება მიმართონ სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორებს, აგრეთვე სანოტარო მოქმედების შესრულებელ სხვა ორგანოებს.

უცხოეთის სწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორებსა და საკონსულო დაწესებულებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაუწესოს საპასუხო შეზღუდვები იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, სწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც დაშვებულია საბჭოთა მოქალაქეების, დაწესებულებების, სწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ნოტარიატის ორგანოებში მიმართვის უფლებების სპეციალური შეზღუდვები.

მუხლი 27. უცხოეთის სამართლის გამოყენება.

სახელმწიფო ნოტარიუსები სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად იყენებენ უცხოეთის სამართლის ნორმებს.

სახელმწიფო ნოტარიუსები იღებენ უცხოეთის სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ დოკუმენტებს, აგრეთვე ასრულებენ დამადასტურებელ წარწერებს უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

მუხლი 28. საბჭოთა სამართლის გამოყენება სამკვიდრო ქონების დაცვისა და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას. საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად განკუთვნილი მინდობილობანი

უცხოელი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ სსრ კავშირის ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების ან საბჭოთა მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ უცხოელი მოქალაქისათვის კუთვნილი ქონების დაცვასთან, აგრეთვე ასეთი ქონების სამკვიდრო უფლების მოწყობის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედება ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული მინდობილობა, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მოქმედების შესრულებისათვის და არ შეიცავს მითითებებს მისი მოქმედების ვადის შესახებ, ძალაშია მინდობილობის გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე.

მუხლი 20. საზღვარგარეთ წარდგენილი დოკუმენტების მიღება: სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ

საზღვარგარეთის უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტებს სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორები იღებენ იმ პირობით, თუ ისინი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასეთ დოკუმენტებს ულევალიზაციოდ იღებენ იმ შემთხვევებში, როცა ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

მუხლი 30. უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებათა შესრულება და სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების დავალებით მიმართვა უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისადმი

სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისაგან დადგენილი წესით მიღებულ დავალებას გარდა იმ ცალკეული სანოტარო მოქმედების წარმოების შესახებ შემთხვევებისა, როცა:

1) დავალების შესრულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სუვერენიტეტს ან ემუქრება სსრ კავშირის უშიშროებას;

2) დავალების შესრულება არ შედის სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციაში.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი ცალკეული სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ სრულდება საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეუძლიათ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს მიმართონ დავალებით ცალკეული სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოებთან სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების ურთიერთობის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებ-

ლობა, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი.

მუხლი 31. უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში საქმის საწარმოებლად საქირო მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორები უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს, რომლებიც საქირო საქმის წარმოებისათვის უცხოეთის სახელმწიფო ორგანოებში.

მუხლი 32. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით განსაზღვრულია სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული სანოტარო მოქმედების წესები, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულებისას გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები.

თუ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულებას განაკუთვნებს სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციას, სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორები ამ სანოტარო მოქმედებას ახორციელებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

თუ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულია სანოტარო მოქმედება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება შეასრულოს რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებმა, ან თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო ადგენს, თუ რომელმა სახელმწიფო სანოტარო კანტორამ და რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შეასრულოს აღნიშნული სანოტარო მოქმედება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. კოლგოროვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ზიორბაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედლოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1973 წ. № 6, მუხ. 118) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე, გამოიყენება საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის ის მოქმედი აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი გამოიყენება იმ შრომით სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედლოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.

1973 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოშობილ შრომით სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ კოდექსს გამოიყენებენ იმ უფლებებისა და მოვალეობებისადმი, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედლოდ შემოღების შემდეგ.

3. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების შესაბამისი წესის სამოქმედლოდ შემოღების დღიდან, ესე იგი 1971 წლის 1 იანვრიდან, და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედლოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 48, მუხ. 514).

4. თუ შრომის ხელშეკრულება შეწყდება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედლოდ შემოღების შემდეგ, შრომის ხელ-

შეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებულ უნდა იქნეს კოდექსის 24-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე და 39-ე მუხლები. ზოგიერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა დამატებით საფუძვლად მითითებულ უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც არის დადგენილი ასეთი საფუძველი.

5. ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოფების შემთხვევაში მუშაკისათვის იძულებით გაცემილი მთელი დროის საშუალო ხელფასის მიცემის წესი, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 98-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც შრომის წიგნაკის გაცემის დაყოფას ადგილი ჰქონდა 1973 წლის 1 ოქტომბრამდე და გრძელდებოდა კოდექსის სამოქმედლოდ შემოღების შემდეგ.

6. კოდექსის 122-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული წესი მუშის ან მოსამსახურის ხელფასიდან მათი წერილობითი თანხმობისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ გამოიყენება აგრეთვე იმ უკანონო დაქვითვების მიმართაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედლოდ შემოღების დღიდან 1973 წლის 1 ოქტომბრამდე.

7. შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების განზორციელებისას კოდექსის ცალკეული ნორმების გამოყენების თავისებურებანი განისაზღვრება ამ ბრძანებულების მე-3—მე-6 მუხლებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი გახადოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კახაბაძე**

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საუბოკლოები

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პირობები ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყდება ახალი ადამიანის — კომუნისტის მშენებლის ჩამოყალიბების ამოცანა.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სახალხო განათლების ნამდვილად დემოკრატიული სისტემა. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების, აგრეთვე სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობის რეალური შესაძლებლობა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული და საგანმანათლებლო დონის განუზრელი ამაღლება, საშუალება მოგვცა შევექმნა ბევრთა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პირობები, თანამედვერტულად განგვეზრციელებინა სავალდებულო რვაწლიანი სწავლება და გადავსულიყავით ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე, ფართოდ განგვევითარებინა პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების მშენებლობა, საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაბეჭივებით მოითხოვენ მოზარდი თაობის ყოველმხრივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური მუშეებითა და სპეციალისტებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას, სსრ კავშირის მოსახლეობის ზოგადი და პროფესიული განათლების დონის შემდგომ ამაღლებას.

საშუალო განათლების ყველგან განხორციელება და ზოგადი, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სრულყოფა ხელს შეუწყობენ საბჭოთა ხალხის კულტურის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალი-

ბებას, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევას, გახდებიან გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებულთა თანდათანობით დაძლევის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზანია მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებლები, რომლებიც აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური მართლწესრიგის პატივისცემის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებიც წარმატებით იშრომებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში, მზად იქნებიან თავდადებით დაიცვან სოციალისტური სამშობლო, დაიცვან და ამრავლონ მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი, გაუფრთხილდნენ და დაიცვან ბუნება. სსრ კავშირის სახალხო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანის სულიერი და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა განვითარება და დაკმაყოფილება.

განათლება სსრ კავშირში ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმეა. სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთობლივი მეცადინეობით უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის აღზრდასა და განათლებას. სახალხო განათლების განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნებათ პედაგოგურ მუშაკებს, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს ახალგაზრდა თაობის სწავლების სათანადო ხარისხისა და კომუნისტური აღზრდისათვის პროფესიული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების საქმის სრულყოფას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დარგში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განამტკიცებს.

პარი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას სახალხო განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა მოქალაქეების საჭიროებანი და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებანი მოზარდი თაობის განათლებასა და კომუნისტურ აღზრდაზე, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა შესაბამისი კვალიფიკაციის მუშებითა და სპეციალისტებით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა შედგება ამ საფუძვლებსაგან და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, რომლებიც საფუძვლების შესაბამისად გამოიცემა.

მუხლი 3. სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სავალდებულო ზოგადი რეაწლიანი განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარება ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების კავშირის საფუძველზე, სწავლება სკოლებში დედაენაზე, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, ყველა სახეობის უფასო განათლება. სახელმწიფო სტიპენდიების და მოსწავლეებისა და სტუდენტებისადმი სხვა სახეობის მატერიალური დახმარების სისტემა, მშრომელთა სხვადასხვა ფორმის საწარმოო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია.

მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის აწესებს შესაბამის შეღავათებს.

6. საბჭოთა სამართალი № 4.

მუხლი 4. სსრ კავშირის სახალხო განათლების ძირითადი პრინციპები

სსრ კავშირის სახალხო განათლების ძირითადი პრინციპებია:

1) სსრ კავშირის ყველა მოქალაქის თანასწორობა განათლების მიღებაში მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად;

2) სავალდებულო განათლება ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის;

3) ყველა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათი;

4) სწავლების ენის არჩევის თავისუფლება: სწავლება დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე;

5) ყველა სახეობის უფასო განათლება, მოსწავლეთა ნაწილის სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე შენახვა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა და მათთვის სხვა მატერიალური დახმარების გაწევა;

6) სახალხო განათლების სისტემის ერთიანობა და ყველა ტიპის სასწავლებელთა თანამოედინეობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების უმაღლესი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას;

7) სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთიანობა; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის თანამშრომლობა ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში;

8) მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან;

9) განათლების მეცნიერული ხასიათი, მისი განუწყვეტელი სრულყოფა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლეს მიღწევებთან სიფუძველზე;

10) განათლებისა და აღზრდის ჰუმანისტურა და მაღალზნობრივი ხასიათი;

11) ორივე სქესის პირთა ერთად სწავლება;

12) განათლების საერთო ხასიათი, რომელიც გამოირიცხავს რელიგიის გავლენას.

მუხლი 5. სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემა

სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემა მოიცავს:

- სკოლამდელ აღზრდას;
- ზოგად საშუალო განათლებას;
- სკოლის გარეშე აღზრდას;
- პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას;
- საშუალო სპეციალურ განათლებას;
- უმაღლეს განათლებას.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში



სახალხო განათლების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სახით განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის სახალხო განათლების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემის საერთო პრინციპების დადგენა;

2) სახალხო განათლების განვითარების საერთო-საკავშირო გეგმებისა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

3) სსრ კავშირის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების სახალხო განათლების სასწავლო-აღმზრდელითი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

4) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების ტიპების დადგენა, მათი დებულებების (წესდებების) დამტკიცება, სასწავლებლებში მიღების ასაკისა და სწავლების ვადების დადგენა;

5) საკავშირო დაქვემდებარების უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

6) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების შტატების განსაზღვრის, მუშათა შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების წესის დადგენა;

7) ყველა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების მიერ სასწავლო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის საერთო პრინციპების დადგენა, სასწავლო გეგმების დამტკიცება და სასწავლო პროგრამების დამტკიცების წესის განსაზღვრა;

8) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების სასწავლო-მეტრიკული ბაზის განვითარების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

9) იმ პირთა მატერიალური დახმარების ნახეობათა და ნორმათა დადგენა, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელითის დაწესებულებებში სწავლობენ და იზრდებიან;

10) სახელმწიფო კონტროლი სახალხო განათლების დარგში და მისი განხორციელების წესის დადგენა;

11) სახალხო განათლების დარგში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი სისტემის დადგენა;

12) სახალხო განათლების სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სახით სახალხო განათლების დარგში განეკუთვნება:

1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური გეგმებისა და კვალიფიციური მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

2) მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელითი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

3) რესპუბლიკური დაქვემდებარების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

4) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებების სასწავლო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის განხორციელება დადგენილი წესით;

5) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

6) მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახალხო განათლების სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

7) სახალხო განათლების სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 8. სსრ კავშირში სახალხო განათლების ხელმძღვანელობა

სახალხო განათლების საქმის ხელმძღვანელობას სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად ახორციელებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სახელმწიფო მართვის ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოები მათი დებულებების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ზოგად საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათ სისტემაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დებულებებს. აგრეთვე ამუშავებენ სასწავლო, აღმზრდელი, მეთოდოლოგიური და მეცნიერული მუშაობის ზოგად დებულებებს, რომლებიც სავალდებულოა სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებებისათვის მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებებს. ახორციელებენ ამ დაწესებულებათა ქსელის განვითარების, მათი სწორი განლაგებისა და სასწავლო-მეტერიული ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ხელმძღვანელობას, ეხმარებიან მუშაობაში საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს.

მუხლი 9. სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებების დაქვემდებარება

სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებანი არის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში. ცალკეულ სახეობათა სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებანი შეიძლება იყოს აგრეთვე კოლმეურნოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში.

მუხლი 10. სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებების ხელმძღვანელობა

სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებების ხელმძღვანელობას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებების გამგე, დირექტორი, რექტორი, რომელიც თავის მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ კოლექტივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების, მეთოდოლოგიური და მეცნიერული მუშაობის ძირითადი საკითხების კოლექტიური განხილვის უზრუნველსაყოფად სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულებაში იქმნება პედაგოგიური საბჭო (უმაღლესი სასწავლებლის საბჭო) პედაგოგიური მუ-

შაყებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან.

სასწავლო-აღმზრდელი ობიექტების დაწესებულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლების, აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

მუხლი 11. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სახალხო განათლების განვითარებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნოებები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო განათლების განვითარებაში, მშრომელთა საწარმოო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ეხმარებიან მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსახლეს სახურეებს განათლების მიღებაში.

მუხლი 12. მოქალაქეთა თვითგანათლება

მოქალაქეთა თვითგანათლებისა და კულტურული ღონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწევა სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კურსები, კომუნისტური შრომის სკოლები და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების სხვა საზოგადოებრივი ფორმები.

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები დახმარებას უწევენ მოქალაქეებს თვითგანათლების ორგანიზაციაში.

**პარტი II
სკოლამდელი აღზრდა**

მუხლი 13. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისათვის რაც შეიძლება მეტად ხელშემწყობი პირობების შექმნისა და ოჯახისათვის საჭირო დახმარების გაწევის მიზნით იქმნება საბავშვო ბავშვები, საბავშვო ბაღები, ზოგადი და სპეციალური დანიშნულების საბავშვო ბავშვბაღები და სხვა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი.

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებს იღებენ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილისამებრ.

მუხლი 14. სკოლამდელი აღზრდის ამოცანები
საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებენ ბავშვთა ყოველმხრივ პარამონიულ განვითარებასა და აღზრდას. იცავენ და აკაყუბენ მათს ჯანმრთელობას, უნერგავენ მათ ელემენ-



ტარულ პრაქტიკულ ჩვენებასა და შრომის წყურავრულს, ზრუნვენ მათი ესთეტიკური აღზრდისათვის, ამზადებენ ბავშვებს სკოლაში სასწავლებლად, ზრდიან მათ უფროსებისადმი პატივისცემის, სამშობლოსა და მშობლიური მხარის სიყვარულის სულისკვთებით.

მუხლი 15. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაცია

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს ქმნიან მშრომელთა დელუტატების რაიონული, საქალაქო, სასკოლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე მათი ნებართვით სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუხლი 16. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური ხელმძღვანელობა და მათი სამედიცინო მომსახურება

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, პედაგოგიურ ხელმძღვანელობას უწევს და პედაგოგიური მუშაკებით უზრუნველყოფენ სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

ბავშვებთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს მედიცინის მუშაკებით უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

პარი III

საშუალო განათლება

მუხლი 17. საყოველთაო საშუალო განათლება

სსრ კავშირის მოსახლეობის განათლების ღონის შემდგომი ამაღლების მიზნით ყველგან ხორციელდება მოზარდი თაობის საყოველთაო საშუალო განათლება, რაც კომუნისზმის გზით ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, მშრომელთა სოციალისტური შეგნებისა და კულტურის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საყოველთაო საშუალო განათლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

პარი IV

ზოგადი საშუალო განათლება

მუხლი 18. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (ზოგადი საშუალო განათლების მიღების ძირითადი ფორმა) წარმოადგენს ერთიან, შრომითს, პოლიტექნიკურ სკოლას ბავშვთა და ახალგაზრდათა სწავლებისა და აღზრდისათვის.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთიანობას უზრუნველყოფენ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საერთო პრინციპები, ზოგადი განათლების ძირითადად ერთნაირი შინაარსი და დონე და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივი გათვალისწინება.

მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლება, შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება მეცნიერების საფუძვლების შესწავლის, მოსწავლეთა შრომითი სწავლების, სხვადასხვაგვარი კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის პროცესში, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესებისა და უნარის განვითარების და მათი პროფესიული ორიენტაციის მიზნით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეწყობა ფაქულტატიური მეცადინეობა მოსწავლეთა არჩევით. ამავე მიზნით შეიძლება შეიქმნას ცალკეული სავნების, სხვადასხვა სახეობის შრომის, ხელოვნებისა და სპორტის გარდაცვლელი თეორიული და პრაქტიკული შესწავლის სკოლები და კლასები. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება მოეწყოს საწარმოო სწავლებაც. ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის სავალდებულო მოცულობა ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ერთიანი უნდა იყოს.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა ხორციელდება სასწავლო მუშაობის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მეცადინეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის პროცესში, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა გაკვეთილი.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების საფუძველზე.

მუხლი 19. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანებია:

განახორციელოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგადი საშუალო განათლება, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს, შეიარაღოს მოსწავლენი მეცნიერული საფუძვლების დრმა და მტკიცე ცოდნით, გამოუმუშაოს მათ სწრაფვა, რომ დღენიდავ სრულყოფდნენ თავიანთ ცოდნას და შეეძლოთ მისი დამოუკიდებელი შეესება და პრაქტიკული გამოყენება;

ჩამოუყალიბოს ახალგაზრდა თაობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის გრძნობა;

ჩაუნერგოს მოსწავლეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნების სტლისკვეთებით;

უზრუნველყოს მოსწავლეთა ყოველმხრივი პარმონიული განვითარება, მათი კულტურა; გაუყაყოს მათ განმრთელობა, ესთეტიკურად და ფიზიკურად აღზარდოს;

მოამზადოს მოსწავლენი აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის.

მუხლი 20. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების ენა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისწავლონ დედანენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე. მშობლებს ან მათს შემცვლელ პირებს უფლება აქვთ ბავშვებს სურვილისამებრ შეურჩიონ სკოლა, სადაც სწავლება შესაბამის ენაზე წარმოებს. იმ ენის გარდა, რომელზეც სწავლება წარმოებს, მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ შეისწავლონ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენა.

მუხლი 21. მოსწავლეთათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მოსწავლეთათვის სკოლის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ოპტიმალური სასკოლო დარაიონება, სოფლად მოსწავლეთა უფასო მგზავრობა სკოლაში და სკოლიდან, სკოლებთან არსებული კეთილმოწყობილი ინტერნატები.

ადგილობრივი პირობების შესაბამისად ცალკე იქმნება დაწყებითი სკოლები I-III (IV) კლასების შემადგენლობით, რვაწლიანი სკოლები I-VIII კლასებისა და საშუალო სკოლები I-X (XI) კლასების შემადგენლობით, ამასთან

შენარჩუნებულია ზოგადი საშუალო განათლების ყველა საფენურის ერთიანობა და თანაომომდევნობა.

მუხლი 22. მოსამზადებელი კლასები

სკოლისათვის იმ ბავშვთა მომზადების მიზნით, რომლებიც დედანენაზე არ ისწავლიან, და აგრეთვე იმ ბავშვთა მოსამზადებლად, რომლებიც არ არიან საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები, სკოლებში როცა საჭიროა იქმნება მოსამზადებელი კლასები.

მოსამზადებელი კლასები იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 23. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და ჭვუფები. სკოლა-ინტერნატები

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საზოგადოებრივი აღზრდა, შეიქმნას უფრო ხელშემწყობი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის და ოჯახს გაეწიოს დახმარება მათს აღზრდაში, სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობისას იქმნება გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ან ჭვუფები.

ამავე მიზნით იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საჭირო პირობები ოჯახში აღსაზრდელად, იქმნება სკოლა-ინტერნატები.

მუხლი 24. საბავშვო სახლები

მშობელთა მეურვეობას მოკლებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის იქმნება საბავშვო სახლები, რომლებშიც უზრუნველყოფილია ბავშვებისა და მოზარდების შენახვა, მათი სწავლება და აღზრდა.

მუხლი 25. სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლა-ინტერნატები

იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ვინაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება, იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი სანატორიულ-სატყუო სკოლები, აგრეთვე მათთან ეწყობა სასწავლო-მეცადინეობა საავადმყოფოებში, სანატორიუმებში და შინ.

ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლი, რომელიც ხელს უშლის მათ ისწავლონ ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, აგრეთვე სჭირდებათ აღზრდის განსაკუთრებული პირობები, იქმნება სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლა-ინტერნატები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სწავლებას, აღზრდას, მკურნალობასა და მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის.



მუხლი 26. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მომუშავე ახალგაზრდობისათვის
 იმ პირობების, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და არა აქვთ საშუალო განათლება, იქმნება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები.

საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მომუშავე ახალგაზრდობის ჩაბმას საღამოს სკოლებში, შექმნან საჭირო პირობები მუშაობისა და სწავლის შეთავსებისათვის და ამ სკოლების ნორმალური საქმიანობისა და მოსწავლეთა მეცადინეობისათვის.

მუხლი 27. რვაწლიანი განათლების მოწოდება და საშუალო განათლების ატესტატი

იმ პირობით, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს, ეძლევათ რვაწლიანი განათლების მოწოდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მათ შევიდნენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეცხრე კლასში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

იმ პირობით, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი.

იმ პირობით, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების სკოლა, ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი და მიღებული სპეციალობის მოწოდება, რომელშიც აღნიშნული საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მინიჭებული თანრიგი.

მუხლი 28. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროს მედლითა და ქების სიგელით

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, აჯილდოებენ ოქროს მედლით „სწავლაში, შრომაში ჩინებული წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“. ხოლო იმათ, ვინც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ცალკეულ საგნებში, აჯილდოებენ ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“.

**პარი V
 სკოლისგარეშე აღზრდა**

მუხლი 29. ბავშვთა სკოლისგარეშე დაწესებულებანი

იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განავითარონ მოსწავლეთა ნიჭი და მიდრეკილებანი, მათი საზოგადოებრივი აქტივობა, ინტერესი შრომისადმი, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის, სამხედრო საქმისადმი, აგრეთვე მოაწყონ მათი კულტურული დასვენება და გაუ-

კაჟონ ჯანმრთელობა, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, კომუნალური და ორგანიზაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ქმნიან პიონერთა სასაზღვრებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტურისტთა სადგურებს, საბავშვო ბიბლიოთეკებს, სპორტულ სამხატვრო, მუსიკალურ სკოლებს, პიონერთა ბანაკებსა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

პარი VI

პროფესიულ-ტექნიკური განათლება

მუხლი 30. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და მუშათა კლასის ღირსეული შეცვების ჩამოყალიბების ძირითად სკოლას.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში (სასწავლებლებში, პროფესიულ სკოლებში) მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ იმ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 31. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ამოცანები

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ამოცანებია:

მოამზადონ სახალხო მეურნეობისათვის ყოველმხრივ განვითარებული, ტექნიკურად განათლებული და კულტურული ახალგაზრდა კვალიფიციური მუშები, რომლებიც დაუფლებულნი იქნებიან თანამედროვე წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების შესაბამის პროფესიულ ოსტატობას.

განახორციელონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლება:

ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგონ მაღალი მორალური თვისებები, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, შრომისა და საზოგადოებრივი საქუთობები-



სადმი კომუნისტური დამოკიდებულება, მზად-ყოფნა. გაუფრთხილდნენ და ამრავლონ მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციები;

ესთეტიკურად და ფიზიკურად აღზარდონ მოსწავლენი, გააყაონ მათი ჯანმრთელობა, მოამზადონ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

მუხლი მ2. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ურთიერთობა საბაზო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალდებიან სახალხო მეურნეობის დარგებისათვის მუშათა კადრების მომზადებაში და თავიანთ მუშაობას ახორციელებენ შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ურთიერთობა საბაზო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობანი სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნისა და შემდგომი განმტკიცებისათვის და ამ სასწავლებელთა წარმატებით მუშაობის საჭირო პირობების უზრუნველყოფისათვის განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი მ3. მუშათა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ წარმოებაში

ახალგაზრდობისათვის, რომელიც წარმოებაში მიღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ, და იმ პირთათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ და სურთ მიიღონ ახალი პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია, ეწყობა სიღამოს (ცვლიანი) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, აგრეთვე კურსები, სასწავლო-საკურსო კომბინატები და უშუალოდ წარმოებაში მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმები.

საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ქმნიან საჭირო პირობებსა და სასწავლო-საწარმოო ბაზას უშუალოდ წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების განხორციელებისათვის.

მუხლი მ4. კვალიფიკაციის მინიჭება, ატესტატისა და დიპლომის გაცემა

იმ პირთ, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს, ენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაცია (თანრიგი, კლასი, კატეგორია) პროფესიაში და ეძლევათ დადგენილი ნიმუშის ატესტატი, იმათ კი, ვინც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია სწავლაში და

გამოიჩინა სანიმუშო ყოფაქცევა, ეძლევათ წარჩინების ატესტატი.

იმ პირთ, რომლებმაც საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს, ეძლევათ დიპლომი პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭებისა და საშუალო განათლების მიღების შესახებ, იმათ კი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, -- წარჩინების დიპლომი.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული საწარმოო თანრიგები, კლასები, კატეგორიები სავალდებულოა სსრ კავშირის ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

იმ პირთ, რომლებმაც გაიარეს სწავლება ახალ პროფესიაში ან კვალიფიკაცია აიმაღლეს უშუალოდ წარმოებაში და წარმატებით ჩააბარეს სპეციალიზაციო გამოცდა, ეძლევათ ერთიანი ფორმის მოწმობა მიღებული სპეციალობისა და მინიჭებული თანრიგის, კლასის, კატეგორიის შესახებ.

პარტი VII

საშუალო სპეციალური განათლება

მუხლი მ5. საშუალო სპეციალური სასწავლებლები

საშუალო სპეციალური განათლება ხორციელდება ტექნიკუმებში, სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, რომლებიც დადგენილი წესით განეკუთვნებიან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შეიძლება მოეწყოს დღის, სიღამოს და დაუსწრებელი სწავლება.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებას მოუწყვეტილ სწავლება სპეციალობის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმით იმ პირთათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

საშუალო სპეციალური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირისა მინისტრთა საბჭო და იმ წესდებათა საფუძველზე, რომლებსაც აღნიშნული დებულების შესაბამისად ამუშავებს თვითეული საშუალო სპეციალური სასწავლებელი და ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

მუხლი მ6. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მთავარი ამოცანები

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია:

მომზადონ საშუალო სპეციალური და ზოგა-



დი საშუალო განათლების კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სიჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები სპეციალობაში, აღზრდილი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, აქვთ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ჩვევები;

განუწყვეტილ სრულყოფილ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

ჩაუნერგონ მოსწავლეებს მაღალი მორალური თვისებები, შრომისა და საზოგადოებრივი საქუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, კულტურა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნა; უზრუნველყონ მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება.

მუხლი 37. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლება

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ ზეაწლიანი ან საშუალო განათლება. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 38. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების პრაქტიკა

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების პრაქტიკა იმ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის შედეგად მოსწავლეები იღებენ სპეციალისტებად მუშაობის ჩვევებს, ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებში კი, ამას გარდა, ერთ-ერთი მუშა პროფესიის კვალიფიკაციას.

მოსწავლეთა პრაქტიკა ეწყობა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 39. კვალიფიკაციის მინიჭება და დამოღობის გაცემა

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთ ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლევათ დამოღობი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

იმ პირობით, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს, ღიდ წარმო-

ტებებს მიიღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი.

პარი VIII

უმაღლესი განათლება

მუხლი 40. უმაღლესი სასწავლებლები

უმაღლესი განათლება ხორციელდება უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, აკადემიებსა და სხვა სასწავლებლებში, რომლებიც დადგენილი წესით განეკუთვნებიან უმაღლეს სასწავლებლებს.

უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება მოეწყოს დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლება.

უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებას მოუწყვეტილ სწავლება სპეციალობის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმაა იმ პირობით, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, და იმ წესდებათა საფუძველზე, რომლებსაც აღნიშნული დებულების შესაბამისად ამუშავებს თვითეთლი უმაღლესი სასწავლებელი და ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ექვემდებარება.

მუხლი 41. უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანები

უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია:

მომზადონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს სპეციალობაში და მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში;

ჩაუნერგონ სტუდენტებს მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური შეგება, კულტურა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნა; უზრუნველყონ სტუდენტთა ფიზიკური მომზადება;

განუწყვეტილ სრულყოფილ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

შეასრულონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას; საზოგა-



დობრივ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს; შექმნან ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები;

მოამზადონ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;

კვალიფიკაცია უმაღლეს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა შემადგენლობას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში დასაქმებულ უმაღლესი განათლების სპეციალისტებს.

მუხლი 42. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლება

უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება. უმაღლეს სასწავლებლებში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 43. უმაღლეს სასწავლებლებთან სტუდენტების პრაქტიკა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

პრაქტიკული ჩვენების სრულყოფისათვის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი სპეციალობაში სტაჟირებას ვაღიან შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უმაღლეს სასწავლებელთა კონტროლით.

მუხლი 44. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლევათ დიპლომი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დიდი წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი.

მუხლი 45. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება

სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში,

კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე და მოწინავე საწარმოებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ. განსაზღვრული წესით.

პარი IX

მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 46. მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლებანი

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ უკასოდ ისარგებლონ ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოთეკებითა და სხვა სასწავლო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებებით, აგრეთვე სპორტული ბაზებით, ნაგებობებით, სპორტული ინვენტარით და სასწავლებელთა სხვა მოწყობილობით.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ სტიპენდიებით, დახმარებით, საერთო საცხოვრებლებით, ინტერნატებით, სამედიცინო დახმარებით სასწავლებლებში, მათ აქვთ ტრანსპორტით შეღავათიანი ან უფასო მგზავრობის და სხვა სახეობათა მატერიალური დახმარების უფლება.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტილად სწავლობენ, კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ მუშაობის ადგილზე დამატებითი შევებულების, შემოკლებული სამუშაო კვირის და სხვა შეღავათების უფლება.

იმ პირობით, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, უზრუნველყოფენ სამუშაოთა მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხების, აგრეთვე აკადემიური წარმატების, შრომისა და სასწავლო დისციპლინის საკითხებისა და მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლასა და ყოფაცხოვრებანთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში.

მუხლი 47. მოსწავლეთა და სტუდენტთა მოვალეობანი

მოსწავლეები და სტუდენტები მოვალენი არიან სისტემატურად და ღრმად ეუფლებოდნენ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვენებს, ესწრაბოდნენ სასწავლო მეცადინეობას, დადგენილ ვადებში ასრულებდნენ სასწავლო გეგმი-

თა და პროგრამებით გათვალისწინებულ დავალებებს, იმადლებდნენ იდეურ და კულტურულ დონეს, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, თვითმომსახურებაში, იცავდნენ სასწავლო-აღმზრდელიობით დაწესებულების შინაგანაწესს.

მოსწავლეები და სტუდენტები უნდა იყვნენ დისციპლინიანი და ორგანიზებული, იცავდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უფროზილებდნენ და განამტკიცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას, იყვნენ შეურიგებლნი ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლენებებისადმი, მონაწილეობდნენ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პარო X

პედაგოგიური კადრების მომზადება.
პედაგოგიური მოღვაწეობა. სახალხო განათლების მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

მუხლი 48. სასწავლო-აღმზრდელიობით დაწესებულებების პედაგოგიური კადრების მომზადება

სასწავლო-აღმზრდელიობით დაწესებულებების პედაგოგიური კადრების მომზადება ხდება უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ცალკეულ სპეციალობებში კი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუხლი 49. სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება

სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კადრების მომზადების ძირითადი ფორმა ასპირანტურა, რომელიც ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. ასპირანტურის დებულება მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 50. პედაგოგიური მოღვაწეობა

საბავშვო სკოლამდელ და სკოლასაგარეშე დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად, აღმზრდელად, პედაგოგად, საწარმოო სწავლების ოსტატებად და სხვა პედაგოგიურ მუშაკებად სამუშაოდ დაიშვებიან პირნი, რომლებსაც აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული მომზადება.

პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების, მასწავლებელთა კადრების შემოქმედებითი ინიცია

ტივის განვითარების მიზნით სისტემატურად ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ატესტაცია.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ვაკანტურ თანამდებობათა დაკავება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად მოწყობილი კონკურსით და გაქსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ეწყობა ამ თანამდებობის პირთა ხელახალი არჩევნები.

ის პირნი, რომლებიც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწყვიან, თუ აღმოჩნდა, რომ არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას დაბალი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის პედაგოგიური და აღმზრდელიობითი ფუნქციების შესრულებას, აგრეთვე, თუ ჩაიდნენ ამორალურ საქციელს, რომელიც შეუთავსებელია პედაგოგიური მოღვაწეობის განგრძობასთან, თავისუფლდებიან პედაგოგიური სამუშაოდან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 51. პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ საფუძვლებითა და მათ შესაბამისად მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტებით, შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელიობითა დაწესებულებების დებულებებითა და წესდებებით.

მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიულ უფლებებს, პატიოსნებასა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 52. პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მოწინავე საწარმოებში, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადება წარმოებს უმაღლესი



კარი XI

მშობელთა და მათ შემცველთა პირთა უფლება-მოვალეობანი ბავშვთა აღზრდასა და სწავლებაში

განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე პირთაგან.

პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული ცოდნის სრულყოფის ღონისძიებებს ახორციელებს შესაბამისი სახალხო განათლების ორგანოები.

მუხლი 53. პირობების უზრუნველყოფა რომ პედაგოგიურმა და სახალხო განათლების სხვა მუშაკებმა შეასრულონ პროფესიული მოვალეობანი

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებანი უზრუნველყოფენ, რომ პედაგოგიურ და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს, შეუქმნან წარმატებით მუშაობისა და კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების საჭირო პირობები, მისცენ კანონით დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი. აგრეთვე განუწყვეტლივ ზრუნავენ პედაგოგიურ მუშაკთა ავტორიტეტისათვის, მათი შრომისა და სამუშაო დროის სწორად გამოყენებისათვის, რათა არ მოაციდნონ ისინი უშუალო მოვალეობათა შესრულებას.

მუხლი 54. შეღავათები და უპირატესობანი

კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო განათლების მუშაკები სარგებლობენ განხარჭილებული შვებულებით, რომელსაც სახელმწიფო ანაზღაურებს, უფასო საცხოვრებელი ფართობით, გათბობითა და განათებითურთ სოფლად, უპირატესობებით საპენსიო უზრუნველყოფის დარგში და სხვა შეღავათებითა და უპირატესობებით.

მუხლი 55. სახალხო განათლების მუშაკთა წახალისება განსაკუთრებული დამსახურებისათვის

მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში და სპეციალისტთა მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სახალხო განათლების მუშაკებს წარადგენენ დადგენილი წესით.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად;

სახელობითი მედლებით, წარჩინების მედლებითა და ნიშნებით დასაჯილდოებლად, რომლებიც სახალხო განათლების მუშაკებისათვის არის დაწესებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბატიო წოდებათა მისანიჭებლად.

მუხლი 56. მშობელთა და მათ შემცველთა პირთა უფლებანი

მშობლებსა და მათ შემცველ პირებს უფლება აქვთ:

მიაბარონ ბავშვები აღსაზრდელად და სასწავლებლად საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხების განხილვაში, კლასგარეშე, სკოლისგარეშე და გამაჯანსაღებელ მუშაობაში იმ სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში, სადაც მათი შვილები სწავლობენ და იზრდებიან;

აირჩიონ და არჩეულ იქნან სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მშობელთა საზოგადოებრივ კომიტეტებში (საბჭოებში).

მუხლი 57. მშობელთა და მათ შემცველთა პირთა მოვალეობანი

მშობლები და მათი შემცველი პირნი მოვალენი არიან:

აღზარდონ ბავშვები მაღალი კომუნისტური ზნეობის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩაუწერგონ მათ შრომითი ჩვევები და მოამზადონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, იზრუნონ ბავშვთა ფიზიკურა განვითარებისა და ჯანმრთელობის გააყვებისათვის.

მიაბარონ ბავშვები სკოლაში სასკოლო ასაკის მიღწევისთანავე, უზრუნველყონ, რომ მოსწავლეები დადიოდნენ სასწავლებლებში, არ აღედგინენ მეცადინეობას უმიზეზოდ.

შექმნან საჭირო პირობები, რომ ბავშვებმა დროზე მიიღონ საშუალო განათლება და პროფესიული მომზადება.

ოჯახში აღზრდა ორგანულად უნდა იყოს შეხამებული სასწავლებლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითს მუშაობასთან.

მუხლი 58. პედაგოგიური ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები მეცნიერებისა და კულტურის



ორგანიზაციის და დაწესებულებების, პედაგოგიურ-საზოგადოებრივ განათლების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფენ პედაგოგიური ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში, პედაგოგიურ დახმარებას უწყვეტ მშობლებსა და მათ შემცველ პირებს ბავშვებსა და მოზარდების აღზრდაში.

პარი XII

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა

მუხლი 59. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების გახსნის პირობები
სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი შეიძლება გაიხსნას მხოლოდ მაშინ, თუ არის შესაბამისი შენობები, სასწავლო მოწყობილობა და პედაგოგთა კადრები.

მუხლი 60. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობათა გამოყენება
სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობებს იყენებენ მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 61. სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე კაპიტალურ დახმარებათა სახსრებით, რაც სახალხო-სამეურნეო გეგმით არის გათვალისწინებული. ამ მიზნით შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას საწარმოთა, კოლმეურნეობის და სხვა ორგანიზაციათა სახსრები მათი თანხმობით.

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობები უნდა აიგოს დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტებით.

მუხლი 62. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დადგენილი წესით მონაწილეობენ სასწავლო-აღმ-

ზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

პარი XIII

პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 63. პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის თანამდებობის პირთა და მოქალაქეებს, რომლებმაც დარღვევის საყოველთაო სავალდებულო რეაქციის განათლების, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონმდებლობა ან დაუშვეს კანონმდებლობის სხვა დარღვევანი სახალხო განათლების დარგში, ეკისრებათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პარი XIV

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მიიღონ განათლების სსრ კავშირში. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 64. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მიიღონ განათლების სსრ კავშირში

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ უფლება აქვთ მიიღონ განათლება სსრ კავშირში საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 65. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობით, გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.



ინფორმაცია

სამეცნიერო სესია

გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლის-თავს.

საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს: პროფესორებმა ს. ჯორბენაძემ (ოსუ იურიდიული ფაკულტეტის დაარსების ისტორიიდან), გ. ინწკირველმა (ოსუ იურიდიული ფაკულტეტის მონაწილეობა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისა და სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში), ბ. ფურცხვანიძემ (სისხლის სამართლის კათედრა იურიდიული ფაკულტეტის 50 წლის-თავზე), ვ. ფარქოსაძემ (სსრ კავშირი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოთა), გ. ერემოვმა (საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება), ნ. ლომსაძემ (აგრარული გარდაქმნები საქართველოს სს რესპუბლიკაში), ე. ნეიძემ (შრომის დისციპლინის გან-

მტკიცების წყაროები და ფორმები), შ. ჩიჯვაშვილმა (შვილად აყვანა საბჭოთა საოჯახო სამართლით), ივ. სურგულაძემ (ვახტანგ ბაგრატიონის პოლიტიკური შეხედულებანი), გ. ნადარეიშვილმა (ფეოდალური საოჯახო სამართლის ზოგიერთი თავისებურების შესახებ), ნ. წერეთელმა (სამეურნეო სამართლის სწავლების ისტორიის საკითხისათვის).

დოც. ვ. ლორია ილაპარაკა „ადმინისტრაციული პროცესის სპეციურის სწავლების მეთოდის შესახებ“, დოც. ზ. წულაია — „დამნაშავეობის, მისი მიზეზებისა და პირობების ცნების საკითხებისათვის საბჭოთა კრიმინოლოგიაში“, დოც. მ. კეკელიამ — „სასამართლოს ორგანიზაციაზე გურიის სამთავროში“.

სამეცნიერო სესიის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი შეხვდნენ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

შპრნალინსტვის რესპუბლიკური თათბირ-სამინარი

ქ. თბილისში გაიმართა სამართლებრივ თემებზე მომუშავე მწერალი ეურნალისტების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი ლექციები: სკკპ XXIV ყრილობის იურიდიული მეცნიერების ამოცანების შესახებ (პროფ. ს. ჯორბენაძე), მორალისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (პროფ. გ. ბანძელაძე), სოციოლოგიურ გამოკვლევათა როლი დამნაშავეობის შემცირებისა და თავიდან აცილებაში (დოც. ა. ვაბიანი), კოსმოსური სამართლის პრობლემები (პროფ. გ. ყვანია), მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება სამართლებრივ პროპაგანდაში (ეურნალ „სოციალისტიკის“ ზაკონნოსტის მთ. რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კონდრაშკოვი), მართლმსაჯულება და საზოგადოებრივი აზრი (დოც. გ. ტყემლაძე), საბჭოთა სახელმწიფოს როლის ამტკიცება კომუნისმის მშენებლობაში (პროფ. გ. ინწკირველი), მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ახალი კანონმდებლობა (საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების განყოფილების გამგე მ. ბალათურია), სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება (საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაკიძე), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე), იუსტიციის ორგანოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე (საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე).

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე პროფ. ი. ტაბალუას ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მოეწყო სამართლებრივ თემებზე შექმნილი დოკუმენტური კინოფილმების გასინჯვა, აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში სამართლებრივი პრობლემების გაშუქების თაობაზე. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ინახულეს შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა“.



საკორდინაციო — ეთიკური საკმის სკოლა

1973 წლის 18 ივლისს შედგა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ შ. რატიანმა.

მოსხენება — „შრომის სამართლის კანონმდებლობის პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — გააკეთა რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ გ. ბიწაძემ.

შრომით კოლექტივებში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის გასაუმჯობესებლად აფხაზეთის ასსრ პროფკავშირული ორგანიზაციებისა და იუსტიციის ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნ. გურგენიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. დვალისვილი, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ქ. წულაიამ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამართლებლო უფროსმა შ. პაპიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პროფილაქტიკური მუშაობის განყოფილების უფროსმა ბ. კარტოზიამ, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორმა ო. კაციტაძემ, ყურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილემ გ. ნიშნიანიძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ინწკირველმა და სხვ.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ნ. ლომიძე.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის

1973 წლის 11 აგვისტოს თბილისში გაიმართა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა.

მოსხენებით — „რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ 1973 წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის შედეგები და ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაყაიძე.

სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და რაც მთავარია, დამნაშავეობის თავიდან აცილება, მიეღო საზოგადოებრიობის საპატიო ამოცანა, აღნიშნა მომხსენებელმა.

პროკურატურის ორგანოების წინაშე დგას კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების პასუხსაგები ამოცანა. ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის წარმატებით გადაწყვეტაში პროკურატურის ორგანოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მაგრამ განხორციელებული ღონისძიებები ჯერ კიდევ სრულად ვერ უბასუხებეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

მომხსენებელი შეეხა რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების მუშაობას და იგი დამაკმაყოფილებლად შეაფასა. ამასთან აღინიშნა, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების პროკურორები არა-დამაკმაყოფილებლად ასორციელებენ საერთო ზედამხედველობას.

კანონიერების დაცვაზე ქმედითი და ეფექტური ზედამხედველობისათვის აუცილებელია, რომ პროკურატურის მუშაობის საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან. პროკურორებმა უშუალოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ ორგანიზაციათა მუშაობებში, ეს ხელს შეუწყობს სოციალისტური საკუთრების გატაცების ფაქტების დროულად გამოვლინებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს, რის გამოც შეტანილ წარდგინებებში ღრმა ანალიზი არ უკეთდება კანონიერების დარღვევის ხელშემწყობ მიზეზებს და პირობებს. როგორც რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ამ ხაზით ჩატარებული მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, ბევრი პროკურატურა ჯერ კიდევ არ ატარებს ქმედითს ღონისძიებებს მიწერების გამოვლინების და უხარისხო პროდუქციის გამოშვების აღსაკვეთად.

უქანასკნელ ხანს სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა მიწათსარგებლობაში. ეს საკითხი



დღესაც მოუგვარებელია ქ. ქ. სოხუმში, გაგრაში, ქობულეთის, მცხეთის რაიონებში, სადაც პროკურორები არ ახორციელებენ მიწათსარგებლობის კანონის დაცვისადმი საჭირო ზედამხედველობას.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კანონების პროპაგანდა. პროკურატურის ორგანოებმა მნიშვნელოვნად გაააქტიურეს მუშაობა ამ მხრივ. ტარდება ლექციები, მოხსენებები, თემატური საღამოები. სამწესბაროდ, ზოგჯერ ეს ღონისძიებანი ფორმალურად ეწყობა, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ ამ რაიონებში სამართალდარღვევათა რიცხვი არათუ კლებულობს, არამედ მატულობს. კანონის პროპაგანდის მიზანი კი სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება და მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებაა. უნდა გაფართოვდეს კანონის პროპაგანდისტთა კონტინენტი; პროკურატურის ყოველი მუშაკი სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას უნდა განიხილავდეს, როგორც თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაძლიერდა საპროკურორო ზედამხედველობა გამოძიებასა და მოკვლევაზე. მიუხედავად ამისა მუშაობის ამ უბანზე სერიოზული ნაკლოვანებებია. ხშირად საგამოძიებო მოქმედებები დაგვიანებით და უხარისხოდ ტარდება, არასაკმარისად იყენებენ კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ შესაძლებლობებს.

პროკურორების მხრივ არასათანადო საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიებელთა უხასუსხისმგებლობის შედეგია ის გარემოება, რომ ზოგიერთი გამოძიებელი რესპუბლიკის პროკურატურაში დაგვიანებით აღგენს ვადის გაგრძელების დადგენილებას. მაგალითად, თბილისის 26 კომისიის სახელობის საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამოძიებელმა ნიკარაძემ 20 დღის დაგვიანებით წარადგინა რესპუბლიკის პროკურატურაში საგამოძიებო ვადის გაგრძელების დადგენილება გ-ს საქმეზე. ასევე რამოდენიმე თვის განმავლობაში არ აწარმოებდა საგამოძიებო მოქმედებებს თბილისის შს სამმართველოს უფროსი გამოძიებელი ცომაია წარმოებაში არსებულ ვ-ს სისხლის სამართლის საქმეზე.

ზედამხედველი-პროკურორები მკაცრად არ ითხოვენ გამოძიებლისაგან დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლას, რის გამოც საანგარიშო პერიოდში შემცირდა როგორც პროკურატურის, ისე საგამოძიებო ქვეგანყოფილებათა გამოძიებლების მიერ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე შეტანილ წარდგინებათა რა-

ოდენობა. აქედან დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნები.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ეს განპირობებულია სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებით, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების ინტერესებით.

1973 წლის პირველ ნახევარში მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა არ გამოუვლენიათ ბორჯომის, კასპის, ზუგდიდის, მახარაძის, გეგეჭკორის და სხვ. პროკურატურებს. საყურადღებოა, რომ იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც გამოვლინდა მექრთამეობის შემთხვევები, ეს ძირითადად მოქალაქეების, ორგანიზაციების და რესპუბლიკური ორგანოების ინიციატივით მოხდა და არა პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

ნაკლოვანებებია მექრთამეობის საქმეთა გამოძიებაში.

1973 წლის 28 თებერვალს თბილისის ოქტომბრის რაიონის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექტორმა ფრიდონიშვილმა მსჯავრდებულ გოგინაიშვილისაგან აიღო ქრთამი. ეს საქმე ორჯერ იქნა დაბრუნებული დამატებით გამოძიებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოძიებელმა არ შეასრულა რესპუბლიკის პროკურორის მითითება — გაერკვია, რისთვის მისცა გოგინაიშვილმა ქრთამი ფრიდონიშვილს. ამ მითითების მიუხედავად ბრალდებული გოგინაიშვილი არც კი დაკითხულა!

პროკურატურის ორგანოების მუშაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, — განავრძობს მომხსენებელი, იყო და არის ბრძოლა არასრულწლოვანთა უმეტესად უწყობისა და დანაშაულის წინააღმდეგ. მისი სწორი ორგანიზაცია და სრულყოფა მოითხოვს აღმზრდელობით ზომებთან ერთად სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების სწორად გამოყენებას, ამ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას.

პროკურატურის ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის კანონიერებაზე ზედამხედველობა. პროკურორის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში კანონიერების დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კანონიერების დაცვა საქასაციო და საზედამხედველო ინსტანციებში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, აქ შეცდომით განხილული საქმეები სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად იწვევს სა-



სამართლო პრაქტიკის მერყეობას და ასუსტებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

მოქალაქეთა შრომითი, საბინაო და სხვა პირადი ქონებრივი უფლებების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების და სხვა ორგანიზაციათა კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში იყო უმნიშვნელოვანესი კატეგორიის საქმეთა განხილვაში პროკურორთა მონაწილეობის რაოდენობამ, სათანადო ბრძოლა არ სწარმოებდა შრომის კანონმდებლობის დამრღვევების წინააღმდეგ, არ იყო აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა პროცესში მონაწილე პროკურორები სასამართლოს აძლევდნენ არასწორ დასკვნებს და რეაგირებას არ ახდენდნენ სასამართლოს არასწორ გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ ახლახან მიიღო შრომის კანონთა ახალი კოდექსი. იმედოვნდა ვიქონიოთ, რომ პროკურატურის მუშაკები ღრმად შეისწავლიან ამ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს და ყველა ზომას მიიღებენ მისი ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად.

გაუმჯობესდა საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია. რესპუბლიკის პროკურატურა მკაცრ რეაგირებას ახდენდა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის გაჭიანურებაზე, მათი უხარისხოდ გადაწყვეტის ფაქტებზე. მიუხედავად ამ მიმართულებით მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებისა ცუდად არის დაყენებული ეს საქმიანობა — ფოთის, ახმეტის, წითელწყაროს, წალენჯიხის და სხვა ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებში.

დასასრულ მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ პროკურატურის ყველა მუშაკი თავდადებულად იშრომებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უკეთესი მაჩვენებლებით შეხედნენ მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დამთავრებას.

მომხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

აფხაზეთის ასსრ პროკურორი მ. არგუნი: აფხაზეთის ასსრ პროკურატურის ორგანოების საერთო ზედამხედველობის მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც შემოწმებას მიზნობრივი, წინასწარ გამიზნული ხასიათი არა აქვს, რის გამოც გამოუვლინებელი რჩება მთელი რიგი დარღვევები ადგილებზე. საკმაო რაოდენობით არ ვლინდება სოციალისტური საყუთრების გატაცების, წუნდებული პროდუქციის გამოშვების, მიწერებისა და სხვა დამახინჯებათა ფაქტები. პროტესტები და წარდგინებები რიგ

შემთხვევებში უხარისხოა, მასში არ არის მოცემული დარღვევებისა და მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებების სრული ანალოზი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილე ვ. პარასტაევი: დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო მუშაობის სწორ ორგანიზაციას, გამოძიების სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარებას.

საოლქო პროკურატურის მერა შესწავლილია საგამოძიებო მუშაობის მდგომარეობა 1973 წლის პირველ ნახევრისათვის. გამოვლინებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შეტანილია წარდგინება სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოში. სათანადოდ ინფორმირებულია აგრეთვე საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი.

ლაგოდეხის რაიონის პროკურორი ა. ვაიტაძე: მართალია, რაიონში ადგილი აქვს საქმის უხარისხოდ გამოძიებას და ამის გამო მათ დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას, მაგრამ ზოგჯერ თვით სასამართლოებიც უსაფუძვლოდ აბრუნებენ საქმეებს დამატებით გამოძიებაში. ასე, მაგალითად: ამ რამდენიმე დღის წინათ ყვარლის სახ. სასამართლომ დამატებით გამოძიებაში დააბრუნა ხ-ის ბრალდების საქმე. ჯერ ლაგოდეხის სახ. სასამართლომ აიცილა ეს საქმე არასწორად და შემდეგ კი ყვარლის სახ. სასამართლომ დააბრუნა დამატებით გამოძიებაში იმ მოტივით, თითქოს საქმეში არ იყო ბრალდებულის არც ახსნა-განმარტება და არც ჩვენება. მართალია, საქმის დამთავრების დროს მან უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, მაგრამ საქმეში ჩაკრულია მისი ხელით ადრე დაწერილი ახსნა-განმარტება, ჩვენებაც არის, ერთხელ ბრალდებულად დაიკითხა და ზაზარალებულთანაც არის დაბრისპირებული. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სახალხო მოსამართლე ვ. ზირაქიშვილი საქმეს არ გასცნობია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილემ ვ. ბორჩხაძემ, ქ. რუსთავის პროკურორმა ა. ჩხატარაშვილმა, ახალციხის რაიონის პროკურორმა ვ. ნადირაძემ და სხვ.

კოლგეის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მანელაშვილი, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თ. შავგულიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზ. რატინაი.

ფანდი 80 333.

ИНДЕКС 76185



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР